ისტორიული მემკვიდრეობა

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2016 წ. სექტემბერი, №9(72), ფასი 3 ლარი

9 «ივერია» და ქართული ენის უფლებებისთვის ბრძოლა

ყოველ ერს, ქალაქსა და სახელმწიფოს თავისი მფარველი ანგელოზი და წმინდანი ჰყავს. საეკლესიო გადმოცემის თანახმად, წმინდა მოწამე აბო თბილელი საქართველოს დედაქალაქის — თბილისის მფარველი წმინდანია

19

კრწანისის ბრძოლა

16

შედეგი: ქართველთა დამარცხება; თბილისის აღება და გაძარცვა; 15 000 ქართველის ტყვედ წაყვანა სპარსეთში.
მხარეები: ქართლ-კახეთის სამეფო და სპარსეთის იმპერია
მეთაურები: ერეკლე II და აღა-მაჰმად ხანი
ძალები: 7 000 ქართველი 35 000 სპარსის წინააღმდეგ
დანაკარგები: ქართველთა: 6 850; სპარსთა: 13 000 კაცი.

მიხეილ საბინინი — „ივერიის დიდება“

სარჩევი

საქართველოსთვის დამაშვრალი
მიხეილ საბინინი — საქართველოს სიძველეებისა და ეკლესიის ისტორიის მკვლევარი 4

ილიას გაკვეთილები
«ივერია» და ქართული ენის უფლებებისთვის ბრძოლა 9

ზმირული მატიანე
კრწანისის ბრძოლა 16

ქრისტესთვის თავდადებული
ოდესღაც სარკინოზი, შემდგომ ქრისტიანი, ხოლო სულითა და გულით ქართველი 19

SOS
ნეოპაგანიზმი — მსოფლმხედველობა, რომელიც ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მორალს 25

ეს საინტერესოა
ჯვარი — ესაა დედამიწაზე სასიცოცხლო ძალების კვების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გამოვლენა 29

უნივერსიტეტის პირველი პროფესორები
ნიკო მუსხელიშვილი — მათემატიკისა და მექანიკის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი 30

დედაქალაქის ისტორია
მენახშირეობა ძველ თბილისში 34

რა ხელმა ააგო
გვიანი შუა საუკუნეების არქიტექტურა 36

ეთნოგრაფის ჩანაწერები
თედო სახოკია: მოგზაურობა აჭარაში 39

გახსენება
«ძალიან ქართველი მხატვარი» 47

ხელოვნება
«ფლორენსკი საქართველოს ისევე ხატავს, როგორც ქართველები — სიყვარულით» 49

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი
„ისტორიული მემკვიდრეობა“
სარედაქციო კოლეგია
პასუხისმგებელი რედაქტორი დარეჯან ანდრიაძე
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

UDC (უაკ) 050 (479.22)
ი-892

მიხეილ საბინინი — საქართველოს სიძველეებისა და ეკლესიის ისტორიის მკვლევარი

წარმოშობით რუსი მიხეილ (ბერობაში — გობრონ) პავლეს ძე საბინინი ჭეშმარიტად დიდი ქართული საქმეების შემოქმედი იყო. იგი, მიუხედავად წინააღმდეგობებისა და მრავალი სირთულისა, შეუპოვრად იკვლევდა საქართველოს ეკლესიის ისტორიას, კრებდა და აქვეყნებდა პირველწყაროებს, რომელთაც დღესაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიისთვის.
მ. საბინინმა „საქართველოს სამოთხის" გამოცემით ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ძველი ქართული მწერლობის შესწავლა-კვლევას. ეს იყო ქართული სასულიერო-მწერლობის ფაქტობრივად სრულყოფილი კრებული, რომლის მსგავსი მანამდე არ იცოდა ქართველმა საზოგადოებამ. მეცნიერის ღვაწლის შესახებ დაბეჭდილია ცალკეული სტატიები, მაგრამ იგი, ვითარცა საქართველოსათვის დამაშვრალი, მეტ ყურადღებას იმსახურებს.

მიხეილ საბინინი დაიბადა 1845 წელს. მამამისი — პავლე საბინინი ტვერის ეპარქიის მღვდელი იყო. შემდეგში საქართველოში დასახლებულა და ცოლიც ქართველი ქალი — ეკატერინე მირზიაშვილი ჰყოლია. მიხეილს ოჯახში ქართული აღზრდა მიუღია. მას წარმატებით დაუმთავრებია თბილისის კლასიკური გიმნაზია. გიმნაზიაში სწავლის პერიოდშივე მიუქცევია ყურადღება საქართველოს სასულიერო ისტორიისათვის. მ. საბინინს შეუსწავლია საქართველოს ეკლესია-მონასტრებში დაცული ქართული ხელნაწერები, დაინტერესებულა ხატებით, წმინდანთა საფლავებით, ჩაუწერია სხვადასხვა თქმულებაგადმოცემანი, გიმნაზიის წლებში წაუკითხავს პლატონ იოსელიანის შრომები და გასცნობია მის მიერ გამოცემული ძველი ქართული მწერლობის ძეგლებს.

XIX საუკუნის სამოცდაათიანი წლების პეტერბურგი მოწინავე რუსული კულტურის ჭეშმარიტი ცენტრი იყო და დაინტერესებულ, სწავლამოწყურებულ ახალგაზრდას ბევრი რამის მიღება შეეძლო. მიხეილ საბინინი იმთავითვე დაუახლოვდა პეტერბურგის მიტროპოლიტს **ისიდორე ნიკოლსკისა** (1844 —1858 წლებში საქართველოს ეგზარქოსი იყო) და **იოანე გრიგოლის ძე გრუზინსკის**. იოანე გრიგოლის ძე ქართველი სახელმწიფო მოღვაწის, განმანათლებელ-ენციკლოპედისტის, მწერლის, მეცნიერისა და ლექსიკოგრაფის — იოანე ბატონიშვილის (ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი მეთორმეტის შვილი) შვილიშვილი იყო. მას ქართული ხელნაწერების მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა და მიხეილი შეუზღუდავად სარგებლობდა ამ სიკეთით.

მ. საბინინი პეტერბურგში გაეცნო გამოჩენილ ქართველოლოგებს — მარი ბროსესა და დავით ჩუბინაშვილს. მათთან ურთიერთობამ და კონსულტაციებმა კი მნიშვნელოვნად განაპირობა ახალგაზრდა მეცნიერის წარმატება.

1871-73 წლებში მ. საბინინმა გამოსცა საქართველოს ეკლესიის წმინდანთა სრული აღწერილობა (სამი წიგნი), რომელიც უძღვნა რუსეთის იმპერატორის მემკვიდრის, დიდი მთავრის — ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის ხსოვნას.

პეტერბურგის სასულიერო აკადემია მიხეილმა 1875 წელს დაამთავრა. აქვე მიიღო ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი თხზულებისათვის „საქართველოს ეკლესიის ისტორია VI საუკუნის ბოლომდე". აქედან მოყოლებული მეტად ნაყოფიერი იყო მიხეილ საბინინის მოღვაწეობა საქართველოსა და რუსეთში. მისი დიდი ღვაწლი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ თანამედროვეებს. ნიშანდობლივია, რომ 1899 წელს (მ. საბინინის სიცოცხლეშივე) გამოცემული „ენციკლოპედიურ ლექსიკონის" XXVIII ტომში საგანგებო სტატიაა მ. საბინინის შესახებ.

ერთი შეხედვით, თითქოს აღიარებულმა მიხეილ საბინინმა ცხოვრების ურთულესი გზა განვლო. როგორც მისი პირადი წერილებიდან ირკვევა, მეცნიერს არაერთი დაბრკოლება გადაეღობა წინ, როგორც იმდროინდელი ქართული საზოგადოების მტრულად განწყობილი ნაწილისაგან, ასევე რუსეთის მოწინავე წრეების ზოგიერთი მესვეურისაგანაც. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა მიხეილ საბინინის წერილი ზაქარია ჭიჭინაძისადმი:

„ძმაო ზაქარიავ!

... მე დედისაგან საშინელი გოდების წიგნი მივიღე. ფრიად გაჭირვებული არის. მეც ახლა მეჭირება. არ ვიცი რა ვქმნა. ერთიორი წიგნი გაუყიდე, თუ ღმერთი გწამს და ფული ჩააბარე. და აგრეთვე წმ. ნინოს ხატი ორ-ორ აბაზად მიეცი; მთხოვნელნი იქნებიან, ხელი გამიმართე, მამაშვილობას. ძმაო ზაქარია, თუ გინდა, პორტრეტის ფული ჩააბარე დედას და მომწერე. მე აქ გავაკეთებ და გამოგიგზავნი, რომელიც დაგჭირდება...

რუსები მქენჯნიან, რომ მათი

— ქართუელების მხარე გიჭირავსო და ქართუელები, ვითა რუსების აგენტი არისო. არ ვიცი, ვის რა ვუყავი... ორივე პირთა ფრიად შემაწუხეს“.

სინამდვილეში **მიხეილ საბინინი განასახიერებდა ამ ორი ხალხის — რუსებისა და ქართველების ურღვევ ძმობას, იგი ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტი იყო და პირუთვნელად ემსახურებოდა ამ საქმეს.**

მიხეილ საბინინი — „ივერიის დიდება“

მის ნაღვაწს, ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილის მიერ ხელის გამართვასთან ერთად, ზოგიერთი რომ გარკვეული შურით შეხვდა და ყოველგვარად ხელს უშლიდნენ მეცნიერს, ნათლად ჩანს „საქართველოს სამოთხის“ წინასიტყვაობიდან, რომელიც მიხეილ საბინინის მიერაა დაწერილი. აქ ჩვენ ვიგებთ, რომ მასალების შეკრება მეცნიერს თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის წლებში დაუწყია.

შვიდი წელი მოუნდა მ. საბინინი მასალების შეგროვებას და, როგორც თვითონ აღნიშნავს, აქამდე (ე.ი. 1882 წლამდე) უნდა გამოეცა, მაგრამ „ზემო თქმულნი პირნი, საქართველოს მემუშაკენი იყვნენ დამაბრკოლებელნი ჩემნი“.

კრებულში შეტანილი მასალები მეცნიერს მიუკვლევია პეტერბურგის საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიისა და საზოგადო საწიგნობელებში, აგრეთვე, „პარიზის სამეფო საწიგნობელისაგან — მოსკოვის დავით ბატონიშვილისა და რუმიანცევის საწიგნობელთა ხელნაწერთა წიგნთაგან...“. აქ მ. საბინინი გაცნობია არსენ იყალთოელის ხელნაწერებს, კათალიკოსების: ვასილ, ბესარიონისა და ანტონ პირველის შრომებს. იგი აღნიშნავს, რომ შესაძლებელი იყო ამ კათალიკოსთა შრომების ცალ-ცალკე დაბეჭდვა, მაგრამ გამეორებას მოვერიდე და არც ჩემს მიზანს შეადგენდაო („ჩემს პროგრამაში არა იყო ცალ-ცალკის შრომის დაბეჭდვა“).

„საქართველოს სამოთხეში“ მ. საბინინმა შეიტანა ქართული ისტორიული ლიტერატურის ორმოცდაათი უძვირფასესი ძეგლი (მოთხრობა მიძინებისა ყ-დ წმიდისა ღუთის მშობლისა, ანდრია მოციქულის ქადაგება, წამება წმ. მთავარმოწამისა გიორგისი, ცხოვრება წმ. ნინოსი, ცხოვრება იოანე ზედაზნელისა, ცხოვრება და წამება წმ. მოწამისა კონსტანტინე მთავრისა, ცხოვრება ღირსი მამის ილარიონ ქართველისა, ანდერძი გიორგი მთაწმინდელისა, ცხოვრება წმ. დიდებულისა მეფისა დავით IV აღმაშენებლისა, ანდერძი წმ. მეფისა დავითისა და გალობა სინანულისა მისივე, სიტყვისგება ბერისა ეფთვიმე გრძელისა, სოსთენის მიმართ სომეხთ მოძღუარისა და სხვ.) და გარკვეული ქრონოლოგიური პრინციპით დაალაგა.

ხაზგასასმელია, რომ **ეს დიდი წიგნი, რომელიც 650-მდე გვერდს შეიცავს და ფორმატიც საკმაოდ შთამბეჭდავი აქვს, ერთ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ დაისტამბა და, ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ რთული იქნებოდა მისი პოლიგრაფიულად ესოდენ მაღალ დონეზე შესრულება.** „მხატვრობები, — წერს მ. საბინინი, — ზოგიერთი გადმოვიღე წმ. სუეტის ცხოვლის კედლიდგან,

ზოგნი — მრავალმთის დანგრეულის მონასტრების კედლებიდგან, ზოგი მიბოძა კნიაზმან გრიგორი გრიგორის ძემ გაგარინმან და ზოგიერთი ბატონიშვილის ხელნაწერთაგან და სხვ.“

სურათები არ იყო იმ დონეზე შესრულებული, რომ წიგნში შეტანილიყო, ამიტომ მ. საბინინს სამხატვრო აკადემიის სხვადასხვა მხატვრისათვის მიუმართავს და მასალა „სრულუქმნია“. დიდი გაჭირვებით შეუდგენია და გამოუცია წიგნი მეცნიერს. ხელისშეწყობის ნაცვლად ბევრ წინააღმდეგობასა და დაბრკოლებას შეხვედრია. მ. საბინინი შეძრწუნებული წერს: „დიდი ჭირი და იწროება ვნახე მე ამ წიგნის შედგენასა შინა და უმეტეს დაბეჭდვასა შინა, ვერ აღურიცხამ ყოველთა, ვითარ კაცი შევძრწუნდი და ლამის სასოწარკვეთილებას არ მივეცი ჩემი თავი — **არა ვინ მყუანდა ქართუელთაგან შემწედ და გულ დამწველ, არამედ მრავალნი მტრად და მომიძულეს ცუდად**“. მაგრამ ჭეშმარიტი მოღვაწე და საქართველოს ისტორიულ წარსულზე, მის კულტურაზე უსაზღვროდ შეყვარებული და მის შესწავლაზე დღენიადაგ მზრუნველი მიხეილ საბინინი თავს იმით იმშვიდებდა, რომ კარგად ესმოდა „საქართველოს სამოთხის“ გამოცემის ფასი და მნიშვნელობა („რათა არა წაირყუნას წმ. ენა ჩუენი და წმ. მამათა მოხსენებული და აღჭურვილი სულიერითა გონებითა და ტრფიალებითა, რათა არა დაგვკარგოდა საქარველოთა წმიდათა ცხოვრება“).

მართლაც, დღეს საკამათო აღარ არის ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც მ. საბინინმა ქართული წერილობითი წყაროების შეკრებითა და მათი გამოცემით გააკეთა. იმთავითვე დადებითად შეაფასეს ეს მოვლენა მოწინავე ქართველი საზოგადოების წარმომადგენლებმა.

გამოჩნდნენ ავის მთქმელებიც.

1882 წლის 1 დეკემბერს მოჰყვა გაზეთ „შრომაში“ ფელეტონი (ეს ციტატი, სწორედ ამ ფელეტონიდან გვაქვს მოტანილი) დაიბეჭდა, რომელსაც ხელს აწერდა „მგზავრი კაცი“'. ავტორი „საქართველოს სამოთხის“ გამოცემას უდიდესი მნიშვნელობის ფაქტად მიიჩნევდა: **„ჩვენს სასულიერო ლიტერატურას გაესკვნა საძირკველი; ჩვენს სამღვდელოებას, რომლისთვისაც, საქართველოში სტამბის გახსნის შემდეგ, ორი კალამი არ მოსმულა ქართულად, დღეს გაუჩნდა საკითხავი წიგნი, საიდანაც მას შეუძლია აიღოს ცოცხალი მაგალითი ღვთისა და კაცთმოყვარეობის, მოყვასთათვის თავგანწირულებისა და ათას ნაირის სხვა კეთილზნეობისა“.**

„მგზავრი კაცი“ სრულიად მართებულად მიიჩნევს წიგნში აღწერილი საქართველოს მონასტრების მდგომარეობას და თვითონაც უმატებს: მრავალი ჩვენი მონასტერი, სადაც სარწმუნოება წმინდად უნდა იყოს დაცულ-შენახული, „ვირების ქართად“ გადაიქცნენო. „ეს ნამდვილი ჭეშმარიტებაა. ამას არც ერთი ქართველი უღირს შეურაცხებად არ მიიღებს, არამედ პირიქით აღიარებს, რომ იმგვარი სიწმინდენი, როგორც დავით აღმაშენებლის სამარხი, დღეს ოთხფეხთა ქართად შექმნილა და ამ ქართის კარებად დარუბანდის კარებია, რომელნიც ჩვენი მკლავძალის ნაშთად უნდა ითვლებოდეს“.

მეტად საგულისხმოა გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული დიმიტრი ჯანაშვილის რეცენზია „საქართველოს სამოთხის“ შესახებ. ეს წერილი გაზეთის 1882 წლის ნოემბრის ნომრებში გამოქვეყნდა. ავტორი წუხილით აღნიშნავს, რომ ქართული საერო და საეკლესიო მატიანენი სხვადასხვა მონასტრებისა და ეკლესიების წიგნთსაცავებშია გაბნეული, არა მარტო სქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც — რუსეთში, საფრანგეთში, რომში. არის შემთხვევები, როცა ქართული ხელნაწერები ლონდონის, თეირანისა თუ სტამბოლის ბაზრებზე იყიდება.

დიმ. ჯანაშვილი „საქართველოს სამოთხის“ ავტორის დიდ დამსახურებად თვლის, რომ მან პირველმა მოძებნა და შეკრიბა „ქვეყნის პირზე მოფენილი ხელთნაწერები“. ავტორს ესმის ის სირთულე, რაც ასე დიდი წიგნის გამოცემასთან არის დაკავშირებული: **„წიგნი... სიდიდით არის ორი სახარებისოდენი. ამოდენა წიგნის გამოცემაზე ბ. საბინინს ისრეთი ბეჯითი მეცადინეობა გაუწევია, რომ ის სრულიად უნაკლულოდ არის დასტამბული. სხვა არა იყოს რა, მარტო მისი გარეგანი შეხედულების ხილვა მეტისმეტად სასიამოვნოა. ჭეშმარიტად, რომ ის დიდს ძვირფასს საუნჯეს შეადგენს ჩვენს ისტორიულ ლიტერატურის“.**

დიმ. ჯანაშვილი „საქართველოს სამოთხეს“ თავისი მნიშვნელობით „ქართლის ცხოვრებას“ უტოლებს. მისი აზრით, პირველი ავსებს მეორეს. აქ ისეთი ახალი ცნობებია, რომელიც სხვაგან არსად მოიპოვება; ნათქვამია საღმრთო და საეკლესიო წიგნების მთარგმნელებზე, ევსტათი ეპისკოპოსისის მოსვლაზე ანტიოქიიდან საქართველოში, წმ. ნინოს თხოვნით, ქართველთა უსწავლელობასა და დაუდევრობაზე, ქიზიყის დედოფალ სუჯიზე, რომელიც წმ. ნინომ გამოგზავნა ქიზიყიდან მირიან მეფისთვის კახეთის გაქრისტიანების მისალოცად, რუისის ეკლესიაზე, რომლის ეპისკოპოსი და ეპარქია თამარ მეფის დედის ბურდუხანის მზრუნველობაში იყო, ათონის მთაზე მონასტრების აშენებაზე, იქაური ბერების მოღვაწეობაზე, გიორგი მთაწმინდელის ბაასზე ანტიოქიის პატრიარქთან საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის შესახებ და სხვ.

დიმ. ჯანაშვილი ხაზს უსვამს, რომ საბინინის წიგნი ძლიერ სინდისიერად არის შედგენილი და გამოცემული და რომ მ. საბინინი ღრმა მადლობის ღირსია ასეთი შესამჩნევი განძის შეკრების, შედგენისა და გამოცემისათვის. ნიშანდობლივია, რომ წერილი ასეთი განცხადებით მთავრდება: „ფასი წიგნისა გამოწერით 17 მანეთია“'.

თვით მ. საბინინისათვის არსებითი იყო „საქართველოს სამოთხი“-ს გაყიდვის საკითხი. ეს მის მომავალ-

თან, სასიცოცხლო პრობლემებთან იყო დაკავშირებული. მეცნიერი 1882 წლის 18 დეკემბერს ზაქარია ჭიჭინაძეს სწერდა:

„საყვარელო ძმაო ზაქარიავ!

დიდი ხანია, შენგან არა რაი ამბავი მაქვს. მოგილოცავ წმ. დღესასწაულთა. აი, ძმაო, მე ჩემი წიგნი გავათავე და ახლა შენზედაცა არის დამოკიდებული მისი გაყიდვა. ამ წიგნსა 17 მანეთადა ვყიდი და ამას გარდა ყოველი მყიდველი შემდეგ დაბეჭდვისა უფასოდ მიიღებს „მზამეტყველებას“ კათალ. ანტონ პირველისა და მოთხრობასა კათალ. ანტონ პირველისა. სრულიად მზადა მაქვს, მაგრამ უფულობის გამოთ ისე მიწყვიან და გასყიდულის ფულით მინდა ქაღალდი ვიყიდო და სტამბის ფასი მივცე. აბა, თუ შეგიძლიან, შემეწიე ეხლა. ერთს წიგნს უფასოდ მიიღებ, თუ ათიოდენის ფულსა შეჰკრიბამ და ფოჩტით გამომიგზავნი...

შენი ძმა და მეგობარი მიხაილ საბინინი“.

სამწუხაროდ, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მიხეილ საბინინსა და მის კრებულს ბევრი მტერი გამოუჩნდა, „საქართველოს სამოთხეს“ ბოიკოტი გამოუცხადეს და წიგნი არ იყიდებოდა. სასოწარკვეთილი მ. საბინინი ზ. ჭიჭინაძეს სწერს: ტფილისიდგან მომივიდა ფრიად უსიამოვნო წერილი, ვითომ ჩემი წიგნები სრულიად არ იყიდება და ამის გარდა გამოგზავნის ვალი 130 მანეთიც არ იციან საიდან აიღონო. გულნაკლული მეცნიერი შემწეობას ითხოვს და თან მწარედ განიცდის მისი შრომის დაუფასებლობას. **„...სრულიად არ მეგონა, რომ მე ამ უბედურებას შევემთხვეოდი, თორემ სამსახურში შევიდოდი და გარდა ჩემი თავისა არა მეცოდინებოდა რა. ქუა-ქუაზედაც ნუ იქმნებოდა. განა ჩემზედ მეტი ქართუელები არავინ არიან — რატომ ისინი არა ფიქრობენ თავიანთ სამშობლოსათვის“.** მიხეილ საბინინი თავს ქართველად სთვლიდა („...ჩემზედ მეტი ქართველები არავინ არიან”), იგი მართლაც ჭეშმარიტი ქართველი პატრიოტი იყო.

მიხეილ საბინინი — „წმინდა შუშანიკი“

საერთოდ, მ. საბინინის კეთილი საქმეებისადმი უდიერი დამოკიდებულება მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ოცწლეულის გადაგვარებული სამღვდელოებიდან მოდიოდა. სამღვდელოების გავლენა კი ქვეყანაში დიდი იყო და მისი ამგვარი პოზიცია არც იმ დროის ზოგიერთი სამოქალაქო პირისათვის იყო უცხო.

მიხეილ საბინინი დიდად აფასებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობას. მან 1893 წელს საზოგადოებას შესწირა ივანე ბატონიშვილისაგან ნაბოძები რიგი ხელნაწერები. საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულია მ. საბინინის წერილი, რომელშიც იგი უმოჩილესად სთხოვს საზოგადოებას, რომ მისგან გადაცემული „წერილები“ დაიცვან, თან დასძენს: **„ეს წერილები ბატონიშვილის ივანესაგან მქონდა ნაბოძები და აქმომამდე ვინახავდი — და ამის პირი გადავიწერე ჩემს ავტობიოგრაფიას შინა — დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიისათვის“**.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადაუწყვეტია მიხეილ საბინინისაგან შეეძინა „საქართველოს სამოთხეში“ დაბეჭდილი ილუსტრაციების კლიშეები 600 მანეთად. მეცნიერს 25 სურათის კლიშე გადაურჩევია.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ შეიძინა ყველა კლიშე და დათქმული საფასურიც გაიღო.

მიხეილ საბინინმა ჯერ კიდევ 1889 წელს შესწირა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავს სურათი „დიდება საქართველოს ეკლესიისა“. არაერთ კულტურულ დაწესებულებას შესწირა „საქართველოს სამოთხეც“. ამის შესახებ ცნობები დაცულია მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ოცწლეულის პრესის ფურცლებზე.

გაზეთმა „ივერიამ“ 1889 წლის 18 მაისს კავკავის ქართული სკოლის ხაზინადარ ილარიონ გიორგის ძე ბაქრაძის მადლობის წერილი გამოაქვეყნა: „ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო ბ-ნ მიხეილ პავლეს ძე საბინინს, რომელმაც შესწირა კავკავის ქართული სკოლის წიგნთსაცავს თავისი წიგნი „სამოთხე“. „მწყემსი“ მკითხველს აწვდის ცნობას, რომ 1886 წელს მ. საბინინმა საიმპერატორო საზოგადოების წიგნთსაცავს შესწირა XI-XII საუკუნეების „მშვენივრად მორთული და დაწერილი ქართული სახარება შესანიშნავი მინიატურებით“.

მ. საბინინი ყველგან კრებდა საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებულ მასალას. მას ერთი მეწვრილმანისგან შეუძენია სიგელ-გუჯრები, სამეფო განჩინება, საეკლესიო გადაწყვეტილება და სხვ.; მასალები საქართველოში კათოლიკობის გავრცელების, ანტონ კათალიკოსის, ზაქარია გაბაშვილის და სხვათა შესახებ. ამ მასალათა მფლობელი თავის დროზე პლატონ იოსელიანი ყოფილა. მისი სიკვდილის შემდეგ კი ზემოხსენებულ მეწვრილმანეს ჩავარდნია ხელთ.

მიხეილ საბინინის სახელთან არის დაკავშირებული ბოდბის ტაძრის განახლება და მასთან რუსი და ქართველი მონაზვნებისათვის დედათა მონასტრის დაარსება. მან ფული შეაგროვა და სთხოვა საქართველოს ეგზარქოსს პალადის და უწმიდეს სინოდს, ნება დაერთოთ ბოდბეში დედათა მონასტრის დაარსებისა და მასთან სახელსაქმო სკოლის გახსნისა. მ. საბინინის დიდი მოქალაქეობრივი ვაჟკაცობა სწორედ ისაა, რომ მან ყველა წამოწყებული საქმე, მიუხედავად მრავალმხრივი წინააღმდეგობისა, ბოლომდე მიიყვანა.

მიხეილ საბინინის მცდელობით შეგროვდა ბოდბის ტაძრის კუთვნილი დიდძალი ძვირფასი ნივთები, რომლებიც სიონის წინ იქნა გამოფენილი. შემდეგ, წესისამებრ, ისინი აკურთხეს და დაუბრუნეს ძველ ადრესატს. ტაძრის სამრეკლოს გუმბათი დაედგა და დაუბრუნდა ცხრამეტფუთიანი ჯვარი. მოწესრიგდა წმ. ნინოს საფლავი და გალამაზდა ეზო, რომელიც ადრე პირუტყვის საძოვრად იყო გადაქცეული. ყოველივე ამის აღსანიშნავად დიდი დღესასწაული გაიმართა, რომელსაც დიდძალი ხალხი დასწრებია. მიხეილ საბინინის წვლილი საყოველთაოდ იქნა აღიარებული.

ცალკე უნდა აღინიშნოს მ. საბინინის მიერ გაწეული შრომა გარეჯის მონასტრის მოვლა-მოწესრიგებისათვის. **მან მონასტერში ჩაიტანა შეწირული ფულით პეტერბურგსა და მოსკოვში შეძენილი ძვირფასი ნივთები, რომელთა შორის გამოირჩეოდა ამერიკული ნიგვზის მოოქრული და მომინანქრებული კანკელი, დავით გარეჯელის საფლავის საფარი-შესამოსელი, ჯვრები, სხვადასხვა საეკლესიო ჭურჭელი, საღებავი და სხვ**. მას გაუთხრია წმ. დოდოს საფლავი, რომელიც უყურადღებოდ ყოფილა მიტოვებული და გადაუსვენებია დავითის მონასტერში.

მ. საბინინი მთელი სიმკაცრით ამხელს იმდროინდელი ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის დაუდევრობას, უმოქმედობას და სხვისი ხელის შეშლისკენ სწრაფვას. „...მიკიტხანებს, ცირკებს, კალუჩის ბალებს, მუშტაიდებს და მისის თანმხლებს მტილებს რაღა გადაურჩა? განა თვით წინამძღვრები არა ცდილობენ მონასტრების მოსპობასა?.. ვინ გააუქმა წმ. შიოს ლავრა? ვინ გააუქმა წმ. სტეფან ხირსელის მონასტერი? ვინა ჰსპობს ქვათახევის მონასტერს?“ — ასეთი ბრალდებით მიმართავს მეცნიერი საზოგადოებას. არ შეიძლება მ. საბინინის საქმიანობაში არ დავინახოთ მისი სულიერი სიახლოვე თერგდალეულებთან, კერძოდ, ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელთან.

მიხეილ საბინინი მოსკოვში ფილტვების ანთებით გარდაიცვალა და იქვე მიაბარეს მიწას წმინდა დანიელის მონასტერში. სამწუხაროდ, მისი საფლავის კვალი დღეს გამქრალია. მისი ოცნება კი იყო, საქართველოში დაკრძალულიყო, გარეჯის მონასტერში. ასე რომ, მისი მუდარა „დამმარხეთ საქართველოში“ აუსრულებელი დარჩა.

1900 წლის 13 მაისს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ მოკრძალებულ ადგილს უთმობდა განცხადებას, რომ „მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი გამომცემელი „საქართველოს სამოთხისა“, „საქართველოს დიდებისა“ და სხვა ისტორიულ თხზულებათა საქართველოს შესახებ მიხეილ (გობრონ) საბინინი“.

1904 წლის 27 ოქტომბერს მღვდელ-მონაზონი ტარასი „ივერიაში“ წერდა საქართველოს ისტორიისათვის მოსკოვის დიდი მნიშვნელობის შესახებ და გულისტკივილით აღნიშნავდა: „საბინინის უპატრონოდ და ობლად დარჩენილი საფლავი ვნახე და ტირილი მომივიდა... ჭეშმარიტად ეკუთვნოდა იმ კაცს, სურვილისამებრ მისისა, ჰღირსებოდა... მონასტერში (გარეჯის მონასტერში — რედ.) სამი არშინი ცივი დედამიწა. მაგრამ ვინ არის, სად არის, რომ დღეს უფასებდნენ ადამიანს ან საქმეს და ან შრომას“.

«ივერია» და ქართული ენის უფლებებისთვის ბრძოლა

„ივერიას“ დაარსებიდანვე ცხარე პოლემიკა მოუხდა ქართული ენის მტრებთან, ინდიფერენტულ ადამიანებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან და მაღალი რანგის „ჩინოვნიკებთან“. არავისთვის არაფერი შეურჩენია, არასოდეს უკან არ დაუხევია. ეს ბრძოლა არც ერთი წუთით არ შეუწყვეტია — „ივერიამ“ მხნედ აღმართა სკოლასა თუ საზოგადოებაში ქართული ენის უფლებებისათვის ბრძოლის დროშა.
ილიას რწმენით, „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი სული და გული ენაა“. ის ბოლომდე ერთგული დარჩა სიჭაბუკის დევიზისა — ჩვენ დედაენის შებღალვას მშობელ დედასაც არ ვაპატიებთო. ალბათ, იშვიათი შემთხვევაა, პერიოდულ გამოცემას ასეთი დიდი როლი ეთამაშოს ერის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში, ასეთი გავლენა მოეხდინოს მის აწმყოსა და მომავალზე.
როგორც ხელოვნებისა და ლიტერატურის დიდებულ ძეგლზე იტყვიან, უკვდავიაო, ასევე შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ივერია“ ჩვენი ხალხის მარად ცოცხალი, მარად საამაყო მონაპოვარია.

„ივერია“ უმნიშვნელოვანესი საფეხურია **ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში.** თუ მეტი არა, მას ისეთივე მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ, როგორც ილიასა და მისი თანამებრძოლების წერილებს 1861-62 წლების „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეში“. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, **„ივერია“ ავითარებს და აგვირგვინებს 1861 წელს დაწყებულ საქმეს, მათი ერთმანეთისაგან მოწყვეტილად განხილვა მართებულ დასკვნამდე ვერ მიგვიყვანს.**

ილია ჭავჭავაძის თეზისი, რომ ენის კანონმდებელი ხალხია და სალიტერატურო ენა ხალხის მეტყველებას უნდა დაუახლოვდეს, ბევრმა უკუღმართად გაიგო, ხოლო „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ პროცესმა ცალმხრივი მიმართულება მიიღო; 70-იან წლებში კრიზისული მდგომარეობა შეიქმნა; დიალექტიზმების უკონტროლო, კანონს დაუქვემდებარებელმა მოზღვავებამ ენაში ქაოტური ვითარება წარმოშვა. სამწუხაროდ, ამ მხრივ ცუდი როლი ითამაშეს „დროებამ“, „იმედმა“ და „მნათობმა“, რამაც საბაბი მისცა ძველი თაობის ისეთ ქურუმებს, როგორიც იყვნენ გრიგოლ ორბელიანი და დიმიტრი ყიფიანი, ხმა აემაღლებინათ ქართულ სალიტერატურო ენაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის წინააღმდეგ.

მათ ცოცხალი მაგალითებით წარმოუდგინეს მკითხველს, რა განსაცდელში ჩავარდა **„სალიტერატურო ქართული ახალი პატრონების ხელში“,** რომლებიც არავითარ წესსა და კანონს, არავითარ გრამატიკას არ სცნობდნენ.

ილია ჭავჭავაძეს პასუხი არ გაუცია მათთვის, ძირითადად, უთუოდ იზიარებდა გრიგოლ ორბელიანის შენიშვნებს. მასში თანდათან მწიფდებოდა ის აზრი, რომ აუცილებელი იყო 1861 წელს დაწყებული საქმის გაგრძელება, დაშვებული შეცდომების გამოსწორება, ახალი სალიტერატურო ენის პრობლემათა პრაქტიკულად გადაწყვეტა.

უდავოა, „ივერიის“ დაარსების ერთი უმთავრესი მიზეზი ესეც იყო.

ილიამ პირველი ნომრიდანვე მწვავედ დააყენა სალიტერატურო ენის პრობლემა და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, პრაქტიკულად გვიჩვენა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნიმუშები.

მოწინააღმდეგეებმა პირველი ნომრიდან ცხარე კამათი გაუმართეს რედაქტორს. ამტკიცებდნენ, **„უფალ ჭავჭავაძეს ეხლა ალბათ შეშინებია იმ მიმართულების, რომელიც თვითონვე დაამყარაო. „ივერიის“ პირველ ნომერში ის უკან დახეულა ძველ მწიგნობრულ ენისკენ“.**

აქედან აშკარაა, რომ ამ აზრის მომხრეებს მართებული წარმოდგენა არ ჰქონიათ სალიტერატურო ენის ხალხურ მეტყველებასთან დაახლოების არსზე, რასაც ისინი „საქართველოს მოამბის“ შემდეგ წინ წადგმულ ნაბიჯს უწოდებენ: „პროვინციული დიალექტების ჩართვა“ სინამდვილეში საფთრთხეს უქმნიდა სალიტერატურო ენას, ხოლო რასაც ილიას უკანდახევად აცხადებდნენ, სალიტერატურო ქართულის შემდგომი აღმავლობის, მისი გადარჩენის ინტერესებით იყო ნაკარნახევი. მოზღვავებულ დიალექტიზმებს, პროვინციის ანარქიულ მოძალებას შეკავება ესაჭიროებოდა. „ივერიას“ სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, ამითაც გამართლე-

ბული იქნებოდა მისი არსებობა.

მოპაექრენი ტენდენციურობას იქამდე მიჰყავდა, რომ ენის საკითხში ილია ჭავჭავაძის უკანდახევის დასამტკიცებლად ერთმანეთს ადარებდნენ „კაცია-ადამიანი?!"-სა და მისი ახალი პუბლიცისტური, მეცნიერული თხზულებების ენას, თითქოს დრო, ჟანრი, შინაარსი არავითარ გავლენას არ ახდენდეს ენასა და სტილზე. წამოაყენეს დეზორიენტაციული დებულება, რომელიც ერთიანი სალიტერატურო ენის უარყოფის ვიზაა: **„ყველგან მწერლობა თანდათან და უფრო და უფრო უახლოვდება ცოცხალ ენას და თავის გრამატიკას ამ ენის თვისებებზე ადგენს და არა ძველ ნაწერებში ეძებს".** მათ წინაშე კითხვაც არ ისმოდა: სანამ უნდა გაგრძელებულიყო ეს „ცოცხალ ენასთან უფრო და უფრო მიახლოვება", სრულ გათქვეფამდე ხომ არა? ან, ძველ ნაწერებში რატომ არ უნდა ჩავიხედოთ გრამატიკის შედგენისას! „ივერიის" მესვეურები სამართლიანად მიუთითებდნენ: **„ახალი ენა ბევრ რამეს იძენს ძველი ენიდანო"**.

სალიტერატურო ენის გარშემო კამათმა ბევრი მტერი გაუჩინა „ივერიას" და პირადად ილია ჭავჭავაძეს. მოწინააღმდეგეები პროვინციალიზმებით დანაგვიანებულ „უგრამატიკო ენას" უწოდებდნენ „ახალს", ხოლო კანონებს დაფუძნებულ, ერთიან სალიტერატურო ენას — „ძველს".

„ივერია" უკომპრომისოდ ებრძოდა პროვინციალიზმებს. „საყმაწვილო ჟურნალში სრულიად არ უნდა ჰქონდეს ხელი პროვინციალიზმებს, ენა უნდა იყოს წმინდა ქართული, ლიტერატურული" (მ. ნასიძე). „პროვინციალიზმი მხოლოდ მაშინ უნდა ჩაერიოს ენაში, როდესაც რომელიმე საგნის ცნება არ მოიპოვება სალიტერატურო ენაში" (სტ. ჭრელაშვილი).

ილია ჭავჭავაძემ ყველაფერი იღონა იმისათვის, რათა „ივერიას" არა მარტო თეორიულად დაეცვა ერთიანი სალიტერატურო ენის პრინციპები, არამედ შემოქმედებითი პრაქტიკითაც დაემტკიცებინა მისი უპირატესობა, დაემკვიდრებინა იგი ყველა ჟანრში. ილია პირადად ასწორებდა თითოეულ მასალას, და, როგორც ს. მგალობლიშვილის, ი. მანსვეტაშვილის, ა. ახნაზაროვის, გ. ლასხიშვილისა და სხვათა მოგონებებით ირკვევა, ხშირად რამდენიმე საათს ანდომებდა ერთი პატარა წერილის გასწორებას.

ილია ჭავჭავაძეს არ აკმაყოფილებდა ქართული ენის მეცნიერული შესწავლის არსებული მდგომარეობა და „ივერია" დაჟინებით მოითხოვდა ქართული გრამატიკის შექმნას. ამ ამოცანებს ემსახურებოდა რედაქციაში დაწესებული „ხუთშაბათობები", რომელთაც პირადად ილია უძღვებოდა.

სალიტერატურო ენის განვითარების, დაცვისა და დამკვიდრებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა „ივერიის" მხატვრულ-ლიტერატურულ ნაწარმოებებს. ილიამ „ივერიის" კარი ფართოდ გაუღო სამაგალითო მოქართულეებს: აკაკი წერეთელს, ალექსანდრე ყაზბეგს, ივანე მაჩაბელს, ვაჟა-ფშაველას, ნიკო ლომოურს, სოფრომ მგალობლიშვილს, ეკატერინე გაბაშვილს, იონა მეუნარგიას, გრიგოლ ყიფშიძესა და სხვებს.

ახალი სალიტერატურო ენის გამდიდრება და გავრცელება იყო ერთი უმთავრესი მიზანი იმისა, რომ ილიამ დიდი გატაცებით მოჰკიდა ხელი ევროპული პროზის თარგმნას.

ილიამ პირველი ნომრიდანვე მწვავედ დააყენა სალიტერატურო ენის პრობლემა და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, პრაქტიკულად გვიჩვენა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნიმუშები.

ვინც მოყვარესა არ ეძებს...

ილია ჭავჭავაძის მთელი ცხოვრება, მოღვაწეობა და შემოქმედება სამშობლოს უანგარო სამსახურის შუქითაა გაბრწყინებული. საზოგადოებრივი და პრაქტიკული მოღვაწეობის მრავალფეროვან ასპარეზზე ილია ჭავჭავაძე მხოლოდ ხალხის ინტერესებით ხელმძღვანელობდა. ილია — რედაქტორი, ილია — მომრიგებელი მოსამართლე, ილია — ბანკის მმართველი თუ სახელმწიფო საბჭოს წევრი ისეთივე ხალხის მსახური იყო, როგორც ილია პოეტი და ბელეტრისტი.

ცნობილია, რომ ილია დიდ მომჭირნეობას იჩენდა, რათა დანაზოგი სახსრები ქართული პრესის, ლიტერატურის, სკოლის, თეატრის განვითარებისათვის გამოეყენებინა. ილია უარს უცხადებდა ჰონორარზე, მაგრამ მუდამ დაბეჯითებით მოითხოვდა, დახმარება დაენიშნათ ღარიბი, ნიჭიერი მწერლებისა და მოღვაწეებისთვის.

ყოველგვარ სახსარმოკლებული, „საქართველოს მოამბის" გამოცემით დავალიანებული ილია, ჯერ ისევ 1864 წელს თავის მეგობარ კირილე ლორთქიფანიძეს სწერდა:

„...ფულისას იწერები. ნეტა, ჩემო ძმაო, იმოდენა ფული აიღო, რომ შენი შრომის და წიგნის ხარჯი გამოგივიდეს და სხვაზედ ნურას ნაღვლობ. თუნდ რომ ბევრი ფულიც დაგრჩეს, მაინც მე წინადვე უარი მიყვია: შენ თითონ მოიხმარე — ეგ უკეთესი იქნება, ან სხვას მოახმარე, იმისთანას, რომელიც გაჭირვებულია. მანდ ჩვენი ამხანაგები ბევრი იმისთანანი არიან, რომელთაც დღიური ლუკმაც უჭირს, პირველი ჩვენი შრომის შემოსავალი იმათი კუთვნილია, იმათ გადაეცი. ჩვენი

ლექსები, დამიჯერე, უკეთესს ვერას იზამენ. არ ვიცი, სხვა რას ფიქრობს და ჩემთვის კი ისიც სამყოფია, რომ ჩემმა ლექსმა სხვათა შორის, ისიც შეიძლოს, რომ ერთ ჩვენთაგანს უფრო გაჭირვებულს ერთ თვეს მაინც მუცელი გაუძღოს. ამას გევედრები, რომ ამისთანა რამ ჩემის ხელით არ იყოს. ეს წიგნიც რომ დახიო, ურიგო არ იქნება“.

ოცდაათი წლის შემდეგ — 1895 წელს ალექსანდრე ნანეიშვილს ილია სწერდა:

„...პირობა დაიდვას ჩემსა და თქვენს შორის, რომ, ვიდრე გაზეთი არსებობს, თქვენ თქვენი ჯამაგირი გეძლიოთ იმისდა მიუხედავად — იქნება მაგდენი შემოსავალი თუ არა“.

ილია ჭავჭავაძის სახლი საგურამოში

ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება იმის ნათელსაყოფად, რომ ილია ჭავჭავაძემ სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე ვერ დააღწია თავი ხელმოკლეობას და მას არასდროს ჰქონია ისეთი მატერიალური პირობები, როგორიც მისი მდგომარეობის კაცს შეეფერებოდა.

ყოველივე ამის გამო, ერთი შეხედვით, გასაკვირია, რომ ილიამ საგურამოში სამსართულიანი სახლი ააშენა. თუმცა, ადვილი შესამჩნევია, რომ ეს დიდი სახლი და პატარა მამული შემოსავლის გადიდების მიზნით არ არის შექმნილი.

მაშ, რით უნდა ავხსნათ, რომ ილია ჭავჭავაძემ თავის რეალურ შესაძლებლობაზე გაცილებით მეტი ხარჯი გასწია საგურამოში სახლის ასაგებად და ამ საქმისათვის ვალის აღებასაც არ მოერიდა?

ჯერ კიდევ 1872 წელს პეტრე უმიკაშვილს ილია დუშეთიდან სწერდა: „...ჩემი აზრი ეს არის: „კრებული“ უნდა არსებობდეს უსათუოდ. ვიცი, ამ მდგომარეობაში, რომელშიაც ჩვენ ვართ, ძნელია, მაგ „კრებულს“ ნოყიერი საზრდო მივცეთ, რადგანაც ნიჭიერი მწერლები მაინც და მაინც არ გვყავს. იქნება, მაგ კრებულის საქმე რიგიანად წასულიყო, რომ მწერლებს ჟურნალის გარდა სხვა კავშირიც ერთმანეთთან ჰქონდეთ. მაგალითად, რომ ქალაქში ერთი იმისთანა სახლი მოხერხებულიყო, საცა შესაძლო ყოფილიყო მწერლებისა და სხვა თანამგრძნობელთა ერთად თავის მოყრა თვითეულის გონების საუნჯის აღებ-მიცემობისათვის. ჩვენდა საუბედუროდ, არც ეს ხერხდება, მართალი ხარ შენ: გაფანტულობა და დაქსაქსულობა გვღუპავს ჩვენ“.

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება რუსეთის პროგრესული აზრის აქტიური ზემოქმედების შედეგად გამოცოცხლდა; გადიდდა ქართველ მოღვაწეთა რიცხვი, ფრთა გაშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომლის სულისჩამდგმელი და მედროშე ილია ჭავჭავაძე იყო. ლიტერატურის, ხელოვნების, აქტუალური საზოგადოებრივი პრობლემების შესახებ ილია ჭავჭავაძის აზრის გაგება, მასთან მოლაპარაკება და მსჯელობა ამ საკითხების გადაჭრისა და განხორციელების აუცილებელ მოთხოვნილებად გადაიქცა. მაშინაც კი, როცა ეკონომიკური ხელმოკლეობის გამო, ილია ჭავჭავაძე დროებით მოწყვეტილი იყო თბილისს და დუშეთში ცხოვრობდა, მასთან სისტემატურად მიდიოდნენ ქართველი პროგრესული ინტელიგენციის წარმომადგენლები მოსათათბირებლად.

ამასთან დაკავშირებით ურიგო არ იქნება მოვიგონოთ ნიკო ნიკოლაძის შემდეგი საგულისხმო სიტყვები: **„საზღვარგარეთიდან რომ დავბრუნდი და ქართული ჟურნალისტიკის გაცხოველება განვიზრახე (70-იანი წ.), ილია ჭავჭავაძე... დუშეთს ცხოვრობდა, სადაც მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობას ასრულებდა. ჩემი პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ ყველა მაშინდელი ახალ თაობის მომხრენი შევაგროვე და დავაჯერე, დუშეთში ავიდეთ, ილია ჭავჭავაძე მოვიყვანოთ და ისევ ქართულ მწერლობას დავუბრუნოთ, ქართული საქმეების სათავეში ჩავაყენოთ-მეთქი. ამ აზრით და მიზნით 1871-1873 წლებში ხუთჯერ მაინც ავსულვართ დუშეთს „გროვით“ ქართული მწერლობის აღორძინების მოტრფიალენი შაქრო მაღალაშვილი, სანდრო ერისთავი — „ამერიკელი“, გიორგი ყაზბეგი, ნიკო მესხიშვილი, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, აკაკი, ნიკო ღოღობერიძე და თქვენი უმდაბლესი მოსამახურე. ბევრჯერ დაგვიპატიჟნია: „მოდით, მეთაურად გაგვიხდით, გვიწინამძღვრეთ, გვიმსახურეთ-მეთქი“.**

70-80-იან წლებში რუსეთსა და საზღვარგარეთ გაძლიერდა სა-

ქართველოს ცხოვრების, კულტურისა და ლიტერატურის გაცნობისა და შესწავლის სურვილი. ამ მიზნით ჩვენს ქვეყანაში მრავალი რუსი და უცხოელი სტუმარი ჩამოდის. კერძოდ, აღსანიშნავია დიდი რუსი დრამატურგის — ალექსანდრე ოსტროვსკისა და გამოჩენილი კომპოზიტორის — პეტრე ჩაიკოვსკის სტუმრობა საქართველოში. ცხადია, მოწინავე ქართველ ინტელიგენციას მხურვალე სურვილი ჰქონდა, შეხვედროდა და დაახლოებოდა მათ, გაეცნო მათთვის ჩვენი ქვეყნის ავკარგი, დაემყარებინა მათთან მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა. არანაკლებ საჭირო იყო იმ უცხოელ მოგზაურებთან ურთიერთობის დამყარება, რომელთაც საქართველოს ცხოვრების გაცნობა აინტერესებდათ. ილიამ არაფერი დაზოგა იმისთვის, რომ საქართველოს შესწავლით დაინტერესებული სტუმარი მისი პირადი სტუმარიც ყოფილიყო.

თბილისში ილია ჭავჭავაძეს არ გააჩნდა შემოქმედებითი მუშაობისა და დასვენების ნორმალური პირობები. მას არ ჰქონდა საკუთარი სახლი, ხოლო ყვარლის სახლ-კარი ძალიან დაშორებული იყო თბილისს, რომლისგანაც დიდი ხნით მოწყვეტა ილიას — „ივერიის“ რედაქტორს, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარეს, დრამატული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს, საადგილმამულო ბანკის დირექტორს — არ შეეძლო. შემოქმედებითი მუშაობისთვის მყუდრო ადგილსამყოფელის მოწყობაზე ილია დიდი ხნის განმავლობაში ოცნებობდა.

1872 წელს ამის შესახებ პეტრე უმიკაშვილს სწერდა: **„...ახლის რისიმე გამოგზავნას მენუკვი, მაგრამ ახალი მე გათავებული, ანუ უკეთ ვსთქვათ, შესრულებული არა მაქვს რა, რომ დასაგეჭდად ღირსი იყოს. გაგიკვირდება ჩემი ზარმაცობა, მაგრამ დამიჯერე, რომ ზარმაცობით არ მომდის. მე, სწორედ გითხრა, ცუდის აგებულების კაცი ვარ, დიდი მოსვენება და შეღავათი მინდა, რომ დავწერო რამე და მინამ მე ჩინოვნიკობას თავს არ დავანებებ — ეგ მოსვენება და შეღავათი ჩემთვის სიზმარია. თუ დავიწყე რამე და არაფერმა არ დამიშალა, დაწყობილს მალე შევასრულებ და თუ დაწყობილი შემაწყვეტინა რამემ, გათავდა: მე იმ დაწყობილს ვეღარ მივუბრუნდები“.**

ილიას სიმამრი, თადეოზ გურამიშვილი, იმ მცირერიცხოვან ქართველთა წრეს ეკუთვნოდა, რომელიც მხურვალე მონაწილეობას იღებდა ქართული მწერლობის განვითარებაში. 1832 წელს მისი ლექსი დაიბეჭდა სოლომონ დოდაშვილის ჟურნალში. სისტემატურად იწერდა ჟურნალ „ცისკარს“ და ფულით დაეხმარა ამ ჟურნალის რედაქციას პეტერბურგიდან ახალი საბეჭდი მოწყობილობის მიღებაში, რისთვისაც რედაქციისაგან მადლობა აქვს გამოცხადებული.

ამასთანავე, თადეოზ გურამიშვილმა თავის ქალიშვილებს იმ დროისათვის კარგი განათლება მიაღებინა. არ არის მართალი, თითქოს, თადეოზ გურამიშვილი ბოლომდე უკმაყოფილო ყოფილიყო ილიასთან ოლღას შეუღლებით. პირიქით, თადეოზის წერილებიდან ირკვევა, რომ მას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ახალგაზრდა სიძესთან, აფასებდა მას და რჩევა-დარიგებისთვისაც მიმართავდა.

თადეოზ გურამიშვილი 1875 წელს გარდაიცვალა. ამ დროს ილია უკვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული საგურამოსთან.

ეკ. გაბაშვილი ასე აღწერს ამ სახლს:

„პირველ ხანებში ილია ცხოვრობდა პატარა ხის ოთხოთახიან სადგურში, რომელიც კარგა მაღლობზედ, ზედაზნის ტყის პირას იდგა. სახლი უკან პირით მიქცეული იყო პატარა ეზოსკენ, რომელიც დაჩრდილული იყო რამდენიმე კაკლის ახოვანი ძირითა და იქვე ტყის პირას, კაკლებ შუა ეზოში სჩქეფდა პატარა წყარო, ლამაზი ქვათლილის აუზით...

...ილიას აგარაკი ფრიად სადად და უბრალოდ იყო გაწყობილი“.

ყველაზე სანდო მასალას ილიას სახლის აშენების შესახებ **არტურ ლაისტი** გვაწვდის. იგი წერს: **„1884 წელს, როცა მე პირველად ვიყავი საგურამოში, იქ მწვანე ქედზე იდგა უბირი, ოთხოთახიანი სახლი. ეს იყო ილიას აგარაკი, რომელიც მან 12-15 წლის წინათ ააშენა მეტად ცუდი მასალისაგან“**.

ამრიგად, 1876-1878 წლებში

ილია ჭავჭავაძემ ყველაფერი იღონა იმისათვის, რათა «ივერიას» არა მარტო თეორიულად დაეცვა ერთიანი სალიტერატურო ენის პრინციპები, არამედ შემოქმედებითი პრაქტიკითაც დაემტკიცებინა მისი უპირატესობა, დაემკვიდრებინა იგი ყველა ჟანრში. ილია პირადად ასწორებდა თითოეულ მასალას, და, როგორც ს. მგალობლიშვილის, ი. მანსვეტაშვილის, ა. ახნაზაროვის, გ. ლასხიშვილისა და სხვათა მოგონებებით ირკვევა, ხშირად რამდენიმე საათს ანდომებდა ერთი პატარა წერილის გასწორებას.

ილიას უკვე ჰქონდა საგურამოში, ზედაზნის მთის კალთაზე, საკუთარი ხის ოთხოთახიანი სახლი, სადაც იგი ქართველ, რუს და უცხოელ სტუმრებს იღებდა.

ახალი სახლის მშენებლობის დაწყება ილიამ მხოლოდ 1892 წელს მოახერხა: 1895 წელს სახლი უკვე მზად იყო.

„მისი მასპინძლობა ერთი ორად გადაიქცა, რადგან მას ახლა მიეცა სახსარი უფრო მეტი ხალხის მიღების", — წერს ა. ლაისტი.

80-იანი წლების დასაწყისიდან ილიას სახლი საგურამოში უკვე აქტიურ როლს ასრულებს საქართველოს საზოგადოებრივი აზრის, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში. აქ ილია ეწევა ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობას. საგურამოში დაიწერა „განდეგილი", „ბაზალეთის ტბა" და მთელი რიგი კრიტიკული და პუბლიცისტური წერილებისა. საგურამოში ილია ეპატიჟება ქართული კულტურისა და ლიტერატურის მოღვაწეებს სხვადასხვა საკითხზე მოსალაპარაკებლად. აქ გადაწყდა ქართული თეატრის აღორძინებასთან დაკავშირებული საქმეები, აქ მუშავდებოდა ქართული პრესის განვითარების ღონისძიებანი.

„ივერიის" თანამშრომელი ი. მანსვეტაშვილი ამის თაობაზე შემდეგ ცნობას გვაწვდის: „ილიასთან ხშირად მიხდებოდა ხოლმე საგურამოში ყოფნა, ხან რედაქციის საქმეების გამო, ხან დასასვენებლად. სახლი მაღლობზე იდგა. ჰაერი საუცხოვო იყო და გადასახედი ხომ თვალწარმტაცი. სახლის უკან იდგა დიდი გაშლილი კაკლის ხე, რომლის ქვეშ მუდმივი ჩრდილი და სიგრილე იყო. აქვე მოჩუხჩუხებდა პატარა წყარო და გამართული იყო პატარა აუზი".

80-90-იანი წლების თითქმის ყველა ქართველი მწერალი და მოღვაწე ნამყოფია ილია ჭავჭავაძესთან საგურამოში, „ილიაობას" კი იშვიათად თუ დააკლდებოდა რომელიმე მათგანი.

ეკატერინე გაბაშვილი საგურამოში ერთ-ერთი ასეთი შეყრილობის შესახებ წერს: „...დარბაზში

არტურ ლაისტი

შესვლის უმალ შესწყდა ჩემი გულის ფრიალი, პირზე სიხარულის ღიმილი გამეშალა, როცა, დარაზმული კნეინების მაგივრად, გარშემო სულ ნაცნობი პირები დავინახე: აკაკი, გოგებაშვილი, ცხვედაძე, მიქელაძე, ჭყონია, სარაჯიშვილი ალექსანდრე, თაყაიშვილი".

საგურამოში ილიას სტუმართა შორის დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ მოხუცი პოეტი რაფიელ ერისთავი, ნიკო ხიზანიშვილი, მსახიობი კოტე მესხი, პროფესორები: დავით ჩუბინაშვილი და ილია ოქრომჭედლიშვილი, პეტრე უმიკაშვილი, ნიკო ლომოური, სოფრომ მგალობლიშვილი, პეტრე ნაკაშიძე, ვალერიან გუნია, გიორგი ქართველიშვილი, დრამატურგი აქვსენტი ცაგარელი, გიორგი ლასხიშვილი, იონა მეუნარგია, დიმიტრი ბაქრაძე, ნატო გაბუნია და სხვ.

ილიას საყვარელი სტუმარი იყო ვაჟა-ფშაველა. ერთხელ საგურამოში მისი ლექსით მოხიბლულმა ილიამ გამოუტანა მას ოქროს კალამი და უთხრა:

— ჩემს სახსოვრად გქონდეს ეს! **შენ შემდეგ მე აღარ შემფერის ლექსების წერაო.**

ილია თვითონაც იწვევდა სტუმრებს საგურამოში, მაგრამ უფრო ხშირად მასთან დაუპატიჟებლად მიდიოდნენ რჩევა-დარიგებისა და დახმარებისათვის რუსეთისა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლაშესრულებული ახალგაზრდები, სტუდენტები, რომლებიც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსასვლელად ემზადებოდნენ.

საგურამოს სახლმა და მისმა სტუმართმოყვარე მასპინძელმა მრავალი ერთგული მეგობარი და მოამაგე შესძინა ჩვენს ქვეყანას. ილიას სახლი ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის კერა იყო. აქ ერთმანეთს ხვდებოდნენ ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, უცხოელი კულტურისა და ლიტერატურის მოღვაწეები; აქ იჭედებოდა და მტკიცდებოდა ეროვნული სოლიდარობა, ურთიერთგაგებისა და პატივისცემის კეთილშობილური გრძნობა.

ილია მისთვის ჩვეული გულგაშლილობითა და სიყვარულით ეგებებოდა საქართველოში ჩამოსულ რუს მოღვაწეებს. ხელს უწყობდა მათ ქართველი ხალხის ცხოვრების გაცნობაში.

დიდი მნიშვნელობა აქვს ილია ჭავჭავაძის სიტყვას, რომელიც მან 1899 წელს წარმოთქვა რუსი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ევგენი ლვოვის ძე მარკოვის პატივსაცემად გამართულ სადილზე. მასში მკაფიოდაა გამოხატული ღრმად დასაბუთებული რწმენა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ და, აქედან გამომდინარე, იმის შესახებაც, თუ რა როლს ანიჭებდა ილია საქართველოში რუსი სტუმრების პატივითა და დიდებით მიღებას.

XIX ს. 80-90-იან წლებში საქართველოში ბევრი უცხოელი სტუმარი მოდიოდა. მათი უმრავლესობა არ იყო დაინტერესებული ადგილობრივი ცხოვრების შესწავლით, ხალხთან დაახლოებით. ბევრ მათგანს კომერციული ინტერესი ჰქონდა. ბევრი ზემოდან

დაჰყურებდა კავკასიის მკვიდრთ და უცხოეთის ლიტერატურაში ათასგვარ სენსაციურ, გამოგონილ ცნობას ავრცელებდა. ამ მიზეზების გამო, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დიდი ხნის განმავლობაში არ იცნობდნენ საქართველოს ცხოვრებას, კულტურას, ლიტერატურას, მის აწმყოსა და წარსულს.

ბევრმა უცხოელმა სტუმარმა „თავი გამოიჩინა“ ყალბი ცნობების გავრცელებით. ილია ჭავჭავაძე დაუნდობლად ებრძოდა ამ ტიპის გადამთიელებს. ამხელდა მათ და ცდილობდა, გაექარწყლებინა მათი მონაჭორი. მაგრამ ილიამ ძალიან კარგად იცოდა, რომ მოსყიდულ ბურჟუაზიულ პრესაში გავრცელებული სიყალბის უარყოფა არც ისე ადვილი იყო. მას მწარე გამოცდილება ჰქონდა მიღებული: ფრანგი კალმოსნის — მურიეს საქციელმა იგი აიძულა, დუელში გამოეწვია ეს არამზადა.

მოწინავე ქართველი მოღვაწეები დარწმუნდნენ, რომ საჭირო იყო იმ პროგრესული, კეთილად განწყობილი უცხოელი მოღვაწეებისათვის ხელშეწყობა და დახმარება, რომლებიც საქართველოს შესასწავლად მოდიოდნენ აქ.

მხატვარ დავით გურამიშვილის წერილი ნიკო ნიკოლაძისადმი, რომელსაც ილია ჭავჭავაძის მინაწერიც თან ახლავს, ძვირფას ცნობებს შეიცავს იმის შესახებ, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ილია ჭავჭავაძე და მის გარშემო დარაზმული მოწინავე ქართველი მოღვაწეები უცხოელ სტუმრებთან ურთიერთობის დამყარებას და რა როლს ასრულებდა ამ საქმეში ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლი.

ილიას უცხოელი სტუმრები

პირველი უცხოელი სტუმარი, რომელიც ილია ჭავჭავაძემ საგურამოში მიიღო, გერმანელი მწერალი **არტურ ლაისტი** იყო.

არტურ ლაისტი საქართველოში 1884 წელს ჩამოვიდა, რაც ქართულმა პრესამ განსაკუთრებული მოწონებით აღნიშნა. „დროებაში“ აღწერილია, როგორ შეხვდნენ თბილისელები მას.

„ამ დღეებში ესტუმრა ჩვენს ქალაქს ბ-ნი არტურ ლაისტი. ეს ის ლაისტია, რომელმაც რამდენიმე წერილი დაბეჭდა ევროპულ ჟურნალ-გაზეთებში საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურაზე და რომელიც, ეს სამი წელიწადი იქნება, რაც დიდი ხალისითა და სიყვარულით სწავლობს ქართულ ენას, ისტორიას, ლიტერატურას. თვალყურს ადევნებს ქართველთ ცხოვრებას და წარმატებას და თავის შესწავლისა და ცოდნის ნაყოფს უზიარებს ევროპის მკითხველ საზოგადოებას... ბატ. ი. ჭავჭავაძემ მიიწვია სადილად არტურ ლაისტი და დაუპატიჟა ყველა ჩვენი მწერლები, ჟურნალისტები და ლიტერატორები. სამის ნახევარზე მასპინძლის სახლი გაივსო მოწვეულებით, რომელთაც იგი სათითაოდ აცნობდა საპატიო და სასურველ სტუმარს. სადილზე ი. ჭავჭავაძემ დალია სადღეგრძელო ლაისტისა და მიმართა მას მოკლე, მაგრამ გრძნობით სავსე სიტყვით, რომელიც მან ქართულად წარმოსთქვა და ნემენცურად გადაუთარგმნეს.

მეორე დღეს არტურ ლაისტი იყო „წერა-კითხვის საზოგადოების“ სამწერლოში; ნახა სურათები რუსთაველისა და თამარისა, გულმოდგინედ დაათვალიერა „საზოგადოების“ ხელნაწერთა ბიბლიოთეკა და სათითაოდ გადასინჯა ეტრატზე ნაწერი წიგნები მინიატურულის მხატვრობით. გასინჯა აგრეთვე „წესდება“ საზოგადოებისა და რამდენიმე ქართულად წაიკითხა“.

არტურ ლაისტის საქართველოში მოგზაურობის შედეგი იყო დიდი ერუდიციით დაწერილი „ქართველი პოეტები“, რომელიც 1886 წელს დაიბეჭდა ლაიპციგში და მალე პოლონურ ენაზედაც გამოვიდა.

შეიძლება ითქვას, ეს იყო საქართველოს შესახებ ევროპულ ენაზე გამოსული პირველი მართალი წიგნი, რომელმაც ფართო საზოგადოების ინტერესი გამოიწვია. მოწინავე რუსული პრესაც გამოეხმაურა ამ წიგნის გამოცემას. ნათელი შეიქმნა, რამდენად სწორი იყო ი. ჭავჭავაძის გადაწყვეტილება, როცა მან „დავიწყებული ლიტერატურის“ ავტორი არტურ ლაისტი საქართველოში მოიწვია.

1885 წელს ლაისტი ხელს ჰკიდებს დიდ საქმეს — „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას გერმანულ ენაზე და ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის დახმარებით სძლევს ამ

80-იანი წლების დასაწყისიდან ილიას სახლი საგურამოში უკვე აქტიურ როლს ასრულებს საქართველოს საზოგადოებრივი აზრის, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში. აქ ილია ეწევა ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობას. საგურამოში დაიწერა «განდეგილი», «ბაზალეთის ტბა» და მთელი რიგი კრიტიკული და პუბლიცისტური წერილებისა. საგურამოში ილია ეპატიჟება ქართული კულტურისა და ლიტერატურის მოღვაწეებს სხვადასხვა საკითხზე მოსალაპარაკებლად. აქ გადაწყდა ქართული თეატრის აღორძინებასთან დაკავშირებული საქმეები, აქ მუშავდებოდა ქართული პრესის განვითარების ღონისძიებანი.

მძიმე ამოცანას. პოემის თარგმანი დაიბეჭდა დრეზდენში 1890 წელს. ეს ევროპულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ პირველი თარგმანია ლექსად.

1906 წელს ლაისტმა დაბეჭდა თავისი დიდი ნაშრომი „ქართველი ხალხი“, რომელშიც ვრცლად გააშუქა საქართველოს წარსული და თანამედროვე ცხოვრება. ეს თხზულება თითქმის ყველა ევროპულ ენაზე გადაითარგმნა და დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს შესახებ ძირითად სახელმძღვანელო წყაროდ ითვლებოდა.

მარჯორი უორდროპი

არანაკლებ საინტერესოა ა. ლაისტის წიგნი „მგზავრის დღიური“, რომელშიც ძვირფასი მასალებია შეკრებილი ქართველი და სომეხი ხალხების ცხოვრებაზე, ამ ქვეყნების ბუნებაზე, ისტორიისა და ხელოვნების ძეგლებზე.

1922 წელს საქართველომ ზეიმით აღნიშნა ა. ლაისტის მოღვაწეობა ქართული ლიტერატურის ასპარეზზე. „ბახტრიონი“ ამ იუბილესთან დაკავშირებით წერდა: „თითქმის ორმოცმა წელმა განვლო მას აქეთ, რაც ილია ჭავჭავაძემ არტურ ლაისტს ჩვენს ქვეყანაში მშვიდობით მოსვლა მიულოცა და იმედი გამოთქვა, რომ არტურ ლაისტი... შემაერთებელ ხიდად შეიქმნებაო და დღეს, როცა მადლიერი ქართველი საზოგადოება ზეიმობს ლაისტის წარსულს მოღვაწეობას, თამამად შეუძლია თქვას, რომ ჩვენის ცხოვრების დედაბოძს პოეტს სავსებით გაუმართლდა თავისი იმედი, არტურ ლაისტმა პირნათლად შეასრულა ეს მისია შუაკაცობისა ჩვენსა და ევროპას შორის, თუ მაშინ მოხარულნი იყვნენ არტურ ლაისტის აქ მოსვლით, დღეს უკვე მადლიერნი ვართ მის მიერ გაწეული ამაგითა“.

არტურ ლაისტი გარდაიცვალა 1926 წელს და დიდი პატივისცემით იქნა დასაფლავებული დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

ვ. მორფილის წერილებმა არტურ ლაისტის თარგმანებთან ერთად, უფრო საგრძნობი გახადა ინგლისურ ენაზე ქართული მხატვრული ლიტერატურის თარგმნის აუცილებლობა. ეს გარემოება ილიასაც აფიქრებდა და გასაგებია ის სიხარული, რომლითაც იგი ახალგაზრდა ინგლისელი ქალის — მარჯორი უორდროპის წერილს შეხვდა.

მარჯორი უორდროპი ილიას აცნობებდა, რომ ინგლისურ ენაზე თარგმნა „განდეგილი“ და გამოცემის ნებას სთხოვდა.

მარჯორი უორდროპი პირველად 1894 წელს ეწვია საქართველოს, მეორედ — 1896 წელს. ამჯერად თან ჩამოჰყვა მთელი ოჯახი — დედა, მამა და ძმა ოლივერი — ავტორი წიგნისა „საქართველოს სამეფო“, რომლის ზეგავლენითაც მარჯორი უორდროპმა შეისწავლა ქართული ენა და ლიტერატურა.

ილია ჭავჭავაძის იმედი მარჯორი უორდროპმაც გაამართლა. შეისწავლა ძველი და ახალი ქართული ლიტერატურა, ყურადღებით ადევნებდა თვალს თანამედროვე ქართულ მწერლობას. ინგლისურად გამოსცა „ცხოვრება წმინდა ნინოსი“, „განდეგილი“, ქართული ხალხური ზღაპრები, „სიბრძნე სიცრუისა“.

მარჯორი უორდროპის მთავარი დამსახურება მაინც „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ ენაზე თარგმნასთანაა დაკავშირებული, რასაც ათ წელზე მეტი მოანდომა. „ვეფხისტყაოსანი“ და „განდეგილი“ შესრულებულია პროზით, მაგრამ ეს არ ამცირებს მათ მხატვრულ მნიშვნელობას.

მარჯორი უორდროპმა შთააგონა გამოჩენილ რუს პოეტს — კ. ბალმონტს, ეთარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, დაეხმარა თარგმნაში. „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანის წინასიტყვაობაში კ. ბალმონტი გადმოგვცემს, რომ მან გემზე გაიცნო მარჯორი უორდროპი, ისინი ერთად მიემგზავრებოდნენ ინგლისში. ლაპარაკი ჩამოვარდნილა ქართულ ლიტერატურაზე და მარჯორის მისთვის წაუკითხავს „ვეფხისტყაოსნის“ საკუთარი თარგმანი, რომელსაც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია.

ილია ჭავჭავაძის ენერგიულმა მოღვაწეობამ სერიოზული როლი შეასრულა ქართული კულტურისა და ლიტერატურის პოპულარიზაციაში.

ალექსანდრე კალანდაძე,
წიგნიდან „გვაქვს საგანძური...“,
თბილისი, 1986

ილია ჭავჭავაძის იმედი მარჯორი უორდროპმაც გაამართლა. შეისწავლა ძველი და ახალი ქართული ლიტერატურა, ყურადღებით ადევნებდა თვალს თანამედროვე ქართულ მწერლობას. ინგლისურად გამოსცა «ცხოვრება წმინდა ნინოსი», «განდეგილი», ქართული ხალხური ზღაპრები, «სიბრძნე სიცრუისა».

ᲙᲠᲬᲐᲜᲘᲡᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ

აღა-მაჰმად-ხანმა თავისი ძალაუფლების განმტკიცების შემდეგ ერეკლე II-ს მოსთხოვა ქართლ-კახეთის სამეფოზე სპარსეთის ბატონობის აღდგენა და რუსეთთან კავშირის გაწყვეტა. გეორგიევსკის ტრაქტატის ერთგული ერეკლე II რუსეთის მთავრობას დახმარებას სთხოვდა. სექტემბრის დასაწყისში აღა-მაჰმად-ხანი 35-ათასიანი ჯარით საქართველოსკენ გამოემართა და 8 სექტემბერს სოღანლუღ-იაღლუჯის ჩრდილოეთ კალთებსა და კუმისის ტბას შორის, მდ. მტკვრის ნაპირზე, ე. წ. სარვანის მინდორზე, დაბანაკდა.
სპარსელთა ჯარში თავიანთი ლაშქრით იყვნენ განჯის მმართველი ჯავად-ხანი, ყარაბაღელ სომეხთა მელიქები მეჯლუმი და ჰაბოვი, ერევნის ხანი.
1795 წლის 8—11 სექტემბერს ქართლ-კახეთისა და სპარსეთის ლაშქარს შორის კრწანისის ველზე ბრძოლა გაიმართა.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ

ქართველთა სარდლობამ გადაწყვიტა, გამოეყენებინა მისადგომების რელიეფი და ეიძულებინა მტერი, ებრძოლა ისეთ პირობებში, რომ ვერ მოეხერხებინა ჭარბი ძალების გაშლა და ბრძოლაში ჩაბმა. ამასთან, ქართველებმა, მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარეს თავდაცვითი ზღუდეებისა და პოზიციების შესაქმნელად.

ქართველთა ლაშქარი 5 ათასამდე კაცს ითვლიდა, აქედან 2 ათასი იმერეთის სამეფოდან იყო, მათ **სოლომონ II*** მეთაურობდა. 9 სექტემბერს, დილით, ქართველთა ნაწილების დასაზვერად და ხელსაყრელი პოზიციებიდან გამოსატყუებლად ირანელთა ავანგარდი სოღანლუღიდან ორჯერ გადავიდა იერიშზე. ქართველთა მეწინავე რაზმმა მტერი ორჯერვე ახლოს მიუშვა, შემდეგ კი ერთბაშად ცეცხლითა და მოულოდნელი იერიშით უკუაქცია.

10 სექტემბერს სპარსელებმა ჩათვალეს, რომ სოღანლუღის მხრიდან ვიწრო საქარავნე გზით წასვლა თბილისისკენ რთული იყო და ამიტომ სომეხი მელიქების რჩევით გადაწყვიტეს თელეთიდან შინდის-ტაბახმელისკენ ასვლა, იქიდან კი კრწანისის ველზე დაშვება, საიდანაც სეიდაბადის გავლით იოლად მიადგებოდნენ თბილისს. ამ გზით თაბორის ქედიდანაც შეიძლებოდა პირდაპირ აბანოთუბანში დაშვება. მტრის მეწინავე რაზმმა (3–4 ათასი კაცი) მძლავრად შეუტია ქართველთა გამაგრებულ ხაზს ტაბახმელასა და შინდისს შორის.

ერეკლეს ბრძანებით, 10 სექტემბერს ბრძოლას **დავით ბატონიშვილი** სარდლობდა. მისი რაზმი და არტილერია თაბორის ქედის სამხრეთ ფერდობებთან, შინდისის მიდამოებში განლაგდა და მიზანში თელეთის ქედის ჩრდილო ფერდობები ამოიღო, რადგან მტერი აქედან უნდა დაშვებულიყო კრწანისის ველისაკენ. კრწანისის ველის მიდამოებში (დაახლოებით იქ, სადაც ახლა ე.წ. სამთავრობო აგარაკები, ოფტალმოლოგიური კლინიკა და სასჯელაღსრულებითი დაწესებულებებია), მოხერხებულად განთავსდნენ **ოთარ ამილახვრის, იოანე მუხრანბატონის, ზაქარია ანდრონიკაშვილის** რაზმები, იმერელთა რაზმი **ზურაბ წერეთლის** მეთაურობით. ერეკლე თავისი მებრძოლებით სეიდაბადის ბოლოს, კრწანისის ველის განაპირას იდგა. როდესაც მტერმა თელეთის ქედზე გადმოსვლა დაიწყო, დავითმა მათ მეწინავე რაზმებს ზარბაზნის ცეცხლი დააყარა და დიდად დაზარალებული მტერი რამდენიმეჯერ უკან შეაბრუნა, მაგრამ სპარსელებს ახალი, დასვენებული დიდი ძალა ემატებოდა თელეთის ქედის მეორე მხრიდან. მტერთან ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმა ქართველთა სხვა რაზმებსაც მოუწია.

ბოლოს 75 წლის ერეკლემ ბაირაღი აიტაცა, იშიშვლა ხმალი და მომხდური მტრის რაზმების შუაგულში შევარდა. მას შვილიშვილი, სოლომონ მეორეც მიჰყვა. მეფეების თავგანწირვით აღფრთოვანებული ქართველები ლომებად იქცნენ და საღამოსათვის მრავალრიცხოვან მტერს დიდი დანაკარგით უკან დაახევინეს. მათი განახევრებული რაზმები თელეთის ქედის მეორე მხარეს, თავიანთ ბანაკისკენ გადადევნეს. 10 სექტემბერს ქართველები გამარჯვებული მობრუნდნენ თბილისში.

ᲦᲐᲚᲐᲢᲘ

გადმოცემით, პირველი ბრძოლით დაშინებული აღა-მაჰმად-ხანი თურმე უკან გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ ღამით ციხიდან მოღალატეთა ხელშეწყობით გაპარულმა სპარსელთა ჯაშუშმა დაარწმუნა შაჰი ქართველთა სისუსტეში, თუმცა სათუოა, რომ აღა-მაჰმად-ხანს უკან გაბრუნება გადაეწყვიტა, რადგან ბრძოლებში გამოცდილ, თბილისთან ახლოს მოსულ შაჰს პოზიციური, თუნდაც დამარცხებული ბრძოლის შემდეგ უარი რომ ეთქვას წინსვლაზე, ძნელად წარმოსადგენია.

აღა-მაჰმად-ხანმა თავისი ჯარი 14 ნაწილად დაჰყო. მისი ჯარი, წინა დღის მარცხის მიუხედავად,

სოლომონ II (გამეფებამდე დავითი) — ცხოვრობდა 1772—1815 წლებში, იმერეთში მეფობდა 1789-1810 წლებში; იყო სოლომონ I-ის ძმის — არჩილის ძე. დედამისი იყო ერეკლე II-სა და დარეჯანის ასული – ელენე. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიერ შერაცხულია წმინდანად, როგორც სამშობლოსათვის თავდადებული. ხსენების დღე – ძვ. სტ. 7 თებერვალი, ახ. სტ. 20 თებერვალი.

ᲙᲠᲬᲐᲜᲘᲡᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ, ᲡᲔᲕᲔᲠᲘᲐᲜ ᲛᲐᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲜᲐᲮᲐᲢᲘ

ᲨᲔᲓᲔᲒᲘ: ქართველთა დამარცხება; თბილისის აღება და გაძარცვა; 15 000 ქართველის ტყვედ წაყვანა სპარსეთში.
ᲛᲮᲐᲠᲔᲔᲑᲘ: ქართლ-კახეთის სამეფო და სპარსეთის იმპერია
ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲔᲑᲘ: ერეკლე II და აღა-მაჰმად ხანი
ᲫᲐᲚᲔᲑᲘ: 7 000 ქართველი 35 000 სპარსის წინააღმდეგ
ᲓᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲔᲑᲘ: ქართველთა: 6 850; სპარსთა: 13 000 კაცი.

რაოდენობრივად 6-ჯერ თუ 7-ჯერ მეტი იყო ქართველთა ჯარზე. ძალები მეტად უთანასწორო იყო. შაჰმა თავის ჯარს უკან 6 ათასი თურქმენი ჩაუყენა და უბრძანა – უკანდახეული სპარსელი მებრძოლები ადგილზე გაენადგურებიათ.

11 სექტემბერს, დილის 7 საათზე, ირანელთა ლაშქარი მტკვარ-შავნაბადის ვიწროებით თბილისისაკენ დაიძრა და საათ-ნახევრის შემდეგ ქართველთა საბრძოლო დაცვის პირველ პოზიციებს შეუტია. შაჰმა გადაწყვიტა, რომ შეტევა თბილისზე ორივე მხრიდან ეწარმოებინა, ამისათვის 5 ათასამდე კაცი, ისე, როგორც 10 სექტემბერს, თბილისთან ზურგიდან მისავლელად თელეთის მიმართულებით გაგზავნეს. თავად შაჰმა, ძირითადი ძალებით სოღანლუღის ვიწრო, კლდოვან ფერდობებზე განლაგებულ საქარავნე გზით გადაწყვიტა თბილისისაკენ წამოსვლა.

11 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲯᲐᲠᲡ ᲔᲠᲔᲙᲚᲔ ᲡᲐᲠᲓᲚᲝᲑᲓᲐ. წინა დღის მსგავსად, დაცვის მარჯვენა ფრთაზე, შინდის-ტაბახმელადან გადმოსასვლელ გზებზე მდგარ ჯარს დავით ბატონიშვილი მეთაურობდა. მეწინავე რაზმს იოანე ბატონიშვილი ჩაუდგა სათავეში. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მიდამოებში განლაგებულ ქართველთა მარცხენა ფრთას იოანე მუხრანბატონი უფროსობდა. თვით ერეკლე, ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობის გარდა, იცავდა სეიდაბადისკენ მიმავალ ცენტრალურ გზას. ის თავისი რაზმით შემაღლებულ ადგილზე განთავსდა. ოთარ ამილახვრისა და თავისი ვაჟიშვილის — ვახტანგის რაზმები, როგორც სარეზერვო, თავისთან ახლოს იახლა მეფემ. იმერელთა ათასკაციანი რაზმი ერეკლესაგან მარჯვნივ განლაგდა, ხოლო 500 იმერელი მებრძოლი აბანოს კარის მიდამოებში დარჩა, რათა საჭიროების შემთხვევაში მეზარბაზნეებს დახმარებოდნენ. ამინდი ღრუბლიანი და წვიმიანი იყო.

სოღანლუღის გზით წამოსული შაჰი თბილისისკენ მომავალ საქარავნე გზის მთიან ნაწილს მოადგა (დაახლოებით იქ, სადაც დღეს მარნეულისა და რუსთავის გზები იყოფა, გზის ერთ მხარეს თელეთის ქედის კლდოვანი ფერდობები იყო, მეორე მხარეს — ადიდებული მტკვარი. მთებზე ჩასაფრებულმა ქართველებმა ასეულობით მებრძოლი დაუხოცეს მტერს და გადაადგილების საშუალება არ მისცეს. შაჰი დარწმუნდა, რომ წინსვლა ამ გზით შეუძლებელი იყო.

ბრძოლაში გამოცდილი შაჰი უკან დახევას არ აპირებდა, უეცრად მან ცხენი შეაბრუნა ადიდებული მტკვრისკენ და თავისიანებს შესძახა: „ვინც ჩემი ერთგულია, მომყევითო. თუ მტკვარმა წამიღო, ჩემი გვამი ამოიღეთ და მიწაში დაფალითო“. შაჰმა მდინარე გადაცურა, მებრძოლთა ნაწილი უკან მიჰყვა. 300–მდე სპარსელი დაახრჩო ადიდებულმა მტკვარმა. ნავთლუღისკენ გასული შაჰი, რამდენიმე ათასი კაცით მტკვრის მარცხენა ნაპირს აღმა აჰყვა და გაღმიდან თელეთის ქედის ფერდობები დაათვალიერა. ნახა, რომ ქართველებს ძალზე მცირე რაოდენობით ჰყავდათ მებრძოლები. ქართველთა მეწინავე რაზმის მებრძოლებმა, რომელნიც საქარავნე გზას იცავდნენ, ჩათვალეს, რომ ალყაში ექცეოდნენ და უკან, თბილისისკენ, დაიხიეს. გზა განთავისუფლდა და მტკვრის მარჯვენა მხარეს დარჩენილი სპარსელთა ჯარის ნაწილიც ამ გზით დაიძრა. შაჰმა კი თავისი ჯარი უკან, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მოღალატეების მიერ ნაჩვენები ფონით გადმოიყვანა ორთაჭალის მიდამოებში და აქ გაერთიანებული სპარსელები ბრძოლით წამოვიდნენ სეიდაბადისკენ.

იმ მომენტში, როდესაც მოწინა-

აღმდეგეებს ერთმანეთისგან ერთი პატარა ხევი და ბაღნარები ყოფდათ, სეიდაბადის სამხრეთი კალთებიდან შეტევაზე გადავიდა ვახტანგ ბატონიშვილის 2-ათასიანი რაზმი, რომლის ამოცანა იყო სპარსელთა ჯარის შუაზე გაკვეთა. მტერმა მთავარი ძალები ამ რაზმის უკუგდებაზე დააბანდა. სასტიკი ბრძოლა გაიმართა. აღამაჰმად-ხანის ცხენს ზარბაზნის ტყვია მოხვდა და სისხლისმსმელი შაჰი ატალახებულ მიწაზე გაგორდა. ვინ იცის, როგორ შეიცვლებოდა ომის ბედი, ტყვია რომ მის მხედარს მოხვედროდა.

ამ დროს ერეკლე II-მ კონტრშეტევაზე გადასვლა ბრძანა, მაგრამ მძიმე ბრძოლებში ქართველთა ისედაც მცირე ძალები თანდათან ამოინურა და ნელ-ნელა უკან დახევა დაიწყეს. ქართველთა ჯარი თავის პირველ პოზიციას, მესამე სანგრის მიდამოს დაუბრუნდა და იქ სცადა გამაგრება.

ამავე დროს, დაცვის მარჯვენა ფრთაზე, თელეთის მიდამოდან შინდის–ტაბახმელასთან ამოსულმა სპარსელებმა უეცარი იერიში მიიტანეს დავით ბატონიშვილის რაზმზე, ქართველთა მხრიდან ხანგრძლივი და თავდაუზოგავი ბრძოლის მიუხედავად, გადმოლახეს ეს წინააღმდეგობა. დავით ბატონიშვილმა, მტერს რომ ხელში არ ჩავარდნოდა, ზარბაზნები წყლიან ხევში გადაყარა და მისმა რაზმმა ეს პოზიცია დატოვა. ამის შემდეგ ქართველებისათვის ზურგიდან შემოსავლელად და უკანდასახევი გზის მოსაჭრელად რამდენიმე ასეულისაგან შემდგარი ცხენოსანი რაზმი შინდისის მიმართულებიდან თავისუფლად დაიძრა, რათა თაბორის ქედით პირდაპირ აბანოთუბანში დაშვებულიყო. მტრის ეს მანევრი ქართველთა სარდლობამ შენიშნა და იმერელთა ათასეულის მეთაურისა და არტილერიის უფროსის — გურამიშვილის გასაფრთხილებლად შიკრიკი გაგზავნა, მაგრამ იგი გზაში მოკლეს. ქართველები ალყაში ექცეოდნენ.

კრწანისის ომის პანაშვიდი ტფილისში, 1895 წელი

ქართველთა წარუმატებლობა

გმირულად იბრძოდნენ ქართველები. ვახტანგ ბატონიშვილის რაზმის წევრები, რაზმისა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ 300 არაგველი, ქიზიყელნი, თბილისელი მებრძოლები, მათ შორის მსახიობები — მაჩაბელას სიმღერით გამხნევებულნი, თავდაუზოგავი ბრძოლის შემდეგ სიმღერით შეხვდნენ სიკვდილს. ერეკლეს ერთგული 200 თათარი განსაკუთრებული სისასტიკით დახოცა მტერმა. **არაგველები იქით მიიწევდნენ, სადაც შაჰის ბანაკი იყო, და თვალწინ დაუხიეს დროშები შაჰს**. საკვირველი გმირობა გამოიჩინეს ქართველმა არტილერისტებმა მაიორ გურამიშვილის მეთაურობით. ერთი საათის ბრძოლის შემდეგ ქართველთა ლაშქარი მესამე სანგრიდან მეოთხეში გადავიდა, აქაც ერთი საათი იბრძოდა და შემდეგ უკან დახევა დაიწყო.

დღის მეორე ნახევარში აღამაჰმად-ხანმა მთელი რეზერვები ბრძოლაში ჩააბა და ქართველებს დევნა დაუწყო. ქართველთა მეზარბაზნეებმა მოახერხეს მტრის შეტევის დროებით შეკავება. **ერეკლე ალყაში ექცეოდა, მტერი დაატყვევებდა ან მოკლავდა მეფეს, მაგრამ ერთგულმა თანამებრძოლებმა, მათ შორის შვილიშვილმა, იოანე ბატონიშვილმა, მედგარი ბრძოლით მოაშორეს სპარსელები და ძალით გამოიყვანეს მეფე ბრძოლის ველიდან.** მან და მისმა 150-მდე მხედარმა თბილისზე გავლით საგურამოსკენ გასწია და ბოლოს თავი მთიულეთს შეაფარა. მცირე ხნის შემდეგ მტერი ქალაქში შევიდა. მოსახლეობამ მას ქუჩაში გაუმართა ბრძოლა. სპარსელებმა თბილისი ჯერ გაძარცვეს, შემდეგ დაარბიეს და ცეცხლს მისცეს, მრავალი ათასი მცხოვრები ტყვედ წაიყვანეს. მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილისა და გადამდები სნეულებისაგან დაიღუპა. ქართლის სოფლებს მოთარეშეთა რაზმები შეესივნენ. კრწანისის ბრძოლამ დიდი ზარალი მიაყენა აღმოსავლეთ საქართველოს.

ოდესღაც სარკინოზი, შემდგომ ქრისტიანი, ხოლო სულითა და გულით ქართველი

1230 წლის წინათ არაბებმა თბილისში აბო თბილელი აწამეს

VII საუკუნისის მეორე ნახევრიდან არაბებმა მკვიდრად მოიკიდეს ფეხი კავკასიაში. არაბთა ხალიფატი უშუალო მეზობელი გახდა ლაზეთის სამთავროსი. სარკინოზთა უღელმა მძიმე დღეში ჩააგდო ქართლი. მტერი ჩვენი განადგურების საუკეთესო საშუალებად ქრისტიანული სარწმუნოების აღმოფხვრას მიიჩნევდა, ბევრი გადადრიკეს კიდეც ჭეშმარიტებისაგან მძლავრებითა და ცბიერებით. შიშისაგან განლეული ქვეყანა ირყეოდა, „ვითარცა ლერწამი ქართაგან ძლიერთა“. სამღვდელოება და ერის საუკეთესო შვილები ეძებდნენ გამოსავალს.

სწორედ ამ დროს, არაბების ბატონობის დროს, ტომითვე არაბმა და ჩამომავლობით მაჰმადიანმა აბომ (სახელი აბო არის შემოკლებული აბრაამ) თავისი სარწმუნოება უარყო და ქრისტესთვის დასთხია თავისი უმანკო სისხლი. შეუძლებელია, აბოს ღვაწლს დიდი გავლენა არ მოეხდინა არაბთაგან შევიწროებულ ქართველობაზე.

766 წელს კახეთის აჯანყება მტერმა სისხლში ჩაახშო, დამარცხდა აჯანყებული ქართლიც. ქართლ-კახეთის აჯანყების ხელმძღვანელობა ქართლის ერისმთავარს — ნერსეს დაბრალდა და არაბთა ამირა მუმნი აბდილამ ის ბაღდადში იხმო.

სამი წელი გაატარა ნერსემ არაბთა ტყვეობაში. მან იქ გაიცნო 17 წლის მენელსაცხებლე აბო, რომელიც განთავისუფლების შემდეგ თან წამოჰყვა ერისმთავარს საქართველოში. მიუხედავად ერის უბედურებისა, აბო გაკვირვებული იყო ქართველთა ზნეობით; იგი სწავლობდა ქართულ ენას, დადიოდა ეკლესიაში, ესაუბრებოდა სამღვდელოებას, ლოცულობდა მათთან ერთად და მარხულობდა. აბო მთელი სულითა და გულით ცდილობდა ქრისტიანობის მიღებას და ნერსესთან ერთად ხაზარეთში ყოფნისას მინათლა კიდეც. აბო თან გაჰყვა არაბთა რისხვას განრიდებულ ერისმთავარს აფხაზეთში. იგი მადლობდა ღმერთს, რომ იხილა ადგილი, სადაც ყველა ქრისტიანი იყო და ერთი პირითა და ერთი გულით ადიდებდა შემოქმედს. შემდგომმა პოლიტიკურმა მოვლენებმა ნერსეს საშუალება მისცა ისევ ქართლს დაბრუნებოდა.

აფხაზეთის მთავარმა აბოს ურჩია, არ დაბრუნებულიყო ქართლში, რადგანაც იქ გაბატონებული არაბები თვისტომს არ აპატიებდნენ სარწმუნოების შეცვლასა და გაქრისტიანებას. ნეტარმა კი მტკიცედ უპასუხა: ოქროვერცხლშიც რომ ჩამსვან ან ცემა-გვემით სული ამომხადონ, ქრისტიანობას მაინც არ ვუღალატებ, და შენც ნუ შემაყოვნებ, ღმრთის მსახურო, რადგან რა მადლი აქვს ჩემს აქ ყოფნას, სადაც არც შიში და არც სიკვდილი არ მომელის ქრისტესთვის?! გამიშვი აქედან, რომ ცხადად დაინახონ ქრისტეს მოძულეებმა ჩემი მტკიცე ქრისტიანობაო. აბომ დაარწმუნა მთავარი თავის სიმართლეში და თან გამოჰყვა თავის კეთილის-მყოფელსა და მფარველს თბილისში.

ნერსე თავის თანმხლებ პირებთან ერთად, გადმოდის ქართლში, სადაც ცხოვრობს როგორც კერძო პირი. **ჭაბუკი აბო კი ამჯერადაც არ შეუშინდა განსაცდელს და თავისი მაგალითითა და ქცევით ამხნევებდა ქართველ ქრისტიანებს. ამიერიდან იგი თავის ახალ სარწმუნოებას არამც თუ აღარ ფარავდა, არამედ აშკარად იღვწოდა, ვითარცა ჭეშმარიტი ქრისტიანი „იქცეოდა განცხადებულად ქრისტიანედ“, ჰგმობდა თვისთა თანამემამულეთა ბიწიერ ცხოვრებასა და სარწმუნოებას და ქრისტეს ყოვლადმხსნელ მოძღვრებას უქადაგებდა.** მალე გამართლდა აფხაზთა მთავრის შიში. აბოს გულმოდგინებამ ქრისტიანობაში, მაღალმა სათნოებამ და დიდად ღუაწლმოსილმა ცხოვრებამ სიძულვილი აღძრა მის თანამემამულეთა შორის: ზოგნი ამტყუნებდნენ მას მამა-პაპათა სჯულის ღალატისათვის, ზოგნი სწყევლიდნენ და ლანძღვით იკლებდნენ, ზოგნი აგინებდნენ და სდევნიდნენ, და ზოგნიც სიკვდილით ემუქრებოდნენ, მაგრამ **ვერც ცთუნებითა და ვერც მუქარით ვეღარ შეარყიეს ჭაბუკი და ვერ ააღებინეს ხელი ქრისტეს სარწმუნოების სიყვარულზე.** აბოს მოღვაწეობა თბილისსა და მის შემოგარენში გაგრძელდა სამ წელიწადს.

არაბების დაბეზღებამ გაჭრა — აბო დააპატიმრეს და მსჯავრის

მისაგებად თბილისში მჯდარ არაბთა ამირას მიჰგვრეს. მან საპყრობილეში ჩასვა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ქართლის ერისმთავრის, სტეფანოზის, შუამდგომლობით გაათავისუფლა.

მაჰმადიანები მაინც თავისას არ იშლიდნენ და აბოს ურჩევდნენ, უარეყო ქრისტე და თავის მამა-პაპათა სარწმუნოებას დაბრუნებოდა, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ იგი მტკიცედ იდგა ქრისტეს სარწმუნოებაზე და „განრისხებულნი და აღბორგებულნი, სავსენი შურითა ქრისტეანეთაითა“ შეითქვნენ და ახალ ამირასთან დაასმინეს, — ამ ქალაქში ერთი ჭაბუკი ცხოვრობს, წარმოშობით არაბი და მაჰმადიანად გაზრდილი, ჩვენი სჯული დაუტევებია, ქრისტიანობა მიუღია, ქალაქში უშიშრად დადის და ქრისტიანობას, როგორც ერთადერთ ჭეშმარიტ სარწმუნოებას, სხვა არაბებსაც დაუღალავად უქადაგებსო, ბრძანე მისი შეპყრობა და წამება მანამ, სანამ ისევ მაჰმადის სჯულს არ დაიბრუნებს. იგი უნდა მოკვდეს, რათა მრავალმა არ მიბაძოს მის ქცევასო.

არაბთა მიერ აბოს დასმენის ამბავი ქრისტიანებმაც შეიტყვეს და სასწრაფოდ აცნობეს: შენ შეპყრობასა და ტანჯვას აპირებენ და განერიდეო. მან კი უპასუხა: მე არა მხოლოდ ტანჯვას ავიტან ქრისტესთვის, არამედ სიკვდილსაც. გამოვიდა ქალაქში და სხვადასხვა უბნებში ყველას დასანახავად მიმოდიოდა და ქადაგებდა. როდესაც აბო შეიპყრეს და ამირას წარუდგინეს, გაკვირვებულმა ჰკითხა მას: ნუთუ მართალია, რაც შენ შესახებ მოვისმინე? რომ ტომით არაბს მამა-პაპათა სჯული მიგიტოვებია და ქრისტიანებთან ერთად ცდუნებულხარ? ახლავე მოემზადე და ისევ იმ სჯულით ილოცე, რომლითაც მშობლებს გაუზრდიხარო. სულიწმიდის მადლით აღვსილმა აბომ კი ასე უპასუხა: **მართალია, არაბი ვარ, მაჰმადის სჯულსაც კარგად ვიცნობდი და მის წესებსაც ვიცავდი, რადგან უმეცარი ვიყავი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩემს ნათესავებს შორის გამომირჩია ქრისტემ და თვალი ამიხილა, დავუტევე მე კაცთა მიერ შეთხზული სჯული და შევუდეგ ქრისტეს მიერ მომადლებულ ჭეშმარიტ სარწმუნოებას.** მაშინ **ამირას ბრძანებით აბოს ხელ-ფეხზე მძიმე ჯაჭვები დაადეს და 785 წლის 27 დეკემბერს, სამშაბათს, ქრისტეს მოციქულის, პირველ-დიაკონისა და პირველ-მოწამის სტეფანეს ხსენების დღეს საპყრობილეში ჩააგდეს.**

ბორკილდადებული აბო დღე და ღამე ლოცულობდა და მარხულობდა. მან მთელი თავისი ავლადიდება გაყიდა და საპყრობილეში მყოფ, მშიერ და ავადმყოფ პატიმრებს ჰკვებავდა. ცრუ-მოძღვარნი და მისი დამბეზღებელნი კი არ ისვენებდნენ, მასთან საპყრობილეში შედიოდნენ და ალერსიანი სიტყვებით მის ცდუნებას ცდილობდნენ: შვილო, ნუ გაწირავ ნურც შენ თავსა და ნურც შენ სიჭაბუკეს, შენს ახლობლებსაც ნუ განეშორები. ნუ შეამთხვევ უბედურებას შენ თავს და ჩვენც ნუ შეგვაწუხებო. ზოგიერთი კი აშინებდა: რა სარგებელი მოგიტანა ქრისტემ, ან ვინ დაგიხსნის შენ ჩვენი ხელიდან, როდესაც ცეცხლი და სატანჯველი უკვე გამზადებულია შენთვის, თუ არ მოექცევი კვლავ ძველი სჯულისკენო.

წმიდა აბო თითქოს არც კი უსმენდა მათ და უხმოდ ფსალმუნებდა „გონებითა მისითა“, ხოლო როდესაც აღარ მოასვენეს, დავით მეფსალმუნის სიტყვებით გაეპასუხა: ნურაფერს ნუ მეტყვით, რადგან მე, „ვითარცა ყრუსა არა მესმოდა და ვითარცა უტყვმან რაი არა აღაღის პირი თვისი, ვიყავ მე ვითარცა კაცი უსმი, რომლისა თანა არა არს პირსა მისსა სიტყუაი. რამეთუ მე უფალსა ვესავ, განმეშორენით მე, უკეთურნო, და გამოვიძინე მე მცნებანი ღმრთისა ჩემისანი!“. როდესაც ვერ შეძრეს მართალი იგი, მოშორდნენ შერცხვენილნი და გაწბილებულნი.

ტყვეობის მეცხრე დღეს აბოს „ზეგარდამო“ ეუწყა, რომ მოახლოვდა დღე შენი აღსრულებისაო და ისიც, რომ უფალი, რომლის სიყვარული ასე ცეცხლებრ აღენთო ახალგაზრდა ღუაწლმოსილის გულში, ბრწყინვალე გვირგვინს უმზადებდა მას. ამიტომ იწყო მზადება მოწამეობრივი სიკვდილის მისაღებად. აბომ განიძარცვა ზედა-ჩასაცმელი ტანსაცმელი, გააყიდვინა და მიღებული გროშებით ქალაქის ეკლესიებში თავისი სულის მოსახსენებლად კელაპტრებისა და საკმევლის ანთება ითხოვა. სამღვდელოებას კი სთხოვა, ელოცათ მისთვის. თენდებოდა ნათლისღების დღესასწაული. წმინდა აბომ ორი დიდი სანთელი ხელთ იპყრა და განთიადამდე ფეხზე მდგომი ფსალმუნებდა, სანამ რკინის ჯაჭვებით შეკრულ მის ხელებში სანთლები არ ჩაიწვა. გათენდა აბოს პატიმრობის მეათე დღე, პარასკევი — 786 წლის 6 იანვარი, მაცხოვრის ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაული. მაშინ თქვა ნეტარმა: ეს დღე ორმაგად ძვირფასია ჩემთვის, რადგან ვხედავ უფალ იესო ქრისტეს ორმაგ გამარჯვებას: ამ დღეს „შთახდა მდინარესა მას იორდანესა განშიშვლებული ნათლისღებად. და სიღრმეთა მათ შინა წყალთაისა დამალულისა მის ვეშაპისა თავები ძალითა ღმრთეებისაითა შემუსრა“, ამიტომ ვალდებული ვარ, მეც განვიძარცვო შიში „ხორცთა ამათ ჩემთა, რომელნი სამოსელ არიან სულსა ჩემსა, და შთავხდე, ვითარცა სიღრმესა ზღვისასა შორის ქალაქსა ამას და ნათელ ვიღო სისხლითა ჩემითა, და ცეცხლითა, და სულითა“. დღეს გარდამოსვლაა სულისა წმიდისა „ყოველთა ზედა წყალთა, რომლითა ნათელ იღებენ ქრისტეის მორწმუნენი სახედ იორდანისათა მათ მდინარეთა, და განშიშვლებითა ხორცთა ჩემთაითა მტერისა მის მანქანაისა მზაკუვარებანი, რომელ იზრახა ჩემთვის — განვბასრნე და დავტკებნო ფერხითა ჩემითა შორის ქალაქსა ამას“. ამავე პარასკევ დღეს კი იესო ქრისტემ თავისი ვნებითა და „ხელთა თვისთა ჯუარსა ზედა განპყრობით გა-

ნაქიქა და თითით საჩვენებელყო ყოველთა კიდეთა ქუეყანისაითა მტერი იგი ყოვლისა სოფლისაი“, ამიტომ, მეც ვალდებული ვარ, რომ განვუდგე ქრისტიანეთა მტერს და ქრისტესთვის სისხლის დათხევით სასაცილოდ ვაქციო, რადგან მას ეგონა, რომ სიკვდილის შიშით განმაშორებდა ჩემი უფლის სიყვარულს. ხოლო მე მის განზრახვას გავაუქმებ და ქრისტესმიერი შეწევნითა ვძლევ, და ამით ჩემი უფლის ორივე ვალს გადავიხდიო.

შემდეგ მოითხოვა წყალი, პირი დაიბანა, ნელსაცხებელი იცხო და თქვა: მე თვითონ ვიყავ ნელსაცხებელთა შემზავებელი, ხოლო ეს საცხებელი „დღედ დაფლვისა ჩემისა არს“, ამიერიდან აღარ ვიცხო მალე განქარვებადი ზეთი, არამედ როგორც ქებათა ქებაში მასწავლის ბრძენი სოლომონი: „სულნელებასა ნელსაცხებელთა შენთასა ვრბიოდი“, ქრისტე, რომელმან აღმავსე განუქარვებელითა სარწმუნოებითა სიყუარულისა შენისაითა! იცი შენ, უფალო, რამეთუ შეგიყუარე უფროის თავისა ჩემისა — წარმოსთქვა ნეტარმა და მოითხოვა წმინდა საიდუმლო — ხორცი და სისხლი ქრისტესი. და როდესაც მიიღო „ჭეშმარიტი იგი განმაცხოველებელი საიდუმლოი“, უფალს მადლობა შესწირა და თქვა: **„აწ დაღათუ ვიდოდი მე შორის აჩრდილთა სიკუდილისაითა, არა შემეშინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ უფალი ჩემთანა ხარ“.** მალევე მოვიდნენ მის წასაყვანად ამირას მსახურნი. დამშვიდობებისას ასე მიმართა ნეტარმა ქრისტიან პატიმრებს: „ლოცვასა მომიხსენეთ მე, რამეთუ არღარა მიხილოთ მე საწუთოსა ამას სოფელსა!“. მაშინ **გამოიყვანეს ხელფეხდაბორკილი აბო და მთელი ქალაქი გადაატარეს. ხედავდნენ მას ქრისტიანები და ცხარე ცრემლით დასტიროდნენ. წმინდანი კი ასე ამხნევებდა მათ: „ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ გიხაროდენ, რამეთუ მე უფლისა ჩემისა მივალ; ლოცვით წარმგზავნეთ და მშვიდობამან უფლისამან**

ყოველ ერს, ქალაქსა და სახელმწიფოს თავისი მფარველი ანგელოზი და წმინდანი ჰყავს. საეკლესიო გადმოცემის თანახმად, წმინდა მოწამე აბო თბილელი საქართველოს დედაქალაქის — თბილისის მფარველი წმინდანია.

დაგიცვევინ თქუენ!“. ელოდებოდა რა სიკვდილს, აბო სულით წინასწარ ხედავდა „თვისსა მას გუამსა და თვით იტყოდა ფსალმუნსა ამას ას მეთვრამეტესა (17 კანონს), — ნეტარ არიან უბიწონი გზასა...“ და ჩაურთავდა საგალობელსა მუხლსა, ნეტარისა ავაზაკისა თქმულსა: „მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა“.

ამირას სამყოფელში მისულმა აბომ ჯვარი ჯერ კარებს გადასახა და მერე თვითონაც გადაიწერა. „რა არის, ჭაბუკო, ეს რაი განიზრახე თავისა შენისაი?“ — ამ სიტყვებით შეეგება განრისხებული ამირა. „მე განვიზრახე და ქრისტეანე ვარ!“ — გზნებით მიუგო ნეტარმა. მაშინ განცვიფრებულმა ამირამ ჰკითხა: ჯერ კიდევ არ მიგიტოვებია ეგ სიგიჟე და უგუნურებაო?, ხოლო აბომ უპასუხა: უმეცრებასა და უგუნურებასა შინა მყოფი ვერ გავხდებოდი ღირსი ქრისტეს თანა მყოფობისაო. ვერ ხვდები, რომ ეს სიტყვები შენი სიკვდილის მომასწავებელია, — მრისხანედ უთხრა უსამართლო მსაჯულმა. **თუ მოკვდები,**

მრწამს მე, რომ ქრისტეს თანა ვცხონდები; ხოლო შენ ნუღა აგრძელებ ამაო ლაპარაკს, არამედ რაც გსურს, გააკეთე, რადგან როგორც მაგ კედელს, რომელსაც მიყრდნობილი ხარ, მეც არ მესმის შენი სიტყვები, „რამეთუ გონებაი ჩემი ქრისტეის თანა არს ზეცას“, — უშფოთველად მიუგო ჭაბუკმა. კვლავ ჰკითხა ამირამ: „რაი ეგოდენი სიტკბოებაი გაქუს ქრისტეის შენისაგან, რომლითა სიკუდილცა არა გეწყალის თავი შენი?“, ხოლო წმინდა აბომ ურჩია: შენც განეშორე ამ ცდომილებას და ნათლისღების შემწეობით იგემე ქრისტეს სარწმუნოების სიტკბოებაო. მაშინ კი რისხვით აღივსო სარკინოზის ულმობელი გული და მსახურებს უბრძანა: სასწრაფოდ წაიყვანეთ და თავი გააგდებინეთო. მსახურებმა ორმოცი მოწამის სახელობის ეკლესიის გალავანში (ეს ტაძარი დააქცია შაჰ-აბას I-მა) შეიყვანეს წმინდანი და ხელ-ფეხზე ბორკილები ახსნეს. მან კი ზედა სამოსი შემოიხია, ჯვარი გამოისახა და თქვა: „გმადლობ და გაკურთხევ შენ, სამებაო წმიდაო, რამეთუ ღირს მყავ მე მიმთხვევად ღუაწლსა მას წმიდათა მოწამეთა შენთასა!“. შემდეგ ხელები ზურგზე გადააჯვარედინა და სიხარულით მოუდრიკა ქედი მახვილს. სანამ თავს მოკვეთდნენ, მტარვალებმა სამჯერ ზედიზედ მოუქნიეს მახვილი — იქნებ შეშინდეს და შეინანოს თავისი საქციელიო, მაგრამ „წმიდაი იგი მარტვილი დუმილით მხნედ მიითვალვიდა მახვილსა“, ხოლო მეოთხე დაკვრაზე მოჰკვეთეს თავი. თავმოკვეთილი დაეცა წმინდა აბო, ოდესღაც სარკინოზი, შემდგომ ქრისტიანი, ხოლო სულითა და გულით ქართველი.

წმინდა აბოს დამბეზღებელმა არაბებმა ამირას უთხრეს: ჩვენ ვიცით, რომ ქრისტიანები ქრისტესთვის თავდადებული მოწამეების გვამებს იპარავენ, სამოსელს, თმასა, ძვლებსა და ყველაფერ მისეულს ერთმანეთში იყოფენ, ხოლო შემდეგ ამით ვითომ სნეულებს კურნავენ და სასწაულებსაც ახდენენ. ხალხს ატყუებენ და ქრისტეს სჯულზე აყენებენ. ნება მოგვეცი ცეცხლზე დავწვათ აბოს გვამი, ფერფლი გავაბნიოთ და მოვსპოთ „საცთური ქრისტიანეთა, რაითა იხილონ ყოველთა და შეეშინოს... და არღარა შეუდგენ სნავლათა ქრისტიანეთასა“. წაიღეთ და როგორც გსურთ, ისე მოიქეცითო — უპასუხა ამირამ. მაშინ მათ აიღეს წმინდა მოწამის პატიოსანი გვამი, თავისი სამოსელითურთ „გულაგსა მას აღსაკიდებელსა“ ჩადეს და წმიდათა ორმოცთა სებასტიანელთა მსგავსად“ ურემზე დადეს, შემდეგ მიწაზე დათხეული სისხლიც ამოთხარეს და ისიც ჭურჭელში მოათავსეს. ურემი ხიდის მეორე მხარეს გადაიყვანეს „გარეშე ქალაქსა მას“ (ქრისტეც ქალაქ გარეთ აცვეს ჯვარს) და იმ ადგილს მიუახლოვდნენ, რომელსაც საგოდებელს უწოდებდნენ, რადგან ძველის-ძველთაგანვე იქ იყო ქალაქის მკვიდრთა საფლავები (ორმოცი მოწამის სახელობის ეკლესია სულ რამდენიმე ასეული მეტრით არის დაშორებული ამ ადგილს, მაგრამ ხიდის მეორე მხარე უკვე ქალაქგარეთ ითვლებოდა). **წმ. აბოს ნეშტი გადმოიღეს და მეტეხის ციხის აღმოსავლეთით (სადილეგოდ წოდებულ), კლდის პირზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე დაასვენეს. შემდეგ მოიტანეს შეშა, თივა, ნავთი და დაწვეს, ხოლო ნაცარი და ძვლები ცხვრის ტყავში გამოახვიეს, მტკიცედ შეკრეს და მეტეხის ხიდის ქვეშ, ქართველთა იორდანეში — მდინარე მტკვარში მოისროლეს.** „იქმნა წყალი იგი მდინარისაი მის წმიდათა მათ ძვალთა სამოსელ... და სიღრმეი იგი წყალთაი საფლავ წმიდისა მის მარტვილისა, რაითა არავინ უდებად შეეხოს მათ“, — წერს იოანე საბანისძე. თბილისელმა ქრისტიანებმა კი შიში დასძლიეს და გავიდნენ ადგილზე, სადაც დაწვეს წმინდა აბოს პატიოსანი გვამი: მოხუცებულები მოდიოდნენ ჯოხზე დაყრდნობით, კოჭლები — ხტომით, ჭაბუკნი — სირბილით, ყრმანი ერთმანეთს ასწრებდნენ, დედაკაცნი — სანთელ-საკმეველით ხელში, მენელსაცხებლე დედათა მსგავსად ცრემლმორეულნი მორბოდნენ, და სიხარულით ქრისტეს ადიდებდენ. მრავალი დასნეულებული და ეშმაკეული სრულიად განიკურნა.

იმავე ღამეს ღმერთმა განაბრწყინა თავისი მოწამე — იმ ადგილზე, სადაც დაწვეს ყოვლად პატიოსანი გვამი წმიდისა აბოსი, უფალმა გარდამოავლინა ძლიერ მანათობელი ვარსკვლავი, ვითარცა ლამპარი ცეცხლისაი... და დგა იგი ზე ჰაერთა, ვიდრე სამ ჟამადმდე...“. ამ საკვირველ გამოცხადებას ხედავდნენ თბილისის მცხოვრებნი. შერცხვენილმა **ამირამ მსახურები მიავლინა მტკვრის ნაპირზე, ქრისტიანებმა ხომ არ დაანთეს სანთლებიო, მაგრამ, ხიდთან მისულებმა იხილეს, თუ როგორ „აღმაღლდებოდა ვარსკულავი იგი ზე ჰაერთა“** .

ჭაბუკი აბო არ შეუშინდა განსაცდელს და თავისი მაგალითითა და ქცევით ამხნევებდა ქართველ ქრისტიანებს. ამიერიდან იგი თავის ახალ სარწმუნოებას არამც თუ აღარ ფარავდა, არამედ აშკარად იღვწოდა, ვითარცა ჭეშმარიტი ქრისტიანი, «იქცეოდა განცხადებულად ქრისტიანედ», ჰგმობდა თვისთა თანამემამულეთა ბიწიერ ცხოვრებასა და სარწმუნოებას და ქრისტეს ყოვლადმხსნელ მოძღვრებას უქადაგებდა

«აბო თბილელის თავგანწირულ მსხვერპლს უნდა გაემხნევებინა დევნილი ქრისტიანენი, სულის სიმტკიცე მიეცა და იოანე საბანისძის სიტყვით, მართლაც «სიყუარული იგი ქრისტეისი ჩუენდამო და სარწმუნოებაი ჩუენი მის მიმართ კუალად განახლდა»

ყოვლად ძლიერმა ღმერთმა მეორე ღამესაც გამოაჩინა თავისი ძალა, „პატივსცა თვისსა მარტვილსა და აჩუენა სასწაული საკვირველი — სადაც ჩაყარეს წმინდანის სანატრელი ძვლები, ხიდის ქვეშ აღმობრწყინდა ნათელი სვეტის მსგავსი, ვითარცა ელვა, რომელიც მთელი ღამე იდგა და აშუქებდა მიდამოს: მდინარის ნაპირს, კბოდესა და ხიდს. ამ სასწაულსაც ყველა ხედავდა, რათა ყველას ერწმუნა, „რამეთუ ჭეშმარიტად იესო ქრისტეის, ძისა ღმრთისა მარტვილი არს“. და გულისხმა ყონ მორწმუნეთა და ურწმუნოთა, რამეთუ „ჭეშმარიტ არს სიტყუაი იგი, რომელ თქუა, ვითარმედ — მე თუ ვინმე მმსახურებდეს, პატივსცეს მას მამამან ჩემმან, რომელ არს ცათა შინა“.

ხმა დავარდა, ზეციური ვარსკვლავი ჩამოდის წამებულის ნაფერფლარზეო. ქრისტიანები აღტაცებული შესცქეროდნენ მეტეხის ბორცვზე მოკიაფე „ზეციურ ვარსკვლავს“ და ფიქრობდნენ, თუ განხრწნად ხორცს ასეთი პატივი დასდო, რამდენად დიდ პატივს მიაგებს წმ. მოწამეს მართალთა აღდგომისასო. მუსლიმ-სარკინოზ-აგარიანნი კი „რომელთა ქრისტე უარყვეს და წმინდანთა მისთა გვემდეს და სდევნიდეს და მოსრვიდეს“, — ძრწოლამოსილნი უცქერდნენ და „რცხვენოდის უგუნურად სიბორგილისა მათისათვის“. ქრისტიანებმა მალევე აღმართეს ჯვარი წმინდა აბოს წამების ადგილას, ხოლო შემდეგ ნიშიც ააგეს.

აბოს კანონიზაცია, როგორც ცნობილია, მოხდა VIII საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს. საქართველოს ეკლესიამ წმ. აბოს დღესასწაული დააწესა 7 იანვარს — მაცხოვრის ნათლისღებისა და წმინდანის წამების მეორე დღეს. სწორედ ამ რიცხვშია აღნიშნული ხსენება წმინდა აბოსი ჟამნში, რომელიც დაბეჭდილია მეფე ვახტანგ VI-ის დროს (1710 წ.)

VIII საუკუნის 80-90 წლებში ქართლის კათალიკოსი სამოელი სთხოვს იოანე საბანისძეს, აღწეროს ღვაწლი აბო თბილელისა, „რაითა დაიდვას იგიცა წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შინა მოსახსენებლად ყოველთა, ვინ იყვნენ შემდგომად ჩუენსა“. („წმინდა ჰაბოს წამება“). კათალიკოსის მიზანია, ხსოვნა აბოს მონამეობრივი ღვაწლისა შემოუნახოს მომავალ თაობებს, რათა მათაც იცოდნენ, რომ აბო თითოეული ჩვენგანისა და „ყოვლისა ამის სოფლისა ჩუენისა ქართლისა“ მეოხია ქრისტეს წინაშე. იოანე საბანისძის მიერ კათალიკოსისადმი მიწერილ პასუხში კარგად ჩანს, თუ რა შინაგანი ბრძოლის გადალახვა მოუხდა ავტორს, სანამ აბოს მარტვილობას აღწერდა. ეს ნაწარმოები ოთხ ნაწილად არის გაყოფილი: პირველში მოთხრობილია ამბავი ქრისტესმოყვარეთა წამებისა და ამბავი წმინდანთა მოღვაწეობისა; მეორეში — ისტორია აბოს მოსვლისა ქართლს; მესამეში — წამება წმინდა აბოსი და მეოთხეში — ქება აბოსი.

იოანე საბანისძე ყურადღებას ამახვილებდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აბოს თავგანწირულ სიკვდილს იმდროინდელი ქართველობისათვის. არაბის მიერ მაჰმადიანობის ქრისტიანობაზე ნებაყოფლობით გაცვლა ქრისტიანობის ზნეობრივი ძლიერების საუცხოო დამამტკიცებელი საბუთი იყო. თუკი აბომ, უცხო ტომის შვილმა, მაჰმადიანობის აღმსარებელმა იწამა ქრისტე და მისთვის სიცოცხლე გაიღო მსხვერპლად, რა გვმართებს ჩუენ, ქრისტიანებს, რომელთაც ხუთასი წლის წინ მიგვიღია ქრისტიანობა.

„აბო თბილელის თავგანწირულ მსხვერპლს უნდა გაემხნევებინა დევნილი ქრისტიანენი, სულის სიმტკიცე მიეცა და იოანე საბანისძის სიტყვით, მართლაც „სიყუარული იგი ქრისტეისი ჩუენდამო და სარწმუნოებაი ჩუენი მის მიმართ კუალად განახლდა“-ო. ეს განახლება აბო თბილელის ღუაწლმა წარმოშვა. ამ გარემოებამ „სწავლულნი უფროის გულისხმიერ“ ჰყო და ჩააფიქრა, შერყეულნი უფროის განამტკიცა“ და გაამხნევა, ხოლო „განმტკიცებულნი“ გაახარა.

გადმოცემის მიხედვით, როგორც შიო მღვიმელის შიშველი ძვლები აღმოიწეოდა მღვიმიდან მისი ხსენების დღეს, ასევე წმ. აბო თბილელის წმინდა ნაწილებიც ყოველ წელს, მისი ხსენების დღეს აღმოიწეოდა მტკვრის სიღრმიდან და ამ სასწაულის მომლოდინე მორწმუნეთ მიანიჭებდა „სულთა და ხორცთა კურნებას“. 1929 წელს ქალაქ ბონში მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე წერდა: **„სადაა ნეტავ, ჩემი სამშობლო და ქვეყნის სული დღეს სად ბინადრობს? რომლის შეპყრობა ვერავის ძალუძს, რომელიც იფლობს უთვალავ ჟამ-დროს! გგონია იყოს მეტეხის ციხე, რომლის სალ კლდეზეც ჯვარს ეცვა დედა, სისხლი ედინა იქ მას ურიცხვი და მოეშორა შარავანდედი. და მაინც დარჩა, მაინც უნათებს დღეს ყოველ ქართველს სისხლიან კვლებით და წელში ერთხელ ყველას ანახვებს მტკვარში სასწაულს არაბის ძვლების. მეტეხი არის ჩვენი სამშობლოს გოლგოთის თხემი, ქრისტე რომ აღწევს. სადაა ნეტავ, ჩვენი ბეთლემი, გამოქვაბული მწყემსების და მზე!...“**

1843 წელს საქართველოს ეგზარქოსს, მთავარეპისკოპოს ევ-

გენის კავკასიის მხარის სამოქალაქო სამმართველოს უფროსი, გენერალი გურკო წერდა, რომ ხიდის მშენებლობისას გზის გაყვანასთან დაკავშირებით, კლდის ბურღვის დროს გაჩნდა საშიშროება, რომ მტკვრის მარცხენა ნაპირზე, კლდეში აგებული „პორტიკი“ ორ სვეტზე, რომლის უკანაც მოთავსებული იყო წმ. აბოს ორი ხატი, ჩამოინგრეოდა. ამიტომ იგი ითხოვდა, მის უსამღვდელოესობას გაეცა განკარგულება, რომ ახალი კარიბჭის მოწყობამდე, ეს ხატები ტაძარში გადაესვენებინათ. 1845 წლის ზაფხულში ახალი კარიბჭის მშენებლობა სახელმწიფო ხარჯით განსრულდა.

1848-1850 წწ. საიდუმლო მრჩეველი, **სენატორი ს. ვ. საფონოვი** იღვწის წმინდა აბოს ნიშის განახლება-გამშვენიერებისათვის. მან აქ წმინდანის ხატი დაასვენა და მინის კარი გააკეთებინა კლდეში, მეტეხის კლდის ძირში, საიდანაც გადაჰყარეს მტკვარში აბოს ნეშტი. **ეს იმიტომ მოიმოქმედა საფონოვმა, რომ განიკურნა წმინდანის მეოხებით.** 1850წ. 29 ივნისს, პეტრე-პავლობის დღესასწაულზე წმინდა აბოს ნიში საზეიმოდ იკურთხა. სიონის საკათედრო ტაძარში საღმრთო ლიტუგიის შემდეგ ნიკიფორე გორის ეპისკოპოსი შეკრებილი სამღვდელოების თანხლებით გაემართა „ძველ ნანგრევებზე ახლად აშენებულ პატარა სამლოცველოსაკენ“. ლოცვის შემდგომ აკურთხეს საფონოვის მიერ შემოწირული, კ. გ. გაგარინის მიერ დაწერილი ხატი. ეს ხატი დასვენებული იქნა იმგვარად, რომ ყველა გამვლელს ხიდზე თაყვანი ეცა მისთვის... ამას იუწყებოდა 1850წ. 15 ივლისს ჟურნალი „ზაკავკაზსკი ვესტნიკი“.

1870 წ. მეტეხის ძირში პირველი ლითონის ხიდი აიგო. ხიდის სამუშაოებმა ჩანს კვლავ თავისი კვალი დაამჩნია წმ. აბოს ნიშს. ამ ახალი ხიდის მარჯვენა მხარეს მოწყობილი პატარა მოედანი, ყასაბ ზაქარია ტორგ-ზახაროვის საქონლის საყასბოს ჰქონდა დაკავებული, რის გამოც ხიდის შემოგარენი ძლიერ დაბინძურებული ყოფილა. ამას ხიდის მშენებელთა აღშფოთება გამოუწვევია: მოედანი დაუკეტავთ და უცხო პირთა შესვლაც აუკრძალავთ.

1874 წ. მაიორ გორსკინის ქვრივმა, ნინომ, წმ. აბოს ნიშის კარებს რკინის მოაჯირი შემოავლო. 1882 წლისთვის მიხეილ საბინინმა გაამშვენა წმ. აბოს ნიში და მანვე წმინდა მოწამის ახალი ხატი დაწერა, რომელიც „დიდის გამოჩინებითა და ლიტანიით დაასვენეს ნიშში“. **მ. საბინინისა და კ. გაგარინის მიერ დაწერილი ორივე ხატი დღეს ქ. თბილისის მეტეხის ღმრთისმშობლის შობის ტაძარშია დასვენებული.**

დიდმა მამულიშვილმა და საქართველოს ეკლესიის საუკეთესო შვილმა — ივერიელმა გობრონ (მიხეილ) პავლეს ძე საბინინმა — დიდი დაბრკოლებების გადალახვის შემდგომ 1872 წელს ქ. პეტერბურგში გამოსცა „საქართველოს სამოთხე“, ანუ „სრული აღწერა ღუაწლთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა“, რომლის შეკრებასაც მან შვიდი წელი შესწირა და იოანე საბანისძის თხზულებაც „წამება წმიდისა და ნეტარისა მოწამისა აბოსი..“, შეიტანა ამ ვრცელსა და მშვენიერი ხატებით მოკაზმულ წიგნში (გვ. 333-350).

XIX საუკუნის დასასრულს წმინდანისადმი ყურადღება განსაკუთრებით გაძლიერდა ალავერდელი ეპისკოპოსის — კირიონის ღვაწლით. 1899 წ. მისივე კურთხევით გამოიცა „გალობა სავედრებელი დიდისა მოწამისა აბოისი“. რომლის შედგენის დროსაც მას უსარგებლია მიქაელ მოდრეკილის კრებულში არსებული წმ. აბოს სადღესასწაულო განგებით, კერძოდ სტეფანე ჭყონდიდელისა „გალობანით“, ანუ „კანონით“.

1899 წელს „ცნობის ფურცელი“ წერდა: „დღეს კი წმინდა მოწამის სახსოვრად ისეთი ღარიბულად მორთული ნიშია, რომლის არსებობაც ძალიან მცირე რიცხვმა ქართველებისამ იცის. ნუთუ ღირსი არაა წმინდა აბო, რომელიც ქალაქ თბილისის მფარველ ანგელოზად და მხურვალე მეოხად ითვლება, რომ ერთი მშვენიერი შესაფერისი ტაძარი აღშენებულ იქმნეს ამ ქალაქში მის სახელზედ...“-ო.

XX ს-ის მიწურულს ქალაქ თბილისის მფარველი წმინდანის წმ. აბოს სავანე კვლავ იქნა გახსენებული. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გადაწყდა მეტეხის კლდის ძირში, ახალი ხიდის მიმდებარედ, წმინდა აბო თბილელის ეკლესიის მშენებლობა.

1996 წლის 17 მარტს ჯვრის თაყვანისცემის დღესასწაულის დღეს იკურთხა წმ. აბო თბილელის ტაძრის საძირკველი.

ტაძარი კი 2007 წლის 13 იანვარს აკურთხა გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოსმა, მაღალყოვლადუსამღდელოესმა ექვთიმემ (ლეჟავა), კრწანისის წმინდა ნიკოლოზის ტაძრის სამღვდელოებასთან ერთად.

არაბის მიერ მაჰმადიანობის ქრისტიანობაზე ნებაყოფლობით გაცვლა ქრისტიანობის ზნეობრივი ძლიერების საუცხოო დამამტკიცებელი საბუთი იყო. თუკი აბომ, უცხო ტომის შვილმა, მაჰმადიანობის აღმსარებელმა იწამა ქრისტე და მისთვის სიცოცხლე გაიღო მსხვერპლად, რა გვმართებს ჩუენ, ქრისტიანებს, რომელთაც ხუთასი წლის წინ მიგვიღია ქრისტიანობა?

ნეოპაგანიზმი — მსოფლმხედველობა, რომელიც ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მორალს

ბოლო წლებში ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში სწრაფად ვრცელდება ნეოპაგანიზმი, იგივე კერპთაყვანისმცემლობა. XXI საუკუნეში ის ისლამის შემდეგ ყველაზე სწრაფად მზარდ რელიგიურ მიმდინარეობად იქცა. თანამედროვე კერპთაყვანისმცემლობა, ანუ ნეოპაგანიმზი წარმოადგენს მსოფლმხედველობას, რომელიც ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მორალს და ცხოვრების წესს. პაგანისტების აზრით, პაგანიზმი — ესაა ღრმაშინაარსიანი რელიგიური მსოფლმხედველობა და მას შეუძლია წინ წამოიწიოს თანამედროვე ეპოქაში.
ღმერთმა დაგვიფაროს!
ამ მიმდინარეობას და მოძრაობას დიდად შეუწყო ხელი ჰოლივუდურმა ფილმებმა: „ჰარი პოტერი“ და „ბეჭდების მბრძანებელი“, სწორედ ამ ფილმებმა მოახდინა ნეოპაგანისტური სუბ-კულტურის პოპულარიზაცია ევროპასა და მსოფლიოში. ეს მოძრაობა ღიად აცხადებს, რომ ისტორიული წარმართული რწმენა უნდა იყოს მიღებული თანამედროვე ევროპაში.

მწვანე ჯვარი

ნეოპაგანიზმის მიმდინარეობებიდან გამოიყოფა **სტაროვერები** და **როდნოვერები** (სლავი პაგანისტები), **ნორდიკები** (სკანდინავიელი პაგანები), **ოდინისტები** (გერმანულენოვანი ხალხები), **დრუიდისტები** (ბრიტანელი და კელტი პეგანები) და **ჰელიოპაგანები** (ბერძენი პაგანისტები), ასევე სხვა წვრილი და მცირერიცხოვანი წარმართული ჯგუფები.

პაგანიზმის მიმდევრები ეყრდნობიან წინარე ქრისტიანული ფოლკლორული ეთნოგრაფიული წყაროების სხვადასხვა სახეს. ისინი ცდილობენ, დაიცვან სულიერება და რაც შეიძლება ზუსტად აღადგინონ მკვიდრი ეთნიკური რელიგიები. რეკონსტრუქციას უწევენ რა ძველ წინარექრისტიანულ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს, გამოირჩევიან სხვა ევროპელი მოქალაქეებისგან ჩაცმის სტილით, გარეგნობითა და სამკაულებით. აკადემიური კვლევების შემდეგ დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ გარდა ამ რეგიონული დასახელებების (სტაროვერები, ოდინისტები, დრუიდისტები და სხვ.) განსხვავებებისა, პაგანიზმი გამოირჩევა სხვადასხვა განშტოებითაც. მაგ. ანიმიზმი, ტოტემიზმი, პოლითეიზმი, პანთეიზმი, მონოთეისტური პაგანიზმი და სხვ.

პაგანიზმისა და ქრისტიანობის ურთიერთდამოკიდებულება ერთმანეთთან რთული და დაძაბულია. განსაკუთრებით ეს დაძაბულობა შეიმჩნევა კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიებსა და ნეოპაგანისტურ მიმდინარეობებს შორის. მეცნიერი, მკვლევარი **ითან დოილი** აცხადებს, რომ პაგანიზმი შეიძლება შევადაროთ აბრაამისეულ რელიგიებს და მათ სტრუქტურას. მკვლევარი **გრეჰემ ჰარვი** ახასიათებს პაგანიზმს, როგორც ერთიან რელიგიას, რომელშიც გამოიყოფა ისეთი ჯგუფები და მიმდინარეობები, როგორიცაა ვიკა, დრუიდიზმი და ა.შ.

ნეოპაგანიზმის ყველაზე ცნობილი და გავრცელებული მიმდინარეობებია:

სკანდინავიური პაგანიზმი (გერმანული ჰეტენიზმი)

სკანდინავიაში პაგანისტებს შორის თითქმის სრულად დომინირებს გერმანული ჰეტენიზმი. მის მომხრეებს უწოდებენ „ფოლკეტროს“ (ხალხური რწმენა). იგი მჭიდროდაა დაკავშირებული სკანდინავიურ მითოლოგიასთან, ვალჰალასთან, კეთილი და ბოროტი ძალების, სამოთხისა და ჯოჯოხეთის რწმენასთან და სულის უკვდავებასთან.

სტაროვერიზმი და როდნოვერიზმი (სლავური პაგანიზმი)

როდნოვერები ძირითადად ეთნიკური რუსები, ბელარუსები და უკრაინელები არიან. ისინი, სხვა ევროპელი პაგანისტებისგან განსხვავებით, ეროვნულ სამოსს ატარებენ, რომლითაც თავიანთ ეროვნულ იდენტობას უსვამენ ხაზს. მეორე დიდი ჯგუფი სლავი სექტანტებისა არიან სტაროვერები, რომლებიც ხშირად ერევათ ხოლმე ათეისტ ან პაგანისტ მოსახლეობაში.

სტაროვერები უძველესი მორწმუნე ხალხია. ისინი არ არიან პაგანისტები, ქრისტიანები არიან — თუმცა მისდევენ უძველეს ქრისტიანულ რწმენას, სახარებასა და ფსალმუნებს, არ აღიარებდნენ ხატებსა და ჯვრებს. მათ სარწმუნოებით და იდეოლოგიურად არანაირი საერთო არ აქვთ როდნოვერებთან.

სტაროვერები 1666 წელს დაუპირისპირდნენ რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას, გამოეყვნენ მას, როგორც სექტა, ხოლო მოგვიანებით რუსეთის იმპერატორსაც აღარ ემორჩილებოდნენ, რის გამოც ისინი იმპერატორმა სხვადასხვა პროვინციაში გადაასახლა. სტაროვერები დღემდე ცხოვრობენ ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში, უკრაინაში, ჩრდილოეთ კავკასიაში, კარელიასა და ვოლგისპირეთის სოფლებში. ისინი XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში, ახალციხის მაზრაში ჩამოასახლეს, მაგრამ საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ მათ დატოვეს საქართველო, მასიური მიგრაცია მათ 90-იან წლებში განახორციელეს. დღეს საქართველოში სტაროვერები აღარ ცხოვრობენ.

კელტური ნეოპაგანიზმი

ესაა ბრიტანეთისა და ირლანდიის კუნძულებზე მცხოვრები ხალხების ფართოდ გავრცელებული უძველესი რწმენა, რომელიც ეფუძნება კელტურ ფოლკლორს, უძველეს რიტუალებს და ცოცხალ ტრადიციებს. იგი უარყოფს ეკლექტიციზმს და ნეოპაგანისტების თემში კულტურულ მითვისებას. იგი იყოფა შემდეგ მიმდინარეობებად: კელტური ნეოშამანიზმი, კელტური ვიკა და ნეოდრუიდიზმი.

ბერძნული პოლითეიზმი (ელინიზმი)

ელინიზმი საბერძნეთის ეთნიკური რელიგიაა, ასევე ცნობილია, როგორც დოდეკათეიზმი — „თორმეტღმერთიანობა“. ელინიზმი მოიცავს ოლიმპოს თორმეტი ღმერთის რწმენას, ასევე უძველესი საბერძნეთის ფასეულობებს. იგი ძველ საბერძნეთში აღმოცენდა და მეოცე საუკუნიდან დაიწყო მისი რეკონსტრუქცია. მათ აღადგინეს ძველი საკულტო შენობები, რიტუალები და სამოსელი. მოძრაობის ლიდერები აცხადებენ, რომ **2005 წელს ამ რელიგიას 2 000 მიმდევარი ჰყავდა, ხოლო დაახლოებით 100 000 ადამიანი გარკვეულ ინტერესს ამჟღავნებდა მის მიმართ. ელინიზმი არის ყველაზე გავრცელებული ტერმინი და გამოიყენება როგორც თანამედროვე პოლითეისტური რელიგიის იდენტიფიკატორი.** ისინი მწვავედ უპირისპირდებიან მართლმადიდებლობას და ზოგადად ქრისტიანობას.

პაგანიზმი კავკასიაში

პაგანიზმი არა იმ მასშტაბით და სახით, როგორც ევროპაში, მაგრამ კავკასიაში მაინც არსებობს, თუმცა მიძინებულია და მხოლოდ ერთეულებს (ისიც სოფლებში) სჯერა წარმართული ღვთაებების. მას შემდეგ, რაც კავკასიაში აბრაამისეული რელიგიები (ისლამი, ქრისტიანობა, იუდაიზმი) გავრცელდა, იმდენად შემცირდა პაგანიზმის არეალი, რომ იგი მხოლოდ მთაში შემორჩა, ისიც საკმაოდ დიდხანს, ფაქტობრივრად, XIV საუკუნემდე. მას შემდეგ კი, რაც მთაში ქრისტიანობა და ისლამი გავრცელდა (სამხრეთით — ქრისტიანობა, ჩრდილოეთით — ისლამი), ისინი ადგილობრივ რელიგიურ წარმართულ რიტუალებს შეერწყა და ასე თუ ისე შეინარჩუნა თავის იდენტობა. დღემდე მორწმუნე ქრისტიანებს სწამთ, რომ ცხვრის დაკვლა ეკლესიის ეზოში ცოდვებისგან გაათავისუფლებთ, რადგან ცხვარი უცოდველი ცხოველია. ეს, რა თქმა უნდა, ცრუ რწმენაა და ასოცირდება მსხვერპლის შეწირვასთან, რასაც უდიდესი ხნის ისტორია აქვს მთის ხალხებში.

წინარე ქრისტიანულ საქართველოში ღვთაებებს ხშირად ადამიანსაც სწირავდნენ, რომელიც ან სნეული უნდა ყოფილიყო ან დატყვევებული მეომარი მტრის ბანაკიდან. პაგანიზმი დღეს ყველაზე მეტად გავრცელებული და შემორჩენილია ოსეთსა და დაღესტანში (რამდენიმე აულში, სადაც ცივილიზაციას არ შეუღწევია). რაც შეეხება საქართველოს, აქ მხოლოდ მთებში და ისიც ქრისტიანულ ტრადიციებშია შერწყმული და ერთს მეორისგან რთულად თუ გაარჩევთ. უძველეს დროში, როგორც პაგანისტების უმრავლესობას, კავკასიელ პაგანისტებსაც სწამდათ ბუნების ძალებისა და ციური სხეულების. საქართველოში არსებობდა მზის ღვთაება ქალის სახით, ასევე — მთვარის ღმერთი, რომელსაც მამაკაცის სახე ჰქონდა. არსებობდა დიონისესმაგვარი ღვთაება, რომელიც ღვინის კულტურასთან და მის სმასთან იყო კავშირში.

ღვინოს საქართველოში წარმართობის ეპოქაშიც სვამდნენ. ეს რიტუალი ზაფხულის ბუნიობას, მასობრივ ღრეობასა და წარმართულ ორგიაში გადაიზრდებოდა ხოლმე, როდესაც სპეციალურ სარიტუალო ნიღბებს იკეთებდნენ (ქალები — მზის ნიღბებს, კაცები — მთვარის ნიღბებს) და ღამის ორგია დილით სრულდებოდა. რადგან ნიღბები მთელ სახეს ფარავდა, შეუძლებელი იყო ორგიისას მონაწილეთა ვინაობის გაგება. სექსუალურ პარტნიორს, მხო-

ლოდ მისი სქესი შეიძლებოდა სცოდნოდა ერთი შეხედვით, ნიღბის მიხედვით. ეს ტრადიცია ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად მოისპო, მას შემდეგ, რაც ღვინის სმას უკვე სხვა უფრო წმინდა და საკრალური რელიგიური დანიშნულება მიეცა, როგორიცაა, მაგალითად, სუფრისა და თამადის ინსტიტუტი. ამის შემდეგ წარმოიშვა სადღეგრძელოები და ჩამოყალიბდა ქართული სუფრა, ხოლო ღვინით გალეშვა ღრეობები და მასიური ორგიები საკარნავალო სპეციალური ნიღბებით წარსულს ჩაბარდა. თუმცა დიდი რაოდენობით ღვინის მიღება კარგა ხანს მაინც საპატიო მოვლენად ითვლებოდა. ღრეობა უკვე მხოლოდ ქეიფის გაგრძელებად იქცა და მან პირვანდელი სახე დაკარგა.

ПАГАНИЗМИ КАВКАСИАШИ

რაც შეეხება ჩრდილოკავკასიურ პაგანიზმს, აღსანიშნავია დაღესტნური ტომების ადგილობრივი რწმენები, რომლებიც ასევე მჭიდრო კავშირში იყო ქართულ კერპთაყვანისმცემლობასთან. ხოლო დასავლეთ კავკასიაში არსებობდა დამოუკიდებელი კერპები და პაგანისტური ხალხური სარწმუნოება, რომელიც აფხაზურ-ადიღეურ (ჩერქეზული მოდგმის) ხალხებში იყო გავრცელებული. იგი ღრმად იყო ფესვგადგმული ჩერქეზებში, ადიღეელებში, აფხაზებსა და უბიხებში და, ისლამის გავრცელების მიუხედავად, მაინც შეინარჩუნეს ადგილობრივმა ხალხებმა. ცნობილია, რომ უბიხების მთავარი ღვთაება თხის ფორმის ნაკეთობა იყო, რომელსაც „ბითხას“ ეძახდნენ. მას ქურუმიც ჰყავდა, რომელიც ძალიან მხცოვანი იყო. აფხაზებსა და აბაზებს შორის გავრცელებული იყო **ჰაბიზმი**.

ჰაბიზმი ემყარებოდა ტოტემურ პაგანიზმს (ტოტემი, როგორც კერპის თაყვანისცემა), მაგრამ ისლამის გავლენის გაძლიერებამ მისი მიმდევრების რაოდენობა შეამცირა ჩერქეზული მოდგმის ხალხებში. ჩერქეზთა გენოციდისა და აფხაზთა თურქეთში გადასახლების შემდეგ კიდევ უფრო შემცირდა კავკასიელი პაგანისტების რაოდენობა, ხოლო უბიხების, შაფსუღების, ჯიქების და აბაზების გაქრობამ თითქმის საბოლოოდ დაუსვა წერტილი ამ მიმდინარეობას. თუმცა შემორჩნენ ადამიანთა მცირე ჯგუფები, როგორც თანამედროვე აფაზეთში, ისე ჩერქეზეთსა და ადიღეაში, რომლებიც ფარულად თუ ღიად ატარებდნენ რიტუალებს და თაყვანს სცემდნენ პაგანისტურ ღვთაებებს. კომუნისტურმა ათეისტურმა იდეოლოგიამ კიდევ ერთი დიდი დარტყმა მიაყენა პაგანისტებს. მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტები ჩრდილოეთ კავკასიაში წმინდა გრაალს ეძებდნენ და აქტიურად თანამშრომლობდნენ პაგანისტ ჩერქეზული მოდგმის ხალხებთან (აფხაზები, ადიღეები, ყაბარდოელები, ჩერქეზები). ამის გამო საბჭოთა ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდა ყველას, ვინც წარმართულ მორწმუნეობაში შეამჩნია. კიდევ უფრო რთული პერიოდი კავკასიურ პაგანიზმს 21-ე საუკუნეში უდგას, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიაში ვრცელდება რადიკალური ისლამი და ვაჰაბიზმი. მაგ. 2010 წელს ყაბარდო ჩერქეზეთის ეთნოგრაფი არსენ ციპინოვი, რომელიც წერდა წიგნს ჩერქეზულ ტრადიციულ რწმენაზე (პაგანიზმი), მოკლული იქნა რადიკალი მუსლიმის მიერ, რომელმაც იგი მკვლელობამდე ერთი თვით ადრე გააფრთხილა, შეეწყვიტა კავკასიური ადგილობრივი რიტუალების შესახებ წიგნის წერა, რომელიც ისლამს „საფრთხისა და დარტყმის ქვეშ დააყენებდა“. დღეს ჩრდილოეთ კავკასიაში პაგანიზმი ასე თუ ისე ცოცხლობს და მას მაინც ჰყავს მიმდევრები, თუმცა მათი ზუსტი რაოდენობა უცნობია, რადგან უსაფრთხოების გამო ბევრი პაგანისტი არ აცხადებს ღიად ამის შესახებ. უკანასკნელი ცნობებით, 2003 წელს აფხაზეთის მოსახლეობის 8% აღიარებს აფხაზურ ტრადიციულ ხალხურ სარწმუნოებას — ჰაბიზმს. ყაბარდო-ბალყარეთში მოსახლეობის 3%-ია პაგანისტი (მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებნი); ხოლო ყარაჩაი-ჩერქეზეთში, 2012 წლის სტატისტიკური მონაცემებით, მოსახლეობის 12% პაგანისტია.

ოსური ნეოპაგანიზმი სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება: „მართალი რწმენა“. 2012 წლის მონაცემებით, ჩრდილოეთ ოსეთის

სკანდინავიური პაგანიზმი

(ალანიის) მოსახლეობის 29% (?!) აღიარებს ხალხურ რწმენას (პაგანიზმს). ოსები წარმომავლობით ირანულენოვანი ხალხია. ისინი ჩრდილოეთ კავკასიაში ადრეულ შუა საუკუნეებში დასახლდნენ და თან მოიტანეს თავიათი რწმენა ბუნების ძალებისა და წინაპართა სულებისადმი. ოსების რელიგიას ყველაზე ნაკლებად შეუშალა ხელი რუსულმა იმპერიულმა ომებმა XIX საუკუნეში და მეორე მსოფლიო ომმა. რუსებმა მეთოდურად გაავრცელეს მართლმადიდებლობა წარმართ ოსებში, მაგრამ რელიგიური ნიშნით ერთგული მოკავშირეები არ შეავიწროვეს, რადგან მუსლიმურ ჩრდილოეთ კავკასიასთან საბრძოლველად რუსების ერთადერთი მოკავშირე იყვნენ ოსები. ოსები სწორედ ამ ადგილობრივი რწმენით ახერხებენ ეთნო-ნაციონალურ იდენტიფიცირებას რუსებისგან რადგან მართლმადიდებლობის მასობრივად დანერგვა მათ რუსებთან ასიმილაციის წინა პირობა იქნებოდა. ეს მათ მშვენივრად იციან და ჯიუტად იცავენ წინაპართა სარწმუნოებას.

პაგანისტების მოძრაობა, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, აქტიური XXI საუკუნეში მხოლოდ ქრისტიანულ ქვეყნებშია. ესენია ევროპის ქვეყნები, რუსეთი, ბრაზილია, აშშ-კანადა, ავსტრალია და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. ნეოპაგანიზმს არ უკავშირდება აფრიკული პოლითეიზმი და ინდიელთა ადგილობრივი რელიგიები, არც ინდოეთსა და ინდოჩინეთში არსებული ხალხური რელიგიები (მიუხედავად მათი მრავალრიცხოვნობისა). ბოლო პერიოდში ნეოპაგანიზმი მხოლოდ ქრისტიანულ და ევროპულ სუბკულტურად არის წარმოდგენილი.

მაინც ვინ არიან ევროპელი ნეოპაგანისტები? ქრისტიანული ეკლესია არც ამ საკითხშია ერთსულოვანი. კათოლიკები მათ სექტანტებად აღიქვავენ, ხოლო მართლმადიდებლები პაგანისტების ამ მიმდინარეობაში დემონური ძალების თაყვანისმცემლებს ხედავენ. აღიქვავენ რა ტოტალურ დესტრუქციულ ძალად და არა რელიგიურ სექტად (როგორც კათოლიკები), თვლიან, რომ **ესაა ევროპის დექრისტიანიზაციის გაგრძელება** (დასაწყისი, დიდი ხანია, დასრულდა ლიბერალური მსოფლმხედველობის გავრცელებით და ოჯახის თუ ეკლესიის ინსტიტუტების ნგრევით).

სწორედ მაგიურ რიტუალებს ახორციელებენ ნეოპაგანიზმის მიმდევრები. მათ ჰყავთ ქურუმი, რომელიც ატარებს სხვადასხვა რიტუალს; იყენებს პენტაგრამას, როგორც სიმბოლოს. პაგანისტი ქალები ხშირდ არიან შემჩნეული ე.წ. კუდიანობაში, ანუ ჯადოქრობაში (რთული დასაჯერებელია XXI საუკუნეში, თუმცა ფაქტი ჯიუტია), ხოლო ქრისტიანულ ეკლესიას დაწყევლილი ჰყავს წარმართები, როგორც სატანური ბნელი ძალები, რომლებიც ქრისტიანული სარწმუნოებისთვის დამანგრეველ ძალას წარმოადგენენ.

პაგანისტები ხშირად მართავენ მსვლელობებს ვეროპის ქალაქებში და ცდილობენ, რაც შეიძლება მეტად პოპულარული მიმდინარეობა გახადონ იგი ღმერთისგან მივიწყებულ გაათეისტებულ ბებერ კონტინენტზე. მათი შეკრების ძირითად ადგილს ტყეები და ეკოლოგიური პარკები წარმოადგენს. პაგანისტების ფერია მწვანე, რადგან იგი ხაზს უსვამს მათ მჭიდრო კავშირს ბუნებასთან. წრეში ჩასმული მწვანე ჯვარი პაგანისტების სიმბოლოა.

ჯვარი — ესაა დედამიწაზე სასიცოცხლო ძალების კვების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გამოვლენა

რუსმა მეცნიერებმა კვანტური ფიზიკის პოზიციებიდან შეისწავლეს ჯვარი და გამაოგნებელ დასკვნამდე მივიდნენ. მათმა ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა ფ. ი. შიპუნოვმა ამ შედეგების შესახებ საქვეყნოდ განაცხადა. 1994 წელს კი შიპუნოვი გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს.

აი, რა აღიარა მეცნიერმა:

„ჩვენი ცდებით დამტკიცდა, რომ ჯვარი ერთადერთი მექანიზმია მთელს პლანეტაზე, რომელიც დამუხტულ ნაწილაკებს წარმოქმნის, ანუ ჩვენი სიცოცხლისთვის უზრუნველყოფს ელექტრულ კვებას, რომლის გარეშეც არც ერთ ცოცხალ უჯრედს არ შეუძლია არსებობა. ყველაზე საინტერესო, აი, რა არის — **ჯვრის იმ კუთხეში, სადაც ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზები გადაიკვეთება, ჩვენს ბიოსფეროში მთელი სამყაროდან შემოსული ენერგია ჰორიზონტალურ ნაკადად წარმოიქმნება.** და ჯვრის სწორედ ეს ადგილი მარჯვნივ და მარცხნივ უთვალავ, მილიარდობით დამუხტულ ნაწილაკს გადმოაფრქვევს. ნაწილაკები გამოიფრქვევა კონებად, ხოლო დიდ დღესასწაულებსა და ღვთისმსახურების დროს ჯვრიდან გვირგვინისებური გამოსხივება შეინიშნება.

მერე ჯვრის ვერტიკალური შემადგენლიდან ეს ენერგია ტაძრის სივრცეში ხვდება და იქ ელექტრული ენერგიის უზარმაზარ პოტენციალს ქმნის. ამიტომაც ტაძარი, თანამედროვე კვანტური მექანიკის თვალსაზრისით, ენერგიის უზარმაზარ გამომსხივებელს წარმოადგენს. ეს გამოსხივება უზარმაზარ მანძილზე ვრცელდება და, ფაქტობრივად, თავის გარშემო არსებული სივრცის მთელ ელექტრომაგნიტურ სტრუქტურას გარდაქმნის. ამას შემდეგ უზარმაზარი ძალის უფრო ფაქიზი ველების გარდაქმნაც მოსდევს, ანუ ტაძრის გარშემო სივრცე მთლიანად იცვლება.

...ჯვრები თვით მიტოვებულ ტაძრებშიც კი გამოასხივებს ენერგიას. ყველა ჯვარი სხვადასხვა ხარისხისას გამოასხივებს; ყველაზე ძლიერად კი — ოქროსი, სხვა ლითონის — შედარებით ნაკლებად... გამოასხივებს ხის ჯვარიც.

ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ ჯვრის ვერტიკალური ნაწილი კოსმოსურ რადიაციას ღებულობს, ჰორიზონტალური ნაწილი კი მას დედამიწის ზედაპირზე გადაასხივებს. ჯვარი წარმოადგენს ელექტრული მუხტების ყველაზე ძლიერ გამასხივებელს და, სხვათა შორის, მაცოცხლებელი მუხტებისას, რომელთა რაოდენობა დედამიწაზე არ კმარა. ეს წმინდა ფიზიკური მოვლენაა. ჯვარი — ესაა დედამიწაზე სასიცოცხლო ძალების კვების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გამოვლენა. მეორე ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს“.

ჯვარი პატიოსანი, სვეტიცხოველი.
საუკუნეებგამოვლილი ჯვარი პატიოსანი დღესაც სასწაულებრივად კურნავს სასოებითა და რწმენით მიახლოვებულთ.

ამ ჯვრით თამარ მეფე ჯარს ლოცავდა.
„როგორც კი ამ ჯვარს ხელი ვახლე, იმ ადგილიდან, სადაც ძელიცხოვლის ნაწილია დატანებული, დიდი ენერგია ვიგრძენი“ — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

ნიკო მუსხელიშვილი — მათემატიკისა და მექანიკის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი

გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსი და მექანიკოსი, მათემატიკისა და მექანიკის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი ნიკოლოზ (ნიკო) ივანეს ძე მუსხელიშვილი დაიბადა 1891 წლის 16 თებერვალს, თბილისში, სამხედრო ინჟინრის ოჯახში. ბავშვობაში ხშირად იყო მანგლისში პაპასთან — ალექსანდრე საგინაშვილთან. მამა, ივანე მუსხელიშვილი, მათემატიკისადმი სიყვარულს უნერგავდა ნიკოსა და ალექსანდრეს, დედა — დარია საგინაშვილი კი ენებს ასწავლიდა. ოჯახის სურათი ნიკოს მუდამ საწოლთან ეკიდა და, როგორც ამბობდა, მათი ხილვა სულიერ სიმშვიდეს, გონებრივ ძალასა და ფიზიკურ სიმხნევეს ჰმატებდა. მშობლისადმი პატივისცემა იმითაც გამოხატა, რომ 1928 წელს კინემატიკის კურსის სახელმძღვანელო მამას მიუძღვნა.



თბილისის მეორე კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1909 წელს, პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. საპროგრამო მასალასთან ერთად გამოჩენილ მათემატიკოსთა შრომებს სწავლობდა, აქვე დაინტერესდა დრეკადობის მათემატიკური თეორიით. 1914 წელს წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი და იქვე დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად. შემდეგ წელს პედაგოგ **კოლოსოვთან** ერთად პირველი ნაშრომი გამოსცა, პეტროგრადის უნივერსიტეტსა და ტექნიკურ სკოლებში უმაღლესი მათემატიკისა და მექანიკის კითხვა დაიწყო.

1920 წელს თბილისის უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჯავახიშვილი სიხარულით შეხვდა ახლგაზრდა მათემატიკოსს, სამშობლოში დაბრუნება მოუწონა და ლექციების კურსი მისცა. მუსხელიშვილი ანდრია რაზმაძესთან, არჩილ ხარაძესა და გიორგი ნიკოლაძესთან ერთად მათემატიკური სკოლის შექმნას შეუდგა. იმავე წლის 1 სექტემბერს მექანიკის კათედრის გამგედ აირჩიეს, 29 ოქტომბერს — პროფესორად. თავდაპირველად ქართულად მეტყველება უჭირდა, ცოტა ხანში მშობლიური ენა არათუ გაიხსენა, აქტიურად ჩაება მათემატიკური და ფიზიკური ტერმინოლოგიის დადგენაში. **ტერმინი „ტოლობა“ და მისგან ნაწარმოები „განტოლება“, „უტოლობა“ სწორედ გატონმა ნიკომ შემოიღო. საკმაო დროს ანდომებდა ნაშრომის ენობრივად დახვეწას, კორექტურასაც თვითონ ასრულებდა.** ენერგია ყველაფრისთვის ყოფნიდა. დიდი დაბრკოლებით მიაღწია ნებართვას და **1936 წელს მოაწყო პირველი სამეცნიერო ექსპედიცია მყინვარწვერზე კოსმოსური სხივების შესასწავლად.**

1939 წელს ნიკო მუსხელიშვილ აირჩიეს

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. ნ. მუსხელიშვილის დამსახურებაა საქართველოში ძლიერი მათემატიკური სკოლის შექმნა. მისი ძალისხმევით ჩამოყალიბდა ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, რომელსაც 40 წელი ხელმძღვანელობდა.

1941 წლის 27 თებერვალს ნიკო მუსხელიშვილმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი სხდომა საზეიმო ვითარებაში გახსნილად გამოაცხადა, სადაც აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. 31 წელიწადი (1941–72) უცვლელად ეკავა აკადემიის პრეზიდენტის პოსტი და დიდი წვლილი შეიტანა არა მხოლოდ მათემატიკური, ზოგადად ქართული მეცნიერების განვითარებაში. 1972–76 წლებში მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტია.

მუსხელიშვილს ეკუთვნის ფუძემდებლური გამოკვლევები დრეკადობის თეორიასა და ინტეგრალურ განტოლებებში, ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანებში. **მუსხელიშვილმა მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის გამოყენება დრეკადობის თეორიის ამოცანებისათვის. შემოიღო მრავალი მეთოდი, რომლებსაც წარმატებით იყენებენ მათ სხვა დარგებშიც, თეორიულ ფიზიკასა და მექანიკაში. მუსხელიშვილი ავტორია ფუნდამენტური სახელმძღვანელოებისა ანალიზურ გეომეტრიასა და თეორიულ მექანიკაში.** მისი მონოგრაფია „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა“, დიდი ხანია, მეცნიერთა სამაგიდო წიგნად იქცა.

1957 წელს საბჭოთა კავშირმა პირველი ხელოვნური თანამგზავრი გაუშვა კოსმოსში. გაზეთმა „პრავდამ“ აღნიშნა, რომ ამ დიდ გამარჯვებაში ფუნდამენტური წვლილი შეიტანა ნიკოლოზ ივანეს ძე მუსხელიშვილის დრეკადობის თეორიამ. **მისი წიგნები სხვადასხვა ენაზე ითარგმნებოდა და საქართველოს სახელი საზღვრებს გარეთ გაჰქონდა**. ნიკო მუსხელიშვილს ხელისუფლებისაგან აღიარება და დაფასება არ დაკლებია: იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს ცხრა მოწვევის დეპუტატი, სსრკ თეორიული და გამოყენებითი მექანიკის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე (1957–76), თეორიისა და გამოყენებითი მექანიკის საერთაშორისო კავშირის ბიუროს წევრი (1960), ბულგარეთის (1952), პოლონეთის (1960) და გდრ (1967) მეცნიერებათა აკადემიის წევრი. ექვსჯერ დაჯილდოვდა ლენინის ორდენით, ორჯერ მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია (1941, 1947), ლომონოსოვის სახელობის ოქროს მედალი. ტურინის მეცნიერებათა აკადემიამ 1969 წელს გადასცა საერთაშორისო პრემია და ოქროს მედალი „მოდესტო პანეტი“. დაჯილდოებული იყო სლოვაკეთის მეცნიერებათა აკადემიის ოქროს მედლით.

რა თქმა უნდა, საზოგადოების უდიდეს ნაწილს არაფერი ესმოდა „კოშის ტიპის ინტეგრალების“, „სინგულარული განტოლებებისა“ და „დრეკადობის თეორიის“, მაგრამ მისი სახელი ყველა ქართველმა იცოდა და გვარი — მუსხელიშვილი გონიერების სინონიმად იქცა.

განათლებული და სწავლისმოყვარული ოჯახიდან გამოსული, ასევე ცნობილი ოჯახის წევრი გახდა. მისი მეუღლე თამარი, ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილი და გიორგის უმცროსი და იყო. რვა არაჩვეულებრივი და მრავალმხრივ განათლებული ადამიანი ერთ ოჯახად ცხოვრობდა. სამწუხაროდ, თამარი ადრე გარდაიცვალა, დარჩა 12 წლის ვაჟი, რომელიც მათემატიკოსი არ გამოსულა. ამაზე ნიკო მუსხელიშვილს დასაბუთებული პასუხი ჰქონდა: ყოველმა ადამიანმა თავისი მეცნიერული მიმართულება თვითონ უნდა აირჩიოს. მე გურამისათვის არასოდეს დამიძალებია მათემატიკა, ის მიდრეკილებითა და ინტერესით უფრო ახლოსაა ბიძამისთან — გიორგი ნიკოლაძესთან, ვიდრე ჩემთან.

მუსხელიშვილის გატაცება ყოფილა ხის ნაკეთობების დამზადება, ჰყვარებია ნადირობა, თევზაობა. შეუდარებელი მეცნიერი შეუდარებელ პაპად იქცა, შვილიშვილებს თავისი ხელით უკეთებდა სათამაშოებს, თოჯინებისთვის საწოლებსა და სახლებს.

80 წლის იუბილე რომ გადაუხადეს, ათი წლით, მომავალ იუბილემდე დაემშვიდობა კოლეგებს, მაგრამ ხუთი წლის შემდეგ, 85 წლის ასაკში, 1976 წლის 15 ივლისს გარდაიცვალა. დიდი მეცნიერი მთაწმინდაზე განისვენებს.

1977-იდან მუსხელიშვილის სახელი მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტს, თბილისის 55-ე საშუალო სკოლას. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ დააწესა მუსხელიშვილის სახელობის პრემია მექანიკისა და ფიზიკის დარგში (1977). გადაღებულია ტელეფილმი „ნიკოლოზ მუსხელიშვილი“ (რეჟ. ზ. კაკაბაძე, 1980). თბილისში არის ნიკოლოზ მუსხელიშვილის ქუჩა.

ბატონი ნიკო მხოლოდ მეცნიერული მიღწევებით არ გამოირჩეოდა. ერთგულ მეგობარსა და გულისხმიერ ხელმძღვანელს საოცარი უნარი ჰქონდა, მოსწრებული სიტყვით გაექარწყლებინა დაძაბული მდგომარეობა, მოწინააღმდეგენი ადვილად დაეშოშმინებინა. ერთხელ იუმორით უპასუხა თურმე ვასილ მჟავანაძის შენიშვნას: მეცნიერებათა აკადემიაში ასაკოვანი ხალხი გყავთო, – მეცნიერებათა აკადემია თბილისის „დინამო“ ხომ არ გგონიათო.

ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი სერგი დურმიშიძე თავის მოგონებათა კრებულში „ზოგი რამ წარსულიდან“ გულთბილად იგონებს დიდ მეცნიერს, როგორც დიდებულ ადამიანს, პიროვნებას.

მეცხრე ათწლეულის პირველი დილა

ნიკო მუსხელიშვილი და ილია ვეკუა

1971 წლის 16 თებერვალი გათენდა. წყნარი და თბილი ამინდი იყო. ბატონ ნიკოს დავურეკე. კითხვა არც კი დამაცალა, ისე მიპასუხა:

— მოვდივარ, რამდენიმე წუთში აკადემიაში ვიქნები.

ყველაფერი ჩვეულებრივად, თითქოს გუშინდებურად დაიწყო, მაგრამ დღევანდელი დილა მაინც განსაკუთრებული იყო; რამდენიმე საათის წინ ნიკო მუსხელიშვილს 80 წელი შეუსრულდა, აკადემიის პირველი და უცვლელი პრეზიდენტი ომხთოცი წლის ასაკში პირველად მოდიოდა სამსახურში.

საიუბილეო ზეიმი სექტემბრისათვის იყო გადატანილი და აკადემიის ხელმძღვანელთაგან არავის აზრად არ მოგვსვლია, რომ ეს დღე როგორმე აღგვენიშნა.

ბატონი ნიკოს მოსვლას რამდენიმე წუთიღა აკლდა. მოულოდნელად აკადემიის პრეზიდიუმის შენობა ხალხით აივსო. თანამშრომლები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად თავისი სურვილით მოსულიყვნენ. პრეზიდენტის მოსაცდელში მიხაკების ზვინები იდგა.

მალე დერეფნიდან ჩვენთვის კარგად ნაცნობი, მტკიცე ნაბიჯის ხმა გაისმა და ოთახში ტაშმა იგრიალა. პრეზიდენტი კარებშივე შედგა, სახეზე სიხარულისა და გაკვირვების ღელვა დატყობოდა. ოდნავ შეცბა. მოსაცდელიდან ხალხი უმალვე კაბინეტში შეჰყვა და გარს შემოერტყა. ყველანი ერთად ულოცავდნენ, ერთიან გუგუნად გაისმოდა:

— იცოცხლეთ, დიდხანს იცოცხლეთ, ბატონო ნიკო!

მოულოდნელად ერთმა ახალგაზრდა ქალმა პრეზიდენტის წინაშე მუხლი მოიყარა და ხელზე ეამბორა.

ხალხის სიყვარულისა და პატივისცემის ტალღა კიდევ უფრო გაძლიერდა.

პრეზიდენტი დიდხანს ართმევდა ხელს თავის ძველსა და ახალ თანამშრომლებს და სიხარულით აკიაფებული თვალებით უხდიდა მათ მადლობას გულითადი გრძნობისათვის.

ყველასათვის ძნელი აღმოჩნდა სულიერი ღელვის ამ ატმოსფეროსათვის თავის დაღწევა.

ბატონმა ნიკომ, როგორც იქნა, იპოვა თავისი „დაკარგული“ სიგარეტი და კაბინეტში დარჩენილ რამდენიმე კაცს მოგვმართა:

— რა მოხდა, მე ამ ხალხს რა გავუკეთე ასეთი?!

...ბატონმა ნიკომ კოლოფში სიგარეტები გადათვალა, 11 საათისათვის უკვე სამი ცალი მოეწია. ექიმებისაგან დადგენილი დღიური ნორმა მხოლოდ ხუთი იყო. სიგარეტებიანი კოლოფი ჯიბეში ჩაიდო და მოსაწევად სიგარეტი რაფიელ დვალს გამოართვა. აგვიხსნა: „გამოთვლის“ ამ ხერხის წყალობით მეუღლე რომ შინ სიგარეტებს შემიმოწმებს, თამბაქოს მოწევის ნორმა „მათემატიკური“ სიზუსტით იქნება დაცულიო.

კამა

ბატონ ნიკოს ძალიან უყვარდა ნადირობა. სტუდენტობის დროსვე შეიძინა ორლულიანი თოფი და თავის დედულეთში სოფელ მაწევანის მიდამოებში ნადირობდა. ეს გატაცება ხანდაზმულობამდე შერჩა.

...ნიკოს ოჯახში სეტერი ჰყავდათ, სახელად კამა. ბატონ ნიკოს პირველი შვილიშვილი გულკა (ოლღა) რომ შეეძინა, კამა დიდ სასტუმრო ოთახში ბალიშებზე ნებივრობდა. გულკა და კამა ერთად იზრდებოდნენ, დამეგობრდნენ კიდეც. რამდენიმე წელიწადში კამას უკვე ორი ერთგული მეგობარი ჰყავდა: პაპა და შვილიშვილი. პრეზიდენტიც მათ, როგორც მეგობრებს, ხშირად ერთად მოიხსენიებდა. კამა ოჯახში მეტად დარბაისლურად იქცეოდა, კარგად იცოდა, რა დროს რა გაეკეთებინა. როდესაც ბატონი ნიკო გულკასათვის სათამაშოებს თავისი ხელით აკეთებდა, კამა ამ დროს ჩაცუცქდებოდა და პრეზიდენტის დურგლობას „ამოწმებდა“, თვალყურს ადევნებდა.

— კაცო, რა ნახა პრეზიდენტმა ამ ძაღლში ასეთი, ზოგს ადამიანი არ უყვარს და ბატონი ნიკო ლამისაა კამას გადაჰყვეს, — იტყოდა ხოლმე მისი მძღოლი ალიოშა ქობულია.

რვა წელიწადი ცხოვრობდა კამა მუსხელიშვილების ოჯახში.

— კამა თავისი საქმის უბადლო ოსტატია. თუ კარგად დააკვირდები, უსიტყვოდაც მიხვდები, რა

უნდა მოხდეს სანადირო ველზე, — ამბობდა ბატონი ნიკო.

ერთ დღეს პრეზიდენტმა აკადემიის საქმეთა მმართველი გიორგი კავკასიძე დაიბარა და მეგობრულად სთხოვა, კამასათვის წამლები ეშოვა — ძლიერ ავად არისო! ბატონი ნიკო ისეთ გუნებაზე იყო, რომ თანამშრომლები ერთმანეთში ჩურჩულებდნენ: ალბათ, გულკა თუა ავადო. რა არ იღონეს, მაგრამ კამას სიცოცხლე ვერ შეუნარჩუნეს.

საბოლოო გადაწყვეტილება

1971 წლის 9 ოქტომბერს ბატონმა ნიკომ თავისთან, ბინაზე დამიბარა. საღამოს 8 საათზე მივედი. საწოლ ოთახში მიმიღო — შეუძლოდ იყო. მშვიდად იწვა; გადაფითრებულ სახეზე ოდნავ ღელვა ემჩნეოდა. რამდენჯერმე იხუმრა კიდეც, მაგრამ ეს გახუმრება მის ჩვეულებრივ გონებამახვილობას არ ჰგავდა.

— სერგო, ჩემი მეუღლე მირჩევს, რომ პრეზიდენტობაზე ხელი ავიღო, ვიდრე ასაკმა გონება არ შემილახა. არ მომერიდო და მითხარი, რას ამბობენ ჩემს ახლანდელ მუშაობაზე მეგობრები, კოლეგები და ან შენ თვითონ რას ფიქრობ ამაზე!

მე ვიცოდი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის, პრეზიდიუმის, ჩვენი აკადემიის სხვა წევრების შეხედულება და ცოლ-ქმარს დაწვრილებით ვუამბე, თუ რა აზრი არსებობდა ბატონ ნიკოს ხელახალი არჩევის შესახებ, რომ არავინ არ ელის მის შეცვლას, ყველანი მზად არიან, იმდენჯერ აირჩიონ პრეზიდენტად, რამდენჯერაც თვითონ მიიჩნევს საჭიროდ.

ბატონ ნიკოს ესიამოვნა, ეტყობოდა, სხვაგვარ ინფორმაციას არც მოელოდა ჩემგან. ახლა მეუღლეს მიმართა, რომ ჩემთვის გაეზიარებინა ის აზრი, რასაც ამ ბოლო დროს ხშირად უმეორებდა.

ქალბატონმა რუზანამ მითხრა:

— დიდი ხნის წინათ ჩვენ, ორივენი, ერთად ვიყავით მოსკოვში. ვესწრებოდით ერთ-ერთ შეკრებას, სადაც საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელი პრეზიდენტი კომაროვიც იყო. დამბლას იგი მეტისმეტად მოეტეხა, სახეც მთლიანად შეცვლილი ჰქონდა. დამსწრენი მხოლოდ მასზე საუბრობდნენ, მის ახლობლებს კიცხავდნენ: ნუთუ ვერ ხედავენ, რა მდგომარეობაშია, რატომ აწვალებენო?! იმ საღამოს ნიკომ პირობა ჩამომართვა: თუ დიდხანს იცოცხლებდა და თანამდებობაზე ხელის აღება გაუჭირდებოდა, მე უნდა დავხმარებოდი ამ საკითხის გადაწყვეტაში. მე დარწმუნებული ვარ, რომ მისი პრეზიდენტობიდან წასვლის დრო დადგა და ჩემს პირობასა და ვალდებულებას ვასრულებ. თქვენ, მის მეგობრებსა და კოლეგებს, გთხოვთ, რომ სინამდვილეს თვალი გაუსწოროთ და ხელი არ შეუშალოთ ნიკოს ისე მოიქცეს, როგორც მის ვაჟკაცობას შეშვენის. იგი სადაცაა 81 წლის გახდება, თქვენს მომავალ არჩევნებამდე თითქმის ნახევარი წელიწადია. ამ ხნის განმავლობაში ყველა საორგანიზაციო საქმის მოგვარებასაც მოასწრებთ. ამ საქმეში მე სულაც არ ჩავერეოდი, მაგრამ ჩვენთან ხშირად მოდიან მისი მეგობრები და დაჟინებით ურჩევენ, რომ კვლავ იყაროს კენჭი.

ნიკო დანაღვლიანებული უსმენდა... ბოლოს სიჩუმე მანვე დაარღვია:

— რუზანა, იმასაც ხომ მოფიქრება უნდა, თუ ვინ იქნება ჩემი შემცვლელი, მე ხომ ამაზეც მომეთხოვება პასუხი. შენ მთხოვ, რომ ახლავე წამოვიდე აკადემიიდან. იქნებ არჩევნებს ჩაევლო, ერთ-ორ წელიწადში საპრეზიდენტო კანდიდატი შეგვერჩია და თანამდებობა ახალი ვადის გასვლამდე მისთვის გადამელოცა.

მეუღლე ბატონ ნიკოს არ დაეთანხმა.

— ჩემთვის რომ დაგეჯერებინა, იუბილის შემდეგ უნდა წამოსულიყავი აკადემიიდან, ეს უფრო სასახელო იქნებოდა. ახლა ხალხისათვის შენზე უფრო შენი თანამდებობაა საჭირო. შენ მომავალი პრეზიდენტის დარდი ნუ გაქვს, ეს უშენოდაც გადაწყდება, ალბათ.

ნიკოს სახეზე შეეტყო, რომ ბოლო ნათქვამი არ მოეწონა, მაგრამ არაფერი თქვა.

ზარი დაირეკა და რუზანა ოთახიდან გავიდა.

— სერგო, ახლა მარტონი ვართ. შენ რუზანას აზრი ადრეც იცოდი, ჩემი გურამიც აკადემიიდან ახლავე წამოსვლას მირჩევს. გულწრფელად მითხარი, რას ფიქრობ.

— ბატონო ნიკო, არ ვიცი, რა გითხრათ, მიჭირს, ძალიან მიჭირს; თექვსმეტი წელია, თითქმის ყოველდღე ერთად ვართ, რა არ გადაგვხვდენია, რა არ განგვიცდია; აბა, ყველაფერს ამას ასე უცებ როგორ შეველიოთ?!

ნიკოს უნდოდა, საპასუხო რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს რუზანამ სინით ხილი და ღვინო შემოიტანა. მასპინძელი გამხიარულდა:

— აი, შენი და ჩემი საყვარელი „წინანდალი“. მე რუზანას დაუწერელი კანონის მიხედვით უფლება მაქვს, დღეში ხუთი ცალი პაპიროსი მოვწიო და სადილად ორი ჭიქა ღვინო დავლიო. ვისარგებლოთ ამ „კანონით“. როგორც ვიცი, შენი ნანა რუზანაზე ნაკლები „მტარვალი“ არ უნდა იყოს!

ერთ-ორ ჭიქა ღვინოსაც გეახელით. საუბარში ნიკომ კვლავ აკადემიკოსი კომაროვი გაიხსენა:

— ბოლო დროს მართლაც შესაბრალისი სანახავი იყო, ვერავინ ეს ხმამაღლა ვერა თქვა, სანამ იგი შემთხვევით სტალინმა არ ნახა და არ გაწყრა: ამ ადამიანმა რა დაგიშავათ, რად ამყოფებთ ასეთ სათაკილო მდგომარეობაში, ახლავე გაათავისუფლეთო!

იმ დღიდან აკადემიამაც მოიპოვა ახალი პრეზიდენტი და აკადემიკოსმა კომაროვმაც მოისვენა.

— რუზანა, ძვირფასო, შენ, ალბათ, მართლაც მატყობ რაღაც ცვლილებებს, თორემ, მე რომ კიდევაც გაგეწირე, ჩემს ჯამაგირს ასე ადვილად ხომ არ შეელეოდი!

რუზანას გულიანად გაეცინა და მოეფერა:

— ახლა კი ძველებური ნიკო ხარ, ასეთი მიყვარხარ და მინდა, ყოველთვის ასეთი იყო...

სერგი ღურმიშიძე,
1981 წ.

მენახშირეობა ძველ თბილისში

ძველ საქართველოში მოსახლეობის ერთი ნაწილი სათბობის ძირითად საშუალებად ხის ნახშირს იყენებდა. მასზე განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა თბილისში იყო.თბილისის გარშემო არსებული ტყეები, რაც კი მტრის გაუთავებელ შემოსევებს გადაურჩა, სარეწაო ნახშირისა და შეშის გამო იჩეხებოდა და ნადგურდებოდა. ტყე ამ დროს ძირითადად მემამულეთა ხელში იყო. გლეხები და უმეტესად ვაჭრები შეშას ყიდულობდნენ და საგანგებოდ გამართულ ორმოებში ერთ ადგილას წვავდნენ, ნახშირს ამოარჩევდნენ, ნამწვავი და ნაცარი კი ადგილზე რჩებოდა.

თავდაპირველად მენახშირეობა რაჭველებმა და იმერლებმა დაიწყეს. თუმცა ახალ საქმეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმაც ადვილად აუღეს ალღო. ამიტომ მენახშირეობა ყველაზე მეტად თბილისის მიმდებარე სოფლებში — წყნეთში, ბაგებში, ნახშირგორაზე, დიღომში, შინდისში, ტაბახმელაში, გუდელისში, კოჯორში, ბორბალოსა და მარტყოფში განვითარდა.

ძველად ხელოსანთა გაერთიანებას ამქარი ეწოდებოდა. ხელოსნობის თითოეულ დარგს საკუთარი ამქარი ჰყავდა. ამქრის გამგეობას უსტაბაში განაგებდა. ყველა ამქარს ჰქონდა თავისი დროშა, გერბი, წესდება, სალარო; ჰყავდა თავისი მფარველი წმინდანი.

თბილისის მენახშირეებიც, ქალაქის სხვა ხელოსანთა მსგავსად, ამქარში იყვნენ გაერთიანებული, ერთად წვავდნენ ნახშირს და მოგებულ ფულსაც თანაბრად ინაწილებდნენ, ხოლო ტყის მეპატრონეს გამოსაწვავი ორმოდან კვირაში ერთი გოდორი ნახშირის საფასურს უხდიდნენ. განსაზღვრული იყო ნახშირის წვის სხვადასხვა ხერხი, ხარისხის განსაზღვრისა და გასაღების ადგილები.

მენახშირეობა განსაკუთრებით XVIII საუკუნიდან იწყებს განვითარებას.

როგორც ჩანს, ქალაქის მიმდებარე სოფლებს შეშითაც ევალებოდათ სახელმწიფო ბეგარის გადახდა.

1779 წლის უცნობი პირის ქორწილისთვის გაწეული ხარჯების ნუსხაში ჩამოთვლილია შეშა და ნახშირი. აქედან შეიძლება შევიტყოთ, რა ღირდა იმ დროს ნახშირი და შეშა.

„გ (3) ცალი ნახშირი — მარჩილი

ერთი ურემი ნახშირი — სამი მინალთუნი და ორი აბაზი

ერთი ურემი შეშა — ერთი მინალთუნი და სამი შაური“.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მსგავსი დოკუმენტები უამრავია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ **მენახშირეობის განვითარებას ერეკლე II-ს მიერ გატარებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა და საქალაქო ცხოვრების განვითარებამაც შეუწყო ხელი.**

ძველი თბილისისთვის გათბობის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება სწორედ ხის ნახშირი იყო. ქალაქელები ყოველდღე რამდენიმე ათეულ ფუთ ნახშირს მოიხ-

მარდნენ. **თბილისელები ნახშირს, როგორც სათბობად, ისე საკვების მოსამზადებლად იყენებდნენ. ქალაქში ოჯახს ვერ ნახავდით, მაყალი და ქურსი არ ჰქონოდა. მაყალზე თუ მწვადსა და ქაბაბს წვავდნენ, ქურსი ერთგვარი გადასატანი ღუმელი იყო, რომელშიც გაღვივებული ნახშირი იყრებოდა.**

მაყალი ოთხ ფეხზე შემდგარი მოგრძო სწორკუთხა (ოთხკუთხა) ფორმის იყო, **ქურსი** კი — დაბალი, ოთხ ან ექვს ფეხზე შემდგარი, ექვსკუთხა ან რვაკუთხა, აჟურული გვერდებით მოხარატებული. ქურსი, ძირითადად, ხელოსნებსა და ვაჭრებს ჰქონდათ დუქნებში, ზამთარში ფეხებქვეშ იდგამდნენ და თბებოდნენ, ამიტომ ნახშირზე განსაკუთრებული მოთხოვნა იყო მჭედლების, მეთევზეების, ყასბების მხრიდან. ნახშირს იყენებდნენ, ასევე, ძველი თბილისის სასადილოები, სახაშეები, საჩაიეები და საბაყლოები.

დღევანდელი ბარათაშვილის ქუჩის ადგილას უზარმაზარი ხევი იყო, რომელსაც თბილისელები **ავანაანთ ხევს** ეძახდნენ. ავანაანთ ხევი იწყებოდა სოლოლაკიდან (ვოზნესენსკის ქუჩიდან), სჭრიდა ერევნის მოედანს და გადიოდა მტკვარში (ეხლაც სჩანს მუხრანის ხიდიდან თაღი). 30-იან წლებში ეს ხევი ერევნის მოედანზე დაიფარა თაღით, ხოლო შემდეგ ვორონცოვმა გაიყვანა სოლოლაკის ქუჩა. ხევის ორივე მხარეს პატარა მოედნები იყო, სწორედ აქ იყიდებოდა შეშა და ნახშირი, ამიტომ ქალაქის მოსახლეობა ამ ადგილს **შეშის მოედანს** ეძახდა.

შეშის მოედანი XIX საუკუნის 40-იან წლებში გაუქმდა, ამ დროს პასკევიჩ ერევანსკის მოედანზე (დღევანდელი თავისუფლების მოედანი) გამავალი ავანაანთ ხევი გადახურეს და იქ ქარვასლა ააშენეს. ამის შემდეგ ნახშირის გასაღების მთავარ ადგილად **თათრის მოედანი** იქცა. იგი დღევანდელი გორგასლის მოედნის ადგილზე მდებარეობდა. თათრის მოედანს სხვა სახელებითაც მოიხსენიებდნენ: **ქვემო მოედანი, შეითანბაზარი, მეიდანი.** გვიანფეოდალურ ხანაში ეს სახელები ერთმანეთის პარალელურადაც იხმარებოდა. ქალაქში შეშასა და ნახშირს მალაკნების ბაზარსა და რიყეზეც ყიდდნენ.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნეში ტექნოლოგიების განვითარებამ და სათბობის ახალი საშუალებების ფართოდ გავრცელებამ ხის ნახშირზე მოთხოვნილება თანდათან შეამცირა.

გვიანი შუა საუკუნეების არქიტექტურა

გვიანი შუა საუკუნეების არქიტექტურა XIV-XVIII საუკუნეებს მოიცავს. ეს ის ხანაა, როდესაც აგრესიული ძალებით გარშემორტყმული, ფეოდალურად დაქუცმაცებული საქართველო დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის იბრძვის. დასავლეთ ევროპაში ამ დროს რენესანსის ბრწყინვალე კულტურა ვითარდება, პროგრესულ რეფორმებს განიცდის მეზობელი რუსეთის კულტურაც.

საქართველოში ამ ხანის ხუროთმოძღვრების ნიმუშს განეკუთვნება:

გერგეტის სამება — ხევში, ყაზბეგის მახლობლად, თერგის მარცხენა სანაპიროზე. იგი განმარტოებით დგას მაღალ მთაზე (გვერდით მხოლოდ სამრეკლოა), მის გარშემო უზარმაზარი ციცაბო კლდოვანი მთებია, უკან კი – მყინვარწვერი. ხშირად მას ღრუბლები ფარავს. **ეს ხევის ერთადერთი გუმბათიანი ეკლესიაა და ყველაზე სახელგანთქმული სალოცავი, რომელიც მუდამ დიდ როლს თამაშობდა ამ კუთხის მკვიდრთა ცხოვრებაში.**

სამების გეგმა სავსებით ტრადიციულია — ეს ჯვაროვან-გუმბათოვანი ეკლესიაა ორი თავისუფლად მდგომი გუმბათქვეშ ბოძითა და ნახევარწრიული აფსიდით, რომელიც არ სცილდება გარეთა სწორკუთხედის ფარგლებს. წინა დროის ეკლესიებთან შედარებით პროპორციები ფართო და ჯმუხია, კედელთა სიბრტყეები არაფრით არ არის დანაწევრებული. ჩუქურთმები სარკმელების გარშემოა თავმოყრილი. სტილისტიკური ნიშნებით ეკლესია XIV საუკუნით თარიღდება.

გრემი XVI საუკუნის უმნიშვნელოვანესი ძეგლია.

გრემის ნაქალაქარი, რომელიც ალაზანს გადაღმა მდებარეობს, მდინარე ინწობის ნაპირზე, მაშინ კახეთის სამეფოს დედაქალაქი იყო. XVII საუკუნის დასაწყისში იგი შაჰ-აბასმა დაარბია. ამით დამთავრდა მისი, როგორც ქალაქის, არსებობა.

ქალაქის უმთავრესი ხუროთმოძღვრული დომინანტი იყო მთის ქედის ერთ-ერთ ტერასაზე აღმარ-

გერგეტის სამება



თული **მთავარანგელოზთა ეკ-ლესია** და მეფის **კოშკისებრი სასახლე** მის გვერდით. გეგმის მხრივ ტრადიციული აგურის ეკ-ლესია გამოირჩევა კახეთისთვის დამახასიათებელი ძლიერ აზიდუ-ლი, მსუბუქი პროპორციებით.

როგორც აგურის ყველა სხვა ეკლესია, გრემის ტაძა-რიც მოკლეგულია ჩუქურთ-მებს. მისი ფასადები დამუ-შავებულია ისრული მოხაზუ-ლობის თაღოვანი ჩაღრმავე-ბებით, რომლებიც იმ დროს გავრცელებული იყო აგურის ეკლესიათა ფასადზე.

მთავარანგელოზთა ეკლესიისა და სამეფო კოშკის მდებარეობა ქალაქის თავზე, ყველაზე თვალ-საჩინო ადგილას, მარჯვედაა შერჩეული. ორივე შენობის სილუ-ეტი მეტად ჰარმონიულია.

თავის დროზე გრემი მდიდარი და ლამაზი ქალაქი იყო. XVII–XVIII საუკუნეთა მემატიანენი და პოე-ტები აღფრთოვანებით აგვიწე-რენ გრემის სასახლეებსა და ბა-ღებს, მეფისა და დიდებულების ბრწყინვალე ნადიმებსა და დღე-სასწაულებს.

დღეს მიწის ზედაპირზე დარჩე-ნილია მხოლოდ რამდენიმე ეკლე-სია, რომლებიც თავისი ვერტიკა-ლებით შუა საუკუნეების ქართ-ულ ქალაქთა დამახასიათებელ სილუეტს ქმნიდნენ.

თავის დროზე გრემი მდიდარი და ლამაზი ქალაქი იყო. XVII–XVIII საუკუნეთა მემატიანენი და პოეტები აღფრთოვანებით აგვიწერენ გრემის სასახლეებსა და ბაღებს, მეფისა და დიდებულების ბრწყინვალე ნადიმებსა და დღესასწაულებს.

XVII საუკუნის ნიმუში — **ანან-ურის ციხე,** რომელიც თბილი-სის ჩრდილოეთით არაგვის ხეო-ბაში, მდინარის მარჯვენა ნაპირ-ზე მდებარეობს და დედაქალაქ-თან 66 კმ-ითაა დაშორებული.

ანანური ფერდზე მდებარეობს და ტყიანი მთებითაა გარშემორ-ტყმული. **მძლავრი გალავნის შიგნით მოთავსებულია ორი გუმბათოვანი ეკლესია, სამ-რეკლო, წყალსაცავი და წყა-რო. თვით გალავანში რამდე-ნიმე კოშკია ჩართული.** მათ შორის მთავარია დასავლეთის კე-დელის შუაში, მთელი ანსამბლის უმაღლეს წერტილში მდებარე შვიდსართულიანი კოშკი, ე.წ. **შე-უპოვარი,** მაგრამ მთავარი ნაგე-ბობა მაინც დიდი ეკლესიაა, და-თარიღებული 1689 წლით.

დიდი ეკლესია თლილი ქვითაა მოპირკეთებული და მდიდრული მორთულობა აქვს. სწორედ ამის წყალობით აქ უფრო ადვილია წი-ნა ხანასთან შედარებით მომხდა-რი ცვლილებების შესახებ მსჯე-ლობა. პირველად თვალში გვხვ-დება ტაძრის ქვედა კორპუსის

სიმძიმე და მასიურობა, რაც მით უფრო საგრძნობია, რომ მასები ისე მკაფიოდ არაა დიფერენცირებული, როგორც საერთოდ არის ქართულ ტაძრებში: აღმოსავლეთი და დასავლეთი ფასადების შუა ნაწილები, ე. ი. ჯვრის მკლავები მცირედ გამოიყოფა კუთხის ნაწილებისგან, თითქოს უშუალოდ აგრძელებს მათი სახურავების ფერდს.

თუ X-XIII საუკუნეთა ძეგლებში დეკორაციული თაღებით ფასადთა დანაწევრება ყოველთვის შეთანხმებული იყო კედლების საერთო მოხაზულობასა და მასების რიტმთან, ახლა დანაწევრება აღარ შეესაბამება მასების აღნაგობას: საკმარისია, შევხედოთ აღმოსავლეთის ფასადს, მის შუა თაღოვან არეას და ორ სწორკუთხა არეს მარცხნივ და მარჯვნივ და შევადაროთ ისინი ფასადის საერთო მოხაზულობას: მათ შორის თანხმობა არ არის. **ყოველი ფასადის შუაში თავმოყრილი ჩუქურთმები და ფიგურული რელიეფები ტექნიკურად კარგადაა შესრულებული, თუმცა უმასშტაბოა, ყოველთვის ვერ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, მოკლებულია შესრულების არტისტიზმს, რომელიც წინანდელ ხუროთმოძღვრების დეკორს ახასიათებდა.**

მაგრამ ანანურში კიდევ ერთი თავსიებურებაა დამახასიათებელი: ფასადებზე — ისე, როგორც დიდი ხნის წინათ იყო, XI საუკუნის ნახევრამდე — კვლავ მომრავლდა რელიეფური ფიგურები — ადამიანთა და ცხოველთა გამოსახულებები, ყველა სიმბოლურ-სარწმუნოებრივი შინაარსისაა.

სამხრეთის ფასადის შუა სარკმლების გარშემო დახვავებული რელიეფები — ვაზის ხე, ირმები და სხვა ცხოველები მის გვერდით, მტრედები, ჯვრით დათრგუნვილი გველეშაპები, ჯაჭვით დაბმული ლომები — მოწმობს, რომ აქ მარტო ქრისტიანული სიმბოლიკა კი არ არის, არამედ უფრო ადრინდელი თემებიც, რომელთა ძირები ძველი აღმოსავლეთის წინაქრისტიანულ რწმენასა და გადმოცემებშია. **ამ თემებმა, რომლებსაც საუკუნეთა მანძილზე ქართული ხალხური ხელოვნება ინახავდა, ახლა მონუმენტურ ხელოვნებაში შეაღწია და ხალხური შემოქმედების, ფოლკლორის ბეჭედი დაასვა მას არა მარტო შინაარსის მხირვ, არამედ — შესრულების თავისებურებითაც.**

ეს ამ გვიანი ხანის ხელოვნების ერთი საინტერესო ფაქტორთაგანია.

რა თქმა უნდა, ანანურისა და სხვა იმდროინდელი ტაძრების მრავალრიცხოვანი რელიეფები არ არის შეკრული ერთ მთლიან საღვთისმეტყველო პროგრამად, როგორც ეს XI საუკუნის ნიკორწმინდაშია. უფრო მეტიც – შესაძლებელია, ცალკეულ სიმბოლოთა აზრი ოსტატებსა და მორწმუნეთ აღარც კი ესმოდათ, მაგრამ საკმარისი იყო იმის რწმენა, რომ მათ, ტრადიციის თანახმად, რაღაც სარწმუნოებრივ-ჯადოსნური მნიშვნელობა და ძალა ჰქონდა.

ქეთი ჭელიძე

თედო სახოკია

მოგზაურობა აჭარაში

მეთექვსმეტე საუკუნეში სამხრეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი, ტაო-კლარჯეთი და მესხეთ-ჯავახეთი, ასევე აჭარაც, ოსმალებმა დაიპყრეს და „გურჯისტანის ვილაიეთი“ უწოდეს. „გურჯისტანის ვილაიეთი“ 8 ადმინისტრაციულ ერთეულად იყოფოდა. ესენი იყო: ახალციხის, ხერთვისის, ახალქალაქის, ჩილდირის, ფოცხოვის, პეტრეს, ფანაკისა და დიდი არტაანის ლივები. თავის მხრივ, ლივები ნაჰიებად (რაიონებად) იყო დანაწილებული, დასახლებული პუნქტები 1160-ს შეადგენდა.

ამ ტერიტორიების დაბრუნება მხოლოდ რუსეთის იმპერიის დახმარების შედეგად გახდა შესაძლებელი: პირველად — 1828 წელს, რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა და საქართველოს დაუბრუნდა ძველი მესხეთისა და ჯავახეთის ნაწილები: ქობლიანი, ოძრხე (აბასთუმანი), ახალციხე, აწყვერი, ასპინძა, ხერთვისი, ახალქალაქი, ჭაჭარაქი, ფოცხოვი და აბოცი (ჩილდირი); ანუ ძველი სამცხე, ჯავახეთი, პალაკაციო და ერუშეთი.

1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ პარიზის ზავით შემოერთებულ იქნა მესხეთის მეორე ნაწილი: აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილო ნაწილი — ოლთისი.

რუსეთის დროს შემოერთებული ტერიტორია შემდეგი მოცულობისა იყო:

ახალციხის მაზრა — 2706 კვადრატული კილომეტრი;
ახალქალაქის მაზრა — 2793;
ბათუმის ოლქი — 3779;
ართვინის ოლქი — 3339;
ფოცხოვის ოლქი — 588;
არტაანის ოლქი — 5137;
ოლთისის ოლქი — 3051.

სულ მესხეთის ტერიტორია გადაჭიმული იყო 21 393 კვადრატულ კილომეტრზე, ანუ მთელი საქართველოს ტერიტორიის მესამედზე მეტს შეადგენდა. ძველი მესხეთის ნაწილებიდან ოსმალეთის საზღვრებში დარჩა ჭანეთი, ანუ ლაზისტანი და ზემო ჭოროხზე მდებარე ნაწილი.

ეს ისტორიული ექსკურსი პირველ რიგში მათთვის არის განკუთვნილი, ვინც რუსეთს საქართველოს ისტორიულ მტრად თვლის, თურქეთს კი — მეგობრად.

როდესაც ვახსენებთ ტოპონიმებს — ბათუმი, ქობულეთი, ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძა, აწყური... იქვე უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთის გარეშე ეს ყველაფერი დღეს თურქეთის ნაწილი იქნებოდა, ხოლო დანარჩენი საქართველო რამდენ ნაწილად განაგრძობდა არსებობას და იარსებებდა თუ არა საერთოდ, ცალკე საკითხავია.

მგზავრის წერილები და მგზავრის შენიშვნები, რომელიც თავმოყრილია წიგნში „მოგზაურობანი“, თედო სახოკიამ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დაწერა. იმ ხანებში ავტორმა იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთების რედაქციების დავალებით იმოგზაურა გურიაში, აჭარაში, სამურზაყანოსა და აფხაზეთში, შემდეგ კი მოგზაურობის შთაბეჭდილებები სხვადასხვა დროს გამოაქვეყნა პერიოდულ პრესაში. ამჯერად შემოგთავაზებთ თედო სახოკიას აჭარაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს.

აწინდელი ახალციხის მაზრის დასავლეთით და გურიის, ანუ ოზურგეთის მაზრის, სამხრეთით, აჭარის-წყლის ხეობაში მდებარეობს ღრანტოვანი და ხევიან-კლდიანი კუთხე საქართველოსი — აჭარა. მუნ სახლობს ბუნების ყოველგვარ სისასტიკესთან მებრძოლი, მრავალჭირნახული, სიამეს დანატრებული ხალხი ქართველთატომისა. იმის წყალობით, რომ ეს ხალხი თურქეთის საზღვარზე ცხოვრობდა, ხან გულიდან მოგვწყდებოდა და, თურქთა ხელში ჩავარდნილი, მათი მტარვალობის მსხვერპლი ხდებოდა. საქართველო ღონეს მოიკრეფდა, წელში გასწორდებოდა, მტერთა მიერ მოსვრულ ოჯახს აღადგენდა, მტერს ლომივით შეებმოდა, წარსულის ჯავრს იყრიდა — და ეს მხარეც, სხვასთან ერთად, საქართველოს უბრუნდებოდა, მის ფრთებს ქვეშ შეაფარებდა თავსა. აჭარა ვერ მოასწრებდა სულის მოთქმას, ეკონომიურად წელში გასწორებას, რომ ისევ მტერი ჩაიგდებდა ხელში, ისევ განახლდებოდა, — ახლა კი გაორკეცებული სიმძაფრით, — რბევა და დაწიოკება სოფლებისა, მკვიდრთა ავლა-დიდებისა, მუსრვა შვილთა და ქალთა, შეგინება და შელახვა რწმენისა. ჭეშმარიტად გასაოცარია, როგორ არ აღიგავნენ დედამიწის პირისაგან აჭარა და მისნი მკვიდრნი, როგორ-ღა დარჩა ხსენება მათი!..

უკანასკნელად ორ საუკუნეზე მეტი იყო ეს მხარე თურქთა ბატონობისა და მბრძანებლობის ქვეშ; აჭარა ორი საუკუნე მეტი კვნესოდა მათი მონობის მძიმე უღლით დატანჯული. ხოლო რაც თურქთ უკანასკნელად დაიპყრეს როგორც აჭარა, ისე სხვა მისი მოსაზღვრე ადგილნი (ართვინი, შავშეთი, იმერხევი და სხვ.), თვითონ

აჭარა უძლური იყო მტრისათვის წინააღმდეგობა გაეწია და ძალით ეხსნა თავი; თვით ცენტრი საქართველოსი უკეთეს მდგომარეობაში არა ყოფილა, წარსული ძლევამოსილობა არ დაჰბრუნებია, რომ მოწყვეტილ თანამოძმეთ მიჰშველებოდა. **აჭარლების ასეთმა მდგომარეობამ მიაღწია რუსეთ-თურქეთის 1877 წ. ომამდე, როცა თურქეთი დამარცხდა და ამ ოცი წლის წინათ რუსეთმა, ბერლინის ტრაქტატის ძალით, ბათომისა და ართვინის ოლქები ოსმალეთს ჩამოაცალა, და, მათ შორის, ეს მხარეც, რომელზედაც ჩვენა გვაქვს ლაპარაკი, საქართველოს შემოუერთდა.**

რას მოგვითხრობენ ჩვენი მემატიანენი აჭარის შესახებ?

ძლიერ ცოტას. ასეთი დავიწყება ამ მხარისა სხვა ვერაფრით აიხსნება, თუ არა მისი გეოგრაფიულად მოწყვეტილი მდგომარეობით. მაგრამ სანამ თვით ამ მხარეში შევდგამდეთ ფეხსა, საჭიროდ მიგვაჩნია ის მწირი ცნობები მაინც აჭარის შესახებ, რაიცა ჩვენს ისტორიაში მოგვეძევა, წინ წავიმძღვაროთ, რომ მომეტებული სიადვილით გავითვალისწინოთ მიზეზი აჭარის აწინდელი მდგომარეობისა.

ძველად ზემო-ქართლად იწოდებოდა ნაწილი საქართველოსი, მტკვრის სათავისაკენ მდებარე, ანუ ძველივე სამცხე-საათაბაგო (აწინდელი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები და თვით აჭარა), განთქმული დიდებულებითა, მქადაგებლებითა, მწიგნობრებითა. ამ სამცხე-საათაბაგოს ნაწილს შეადგენდა აწინდელი აჭარაცა, რომელიც სამცხე-საათაბაგოსთან იყოფდა ჭირსა და ლხინსა, ებრძოდა საზოგადო მტერსა, მასთან ერთად იცავდა სარწმუნოებასა და თავის ეროვნულს დამოუკიდებლობასა. როდესაც საქართველოს პირველმა მეფემ ფარნავაზმა (301-237 წ. ქრისტეს წინათ) ალექსანდრე მაკედონელის მთავარსარდალს აზონს საქართველოს უკანასკნელი ნაწილი კლარჯეთიც წაართვა და საქართველოში სრულიად გამეფდა, ცხრა საერისთაოდ დაჰყო და ყველგან ერისთავები დასვა. „მეექვსე (ერისთავი) დასვა წუნდსა და მისცა მტკვრის აღმოსავლეთი ფარავნამდე და თავამდე მტკვრისა“. ამ მეექვსე საერისთაოს ნაწილს შეადგენდა აწინდელი აჭარაცა.

აჭარა, მათის მოწმობით, იყო ერთი იმ ოთხ საპრეფექტოთაგანი (ბერიაზახი, კარნატი, კუელი და თვით აჭარა), რომელნიც შეადგენდნენ იბერიის მეფის სამფლობელოსა. აჭარა მდებარეობდა, მათი თქმით, ამავე სახელწოდების მდინარესთან (აჭარის-წყალი), რომის იმპერიის საზღვრებზე. ბიზანტიელი მწერალნი ამის მეტს არას მოგვითხრობენ ამ მხარის შესახებ. გასაკვირველიც არ არის. თვით მდებარეობა (მთაგორიანი) ისეთი მიუვალი აქვს აჭარასა, რომ არც კარგ სავაჭრო გზად იყო გამოსადეგი და არც სხვა მხრივ წარმოადგენდა საბარბიელო რასმე. ასე რომ, მომეტებულ შემთხვევაში, აჭარა უყურადღებოდ და განზე რჩებოდა.

არც ქართველი მემატიანენი აღნიშნავენ ამ მხარეს საკუთრივ. მოიხსენებენ მხოლოდ: ამათა და ამათ დაიპყრესო, და ეგ არის და ეგ! XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, ზემო-ქართლში ჯაყელთა გვარის გაძლიერების შემდეგ, აჭარა, ზემო-ქართლი და ლაზისტანი ჯაყელების (შემდეგში „ათაბეგებად“ წოდებულების) ხელში იყო. 1465 წ. ბრძოლა იმართება ყვარყვარე ათაბეგსა და მეფე გიორგის შორის; ყვარყვარე შველასა და დახმარებასა სთხოვს კახაბერ გურიელს და მაგიერში საჩუქრად აძლევს აჭარასა და ჭანეთს (ლაზისტანს). „ამისთვისაც მიცა ყვარყვარემ აჭარა და რომელნიმე ჭანეთის (ადგილნი) გურიელ კახაბერს, რათა მწე ექნას ერისთავთა ზედა სამცხისა და კლარჯეთისათა. ხოლო გურიელმა კახაბერ სიხარულით მიიღო ქვეყანანი (აჭარა და ჭანეთი) და...“ მაგრამ თურქნი ორივეს ართმევს გურიას. შემდეგ აჭარა-ჭანეთი ისევ როსტომ გურიელის (გარდ. 1564 წ.) ხელში გადადის. იმისსავე დროს თურქები აშენებენ ბათუმის და გონიოს ციხეებს. მერე, 1609 წელს, გურიელი მამია II თავისის სპითა გადადის აჭარაში, ამოსრავს შიგ ჩაყენებულ თურქთა ჯარსა და ამ მხარეს იბრუნებს. მაგრამ დიდი ხნით არა. აჭარა ისევ თურქების ხელში გადადის.

სოფელი ხულო და აჭარის წარსული

თამარის ხიდიდან სოფ. ხულომდე ერთი საათის სავალი გზაა. ორ კლდეს შუა საშინელი გრგვინვით მიმავალი აჭარისწყალი, დედა მდინარე აჭარისა, ერთბაშად განზე გრჩებათ და გამოდიხართ ასე 8 დღიურის სიფართე ვაკეზე ზღვის პირიდან 1,131 მეტრის სიმაღლეზე. ამ ვაკეზე, მის ჩრდილოეთით გაშენებულია სოფ. ხულო — უწინდელი რეზიდენცია ახალციხის ფაშებისა: სელიმის და ახმეტისა და აგრეთვე ზემოაჭარის უკანასკნელი მმართველისა და პატრონის შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილისა.

ვაკეზე პირველად თვალში გხვდებათ ორ-სართულიანი სახლი, სადაც მოთავსებულია ხულოს ნაწილის კანცელარია; მის გვერდით ხისავე ორ-სართულიანი სახლია, აჭარულის არქიტექტურისა, სადაცა დგანან აჭარელი ჩაუშები ანუ ჩაფრები. კანცელარიის იქით-აქეთ ცოტა მოშორებით ორი სახლი დგას ქვითკირისა, ოთხ-ხუთ თვალიანი თითოეული. ორივე სახლი ეკუთვნის შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის შვილებს, ერთი — თემურ-ბეგს და მეორე — ასლან-ბეგს. სამმართველოს წინ, გზის პირას, კოშკისა და აბანოს ნანგრევებია. აქ ყოფილა სასახლე თვით შერიფ-ბეგისა. ნაკოშკართან გაშენებულია ბაღი, აწ თავმინებებული და ცხენთა საძოვრად მიშვებული. თვით ხუროელები სამმართველოდან ნახევარი კილომეტრის მანძილზე ცხოვრობენ.

ხულო ისტორიული სოფელია და ბევრ რისამე მოწმეა აჭარელთა ცხოვრებაში. იმად ღირს, რომ

აქ ცოტა მეტ ხანს შევჩერდეთ და გავაცნოთ მკითხველს ხულო, მისი დღევანდელი მდგომარეობა, როლი ხიმშიაშვილის გვარისა აჭარის ცხოვრებაში, ხულოსა და ხულოსთან ერთად აჭარის წარსულიც.

ხულოში, რომელიც ყველაზე დიდ სოფლად ითვლება ზემოაჭარაში, მცხოვრებნი ორმოც კომლამდე არიან. სახლები ყველას, როგორც საზოგადოდ აჭარაში, ორ-სართულიანები აქვთ, ხისა; ზოგან ქვითკირის სახლიც შეხვდება კაცს. ზედა სართულში თვითონა ცხოვრობენ, ხოლო ქვედაში საქონელი უბიათ. შუაგულ სოფელში აშენებულია ხის ჯამე. საძირკვლად დატანებული აქვს ის ქვის მასალა, რომელიც დარჩენილა ოსმალთა მიერ ეკლესიის დანგრევის შემდეგ. ეს ეკლესია ამ სამოცი წლის წინათ მდგარა და მაჰმადიანთ პირველად პირდაპირ ჯამედ უქცევიათ. ლოცვად რომ მდგარან, ხოჯასი და მლოცველ ხალხის ხმა, გუმბათის რეზონანსის მიზეზით, ერთმანეთში არეულა. ამ უხერხულობის ასაცილებლად ქვის გუმბათი ჩამოუშლიათ და ხისა გაუკეთებიათ. მერე სულაც დაუქცევიათ ქვითკირის ეკლესია და იმის ალაგას აუგიათ ხის ჯამე, რომელიც დღესაც დგას. საძირკველს ერთგან ჩატანებული აქვს ძველი ეკლესიის ჩუქურთმიანი ქვა. ჯამეს წინ აუზია, მშვენიერი წყაროს წყლისა, სადაც გამაჰმადიანებული ქართველნი ნამაზსა შვრებიან. აუზს იქით, ჩრდილოეთით, ნასახლარია შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილისა. ხოლო ჯამეს დასავლით ქვის გალავანშემოვლებული სასაფლაო შერიფ-ბეგის ნაბესავთა. ყველა საფლავს ძეგლი ადგას მარმარილოსი: ფართო ფიცარი მაღლა აყუდებული და თავზე ოსმალური ფესის ქანდაკება. აქ არიან დასაფლავებულნი: ცოლშვილნი მურთაზ-ბეგისა (შერიფ-ბეგის შვილისა), არსლან-ბეგი, სებასტოპოლის ომში მოკლული ძმა შერიფ-ბეგისა — აჰმედ-ფაშა, იბრაჰიმ-ბეგი და სხვ. უმეტესობა საფლავებისა შამბით არის დაფარული. ჯამეს ცოტა მოშორებით ათიოდ დუქანია ხისა, პატარები, საწვრილმანოები, საყასბო, სამჭედური. ვაჭრები ბერძნები და სომხებია.

ეს ზოგადი სურათია ხულოსი. ახლა მივმართოთ ხულოს და, საზოგადოდ, აჭარის წარსულ ცხოვრებას.

XVII საუკუნის ნახევრამდე აჭარა ხან გურიელების ხელში იყო და ხან ოსმალეთში შედიოდა. ამ ხნიდან კი ეს უკანასკნელი საბოლოოდ დაეპატრონა და თან ქრისტიანობაც XVII საუკუნის ბოლოდან ისპობა თანდათან. მაგრამ ოსმალეთის გავლენა ფაქტიურად უფრო XIX საუკუნეში დაეტყო საქართველოს ამ ნაწილს. აქ თურქეთის ბატონობის მკვიდრად ფეხის მოკიდებას ხელს უწყობდნენ მაღალი წოდების პირნი, ბეგები, რომლებიც სხვადასხვა ჯილდოებითა და დაპირებებით, პირადი სარგებლობით გატაცებულნი, ადვილად ელეოდნენ თავისი ხალხის თავისუფლებას, დამოუკიდებლობას და მამა-პაპათა სარწმუნოებასაც.

აჭარაში, და განსაკუთრებით მის ზემო ნაწილში, გავლენიანი იყო და მთელი მხარის ბატონად და პატრონად იმავ თავითვე ითვლებოდა ხიმშიაშვილის გვარი. ეს

გვარი, როგორც ზეპირგადმოცემა მოგვითხრობს, მონათესავეა არაგვისპირის (დუშეთის მაზრა) ხიმშიაშვილებისა. მათს წინაპარს XVII საუკუნეში კაცი შემოჰკვდომია არაგვის ხეობაში, მეფის რისხვას გაქცევია და აჭარაში შეხიზნულა. აქ, როგორც კარგ ვაჟკაცს, თავი გამოუჩენია და მალე მთელი მხარის ბატონობაც ხელთ ჩაუგდია. იგივე ზეპირგადმოცემა მოგვითხრობს, რომ აწინდელი ხიმშიაშვილების წინაპარი აბდულა-ბეგი უბრალო, მშვიდობის მოყვარე მწყემსი ყოფილა და ქვეყნის უფროსობა ფიქრადაც არ გაუვლია, როცა მწყემსის ჩომბახი ეჭირა ხელში და საქონელს უვლიდა. მაგრამ ბუნებრივმა ჭკუამ და სიმდიდრემ ხალხში გავლენა მოუპოვა, თავისთავს „ბეგი“ უწოდა და სხვამაც არ გაუტეხა ხათრიო. ამ აბდულას, ერთ დროს მწყემსად ყოფილს, ჩვენ უკვე ვხედავთ აჭარელთაგან შედგენილ მეომართა რაზმის უფროსად, ძლევამოსილების მაძიებელს, გურიის სოფელ აკეთში თავად მამუკა თავდგირიძესთან მებრძოლს. მაგრამ ბრძოლის ველიდან ცოცხალი არ გასულა, ეს იყო 1782 წელს. აბდულა პირველი ხიმშიაშვილი იყო, რომელსაც ისტორიაც იცნობს, და რომელმაც საძირკველი ჩაუყარა ზემო-აჭარაში ხიმშიაშვილთა გვარეულობას.

აბდულა ბეგს დარჩა შვილი სელიმი. ისიც მამის კვალს ადგა და ბოლოს იმდენი მოახერხა, რომ ფაშობაც-კი იშოვნა და სელიმ-ფაშად იწოდებოდა. ეს ის სელიმ-ფაშა იყო, რომელსაც ახალციხეში გაქცეული და უტახტოდ დარჩენილი სოლომონ, მეფე იმერეთისა, რუსების წინააღმდეგ 1814 წელს შველასა და დახმარებას თხოვდა.

წარსული საუკუნის უკანასკნელ წლებში აჭარა ახალციხის ფაშას, ათაბაგ შერიფ-ფაშას ექვემდებარებოდა. გარემოება მეტად აწეწილ-დაწეწილი იყო. ამით ისარგებლა სელიმ-ბეგმა, ფეხი კარგად მოიმაგრა აჭარაში, ბატონი გახდა აქაურ მკვიდრთა და ახალციხის ფაშას პირდაპირ, კადნიერად გამოუცხადა, არ მინდა გემორჩილო და ბატონად გაღიაროვო. მარტო ეს როდი იკმარა სელიმ-ბეგმა. შეჰკრიბა აჭარელნი და მათი შემწეობით 1803 წელს შერიფ ფაშა ახალციხიდან განდევნა, ხოლო ფაშობა თითონ ჩაიგდო ხელთ.

სელიმ-ფაშას დროს, როგორც აჭარა, ისე ახალციხის საფაშალიყო ლეკების ბუნაგად იყო ქცეული. ეს მტაცებელი ხალხი თავისუფლად დათარეშობდა ყველგან. სელიმ-ფაშას ეს მთიელები ქართლის დასარბევადა ჰყავდა დაქირავებული. ცოტ-ცოტათი ძლიერების ფრთები გაშალა, ქედმაღლურად დაიჭირა თავი და სულთანს თითქმის არც კი ემორჩილებოდა. სულთანს, რა თქმა უნდა, არაფრად ეჭაშნიკებოდა თავისი ქვეშევრდომის ურჩობა და განურისხდა. სელიმი იძულებული იქნა ახალციხიდან ლტოლვილიყო. სელიმს სიკვდილიც მიუსაჯეს. შერიფ-ფაშა ისევ დაბრუნდა ახალციხეში და თავის მეტოქეს ძებნა დაუწყო. სელიმ ფაშა ამასობაში აჭარაში იმალავდა თავსა თავისი სახლობით, რადგან მასთან ერთად მის სახლობასაც ჰქონდა სიკვდილი მისჯილი.

1815 წელს სულთანის ბრძანებით არზრუმის სერასქირმა, ბაბა-ფაშამ (ფეხლევანმა) აჭარაში ისევ გამოგზავნა დიდი ჯარი. სელიმ-ფაშა ზემო აჭარის სოფელ ბაკოსთან ხირხათის ციხეში გამაგრდა და იქ იყო, სანამ მოღალატემ ხელში არ ჩაიგდო. სელიმ-ფაშის მოკვლის ამბავს დაწვრილებით ვიტყვით, როცა ხირხათის ციხის აწერის შემთხვევა გვექნება.

სელიმის დასჯის შემდეგ მისი ოჯახობა ახალციხეში გადაიყვანეს, გარდა მისი ორი შვილისა — აჰმედ-ბეგისა და აბდი-ბეგისა. აბდი-ბეგმა ცოლად შეირთო გურიელი მამია V-ის დაი — ესმა. ორივე ძმა გურიაში გაიქცნენ მამია გურიელთან.

1828 წელს რუს-ოსმალოს ომი ატყდა. სელიმის უფროსი შვილი აჰმედ-ბეგი უკვე დავაჟკაცებული იყო. თანაც დიდი გავლდენა ჰქონდა მოპოვებული ფოცხოვიდან მოკიდებული შავი ზღვის პირამდე. სიმდიდრე და მამული დიდი ჰქონდა, — ზოგი მამისაგან დარჩა, ზოგიც თვითონ იყიდა. ხულოში სწორედ იმ ადგილას, სადაც ქრისტიანობის დროის ეკლესიის ნანგრევებია, სასახლე აიშენა და დასახლდა. რუსებისათვის ახმედ-ბეგისთანა გავლენიანი კაცის დაახლოვება და მეგობრობა დიახ სასურველი და საჭიროც იყო. ამიტომ, ახალციხეში დაბანაკებულ რუსის ჯარის უფროსმა, თავადმა ბებუთოვმა, 1828 წელს, ახმედ ბეგთან მოლაპარაკება გამართა. **1829 წელს ახალციხის გარშემორტყმისათვის ახმედ-ბეგს ფაშობა ებოძა და თანახმა გახდა რუსეთის ქვეშევრდომობა მიეღო. იმპერატორმა ნიკოლოზმა გენერალ-მაიორობა და სტანისლავის ლენტი უბოძა, რომლის მისაღებად ახალციხეში იქნა მოწვეული. მაგრამ მალე გარემოება გამოიცვალა: თავადი ბებუთოვი გამოსცვალეს. ხოლო ახმედ-ფაშამ, რომელიც პირადად იცნობდა ბებუთოვს და ენდობოდა, ვერ გაჰბედა ერთბაშად მინდობოდა, ახალციხის ჯარის ახალ უფროსს, გენერალ ბარონ ოსტენ საკენს. ამიტომ, თუმცა პირობა მისცეს ახმედ-ფაშას, არას დაგიშავებთო, მაგრამ მაინც არ წავიდა ახალციხეში, სადაც ოსტენ საკენმა იხმო.**

ბარონი ოსტენ-საკენი მოლაპარაკებას აღარ შეუდგა და პირდაპირ აჭარაში წავიდა თავისი ჯარით. ამ გალაშქრების დროს, ესე იგი 1829 წ., მარიამობისთვეში ჟამი მძვინვარებდა აჭარაში და მცხოვრებნი ტყეებში იყვნენ დახიზნულნი. თვითონ ახმედ-ფაშა ქვემო აჭარაში იმყოფებოდა. რუსის ჯარი სოფ. რიყეთში რომ მისულა, ღორჯომში გაუგიათ. ხულოში მამასახლისები შეკრებილან და რუსეთის გენერლის მოციქულს დახვედრიან. მოციქულს უთქვამს: რუსები ბათუმში მიდიან, აჭარლებს არას ერჩიან, მაგრამ რა სოფელშიაც თოფი დაიცლება, იმ სოფელს აანაცარმტუტებენო. გენერალს მოუთხოვია, რომ თვითონ ახმედ-ფაშა მიგებე-

ბოდა. მამასახლისებს სამი დღე ვადა უთხოვიათ. მაგრამ ამ დროს თვითონ ოსტენ-საკენი მისულა ხულოში და, რადგან ახმედ-ფაშა ვადაზე არ გამოცხადებულა, ბრძანება გაუცია მისი სახლი გადაეწვათ.

ამასობაში ახმედ-ფაშას თავი მოუყრია 300-400 აჭარელისათვის და გადაუწყვეტია — რუსები ბათუმისაკენ არ გაეშვა. რუსის ჯარი ხულოში ორ ღამეს დარჩენილა და მერე ღორჯომისაკენ დაბრუნებულა. ოსტენ-საკენის რაზმი, არტილერიით და კავალერიით, ორი ათასი კაცისაგან შესდგებოდა. თან მიჰქონდა აუარებელი ურმები, ბევრი დაჭრილი და ავადმყოფი ჰყვანდა და მეტის-მეტი სიმძიმით მიდიოდა. მთელი დღე მოანდომა ხულოსა და ღორჯომს შუა გზის გავლას. აქ ჯამესთან, მოედანზე კარავი დასცა და მეორე დღეს სომლიის მთის აღმართს შეუდგა. ახმედ-ფაშა უკან ფეხ-და-ფეხ მისდევდა და თავისი კაცები წინ და წინ გაგზავნა გზის შესაკვრელად. აჭარლები მთებზე გადმომდგარნი, ზევიდან ქვებს აგორებდნენ და ჯარს საქმეს უბრკოლებდნენ. 22 მარიამობისთვის საღამოზე რუსის ჯარი საქულაფერდის ქედს მოექცა. ღამე იქ გაათია. მეორე დღეს გურიის საზღვრისაკენ გაემართა, იქიდან ქვაბლიან-ჩაის დაჰყვა ახალციხისაკენ.

ეს უკანასკნელი ეპიზოდი იყო 1829 წლის ომისა. მალე ზავი ჩამოაგდეს. ახმედ-ფაშას ყარსის გუბერნატორობა მისცეს და ერზერუმის სერასქირად მოკვდა.

1829 წლის ომის შემდეგ, იმის წყალობით, რომ ახმედ-ფაშას, ოსმალეთის მთავრობის წინაშე, დიდი სამსახური მიუძღოდა, ხიმშიაშვილის გვარმა ხელში ჩაიგდო თითქმის მთელი ოსმალეთის საქართველო. თითოეულმა ძმამ თითო ნაწილი მიიჩინა თავისთვის. ამ დროს ესენი ოსმალეთის სულთანს მარტოოდენ სიტყვით ექვემდებარებოდნენ. ერთად ერთი ბეგარა — ჯარის-კაცობა იყო. ესეც ახმედ-ფაშამ შემოიღო, რომ ამით ეამებინა სულთანისათვის და თავისი ერთგულება დაემტკიცებია. მაგრამ ამ ბეგარასაც პირველ ხანში წესიერად არ იხდიდნენ, — სამიოდ-ოთხიოდ კაცს და ისიც უსახლკაროს ვისმე თუ გაიყვანდნენ სულთანის ჯარში.

სელიმ ხიმშიაშვილი

ახმედ-ფაშის სიკვდილს შემდეგ, მათს ძმებში, ყველაზე გავლენიანი ქერ-ხუსეინ-ბეგი იყო. ახმედ-ფაშის შვილის შერიფ-ბეგის მცირეწლოვანობის გამო მთელ აჭარას ქერ-ხუსეინ-ბეგი მართავდა და ოსმალეთის მთავრობას ხელს უშლიდა აქ ოსმალური წყობილების შემოღების საქმეში. ქერ-ხუსეინ-ბეგის მოსახეშავად ოსმალეთიდან ჭყონია-ფაშა, კაცი მეტად სასტიკი, გამოგზავნეს. ჭყონია-ფაშა ქვედა-აჭარაში, სოფ. ქედას, დაბინავდა და იქედან შიშის ზარსა სცემდა გარემო მცხოვრებთ. მაგრამ ქერ-ხუსეინ-ბეგი მიუხტა და ქედიდან განდევნა. მაშინ ჭყონია-ფაშას მაგივრად სხვა, იმაზე უღონიერესი და უსასტიკესი კაცი, ქეი-ოღლი, გამოგზავნეს ტრაპიზონიდან. ოთხი ათასი კაცით მოვიდა აჭარაში და მთელ ქვეყანას წვა და სრვა დაუწყო. ამავე დროს ქერ-ხუსეინ-ბეგის წინააღმდეგ ყარსის ფაშის ჯარმაც გამოილაშქრა. ხუსეინ-ბეგი შეიპყრეს და ყარსში გაგზავნეს. მაგრამ მტერს ხელიდან გაუსხლტა. მეორეჯერ ისევ დაიჭირეს და სტამბოლში გაგზავნეს, სადაც მეორმოცე წლების გასულში მოკვდა კიდეც.

ქეი-ოღლის სისასტიკეს საზღვარი არა ჰქონდა და თავისი სახელი მარად-სახსოვარი გახადა. იმან შემოიღო ცოტ-ცოტად აჭარაში თურქული მართვა-გამგეობა და ნიადაგი მოამზადა საკომლო და მიწის გადასახადისათვის.

როცა ახმედ-ფაშისა და ქეი-ოღლის წყალობით თურქეთის მთავრობამ ხალხს თავისუფლება ნელ-ნელა გამოაცალა ხელიდან, მერე განიზრახა ბეგებისთვისაც წაერთმია იგივე დამოუკიდებლობა. მეორმოცე წლების გასულსა და მეორმოცდაათე წლების დასაწყისში წარმომადგენელნი ბეგების გვარეულობისა სტამბოლში იხმეს. მთავრობამ გამოუცხადა: თქვენი ფირმანები უნდა გადავშინჯოთ და ახლები მოგცეთ, ახალი წესების თანახმად შედგენილებიო. ბეგებს ეგონათ, ეს არის, გავკეთდით, მთავრობა წყალობით აგვავსებსო, და რაც რამ საბუფთები ჰქონდათ ქართველ მეფეთაგან, ან თურქეთისაგან ბოძებულნი, სულ სტამბოლში წარადგინეს. მთავრობამ რაკი ყველა საბუთი ხელში ჩაიგდო, თამამად გამოუცხადა ყველას: **„სახელმწიფოს ყველა ქვეშევრდომი განურჩევლად წოდებისა და სარწმუნოებისა, ვალდებულნი არიან, ხარკი**

იხადონ საერთო წესითა“.

ამ სიტყვების გამოცხადებასთან ერთად ბოლო მოეღო აჭარის მკვიდრთა თავისუფლებასაც.

ამ დღიდან მოკიდებული, თურქეთი ან იგივე ოსმალეთი, ე.წ. „პორტა ოტომანისა“, მტკიცედ და თამამად იწყებს აჭარაში ფეხის მოკიდებას, ხალხს ბეგარა (ათის თავი ყოველგვარ მოსავალზე) გააწერა, მთელი მხარე ოსმალეთის საერთო კანონებს დაუქვემდებარა, სამხედრო სამსახურიც შეაპარა. ათასგვარი მოხელეები მთავრობისა ხალხს მიესია და მის ავლა-დიდებას წურბელასავით წუწნა დაუწყო, რასაც სახელმწიფო ოფიციალური კანონი აკლებდა, იმას ეს მოხელენი უსრულებდნენ.

სანუგეშო არც ბეგების მდგომარეობა იყო. ჩამოერთვათ ძველებური უპირატესობანი. ნებიერად ცხოვრებას ჩვეულნი — ახალ რეჟიმს ვერ შეურიგდებოდნენ. ბეგებმა რუსეთისაკენ დაიწყეს ცქერა. ამბობდნენ, რუსების ხელში თავადაზნაურობა დიდ პატივშია და, თუ რუსეთმა ეს მხარე დაიპყრო, ჩვენი უფლებანი ისევ დაგვიბრუნდებაო. **უკანასკნელი ბატონი ზემო-აჭარისა, ახმედ-ფაშას შვილი შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი, განსაკუთრებით ხელს უწყობდა რუსეთს აჭარის დაჭერის საქმეში.**

შერიფ ხიმშიაშვილი სამხედრო პირებთან ერთად

თამარ მეფის ხსოვნა

ჩვენ დიდებული მეფე თამარის ხსოვნა საზოგადოდ ჩვენი ქვეყნის განაპირა ადგილებშია ხშირად დარჩენილი. განსაკუთრებით ბევრი ამბავი დაცულია ამ მეფის ცხოვრების შესახებ აჭარაში. თამარი აქაური ქართველების მეხსიერებაში აღბეჭდილია, როგორც ღვთის მოშიში, გულმოდგინე მზრუნავი ეკლესიათა გამრავლებისათვის, განაპირა ადგილების მფარველი და გამმაგრებელი, მტრისთვის რისხვის დაცემი, ქვრივ-ობოლთა გამკითხავი, მიუკერძველი მოსამართლე და, ყოველივე ამის დასასრულ — წმინდანი და უბიწო, როგორც დავინახავთ იმ ლეგენდიდან, რომელიც ერთ-ერთ წერილში გვექნება ჩართული.

რაც, საზოგადოდ, აჭარის შესახებ ითქმის, განსაკუთრებით ითქმის ამ მხარის სოფლის ფურტიოს შესახებ. ამ სოფელში (ფურტიოზე დევს სხალთის ტაძარში მიმავალი გზა, სადაც, როგორც აქაურები მოგვითხრობენ, თამარ მეფეს სალოცავად სიარული უყვარდაო) დაწვრილებით აგვიწერენ: გზას, რომლითაც სულმნათი ჯორით დადიოდა; გვიჩვენებენ ადგილს, სადაც ღამე უთევია, წყაროს, სადაც წყურვილი მოუკლავს, ქვას, რომელზედაც ფეხი შეუდგამს, მოგვითხრობენ, ვის რა სიტყვებით მიჰმართა და სხვა. ერთი სიტყვით, ყოველივე წვლილი თამარის ცხოვრებისა წარუშლელად აღბეჭდილა აქაურების ხსოვნაში, რაიცა მთის მხარის განსაკუთრებულ გეოგრაფიულ მდებარეობითაც აიხსნება, და ისეთი ზედმიწევნილობითაც მოგვითხრობენ, თითქო გუშინდელი, საკუთარი თვალით ნანახი და ყურით გაგონილი ამბავი იყოს და არა რვა საუკუნის წინანდელიო! ჩვენ წმინდა მოვალეობად ჩავთვალეთ, ყოველივე განაგონი სისრულით ჩაგვეწერა და მკითხველისათვის გვეგრძნობინებინა ის სიამოვნება, რაც ჩვენ ვიგრძენით ამ კუთხეში. მით უფრო, რომ ვინ იცის, რამდე-

ნი კოკა წყალი ჩაივლის აჭარისწყალში, სანამ ბევრი ჩვენთაგანი თავის თვალით ნახავდეს აქაურობას და თავისი ყურით მოისმენდეს აქაურების პირიდან ჩვენი სულმნათი მეფის ქებათა-ქებას.

ხულოდან გასვლა და ჩემი ჩიჩერონე იუნუსა ბერიძე

მზე სამ-ოთხ მხარზე ამოიწვერა, ხულოს პირდაპირ პირქუშად წამოზიდულმა მთამ არგინეთისამ ნისლის მსუბუქი სამოსელი სრულებით შემოიყოლა და ამაყად გადმოხედა ჭულს და ქვეშ გრგვინვით მიმავალ აჭარისწყალს. ჰაერი გათბა და მეც ფურტიოსაკენ პირი ვიბრუნე. ჩემთან ერთად მოდიოდა გზის მაჩვენებლად ფურტიოს მცხოვრები იუნუსა ბერიძე, ხულოში ჩაფრად მყოფი, თავაზიანი, წმინდა ქართულით მოლაპარაკე, უებრო მოამბე. იუნუს ბერიძე საუცხოვო თანამგზავრი შეიქნა. თუმცა აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ მგზავრობის დასასრულ თავისებური სასყიდელიც მოითხოვა თავის სამსახურისათვის. მაგრამ კი არ იფიქროთ, რომ ჯილდო ვერცხლისა ეთხოვოს, არა, ასეთ ცილს ვერ დავსწამებთ. როცა ფურტიოს გავსცდით და დავადექით ხულოს უფროსის წინადადებით სოფლელთა მიერ გაკეთებულ გზას, სადაც ხულოს უფროსს სოფლელების თავდგმურად იუნუსუ დაუნიშნავს, ჩემმა ჩიჩერონემ მითხრა: „დიდი ჯაფა გავსწიე, ბატონო, ამ გზების გაკეთებაზეო. ხულოში მითხრეს, თქვენ ქითაბებსა (წიგნებს) წერჩთო და ქალაქში „ღლუბერნატორს“ იცნობთო. „როცა დაბრუნდებით, ჩემი სახელი ქითაბში ჩაწერეთ და ღლუბერნატორს თხოვეთ, ერთი მინდალი მიბოძოს ამდენი შრომიზა“; დავპირდი ამესრულებინა პირველი ნახევარი მისი თხოვნისა (ამის მოწმე თითონ მკითხველიც ბრძანდება), ხოლო მეორე ნახევრის შესახებ ვუთხარი, თუ რა ძნელია ახლანდელ დროში მენდლის შოვნა... „კაცია, ვისაც მინდალი აქვს“, მითხრა იმედგადაწყვეტილმა იუნუსამ და ერთი ისეთი ამოიხვნეშა, თითქო თან გული ამოაყოლაო... ზოგჯერ რა ცოტა რამ ჰყოფნის ხოლმე ადამის შვილსა!..

თამარის ხიდი

შუა საუკუნეების ქვის ხიდი, რომლის აგებაც თამარ მეფის სახელთანაა დაკავშირებული. ხიდს აქვს ძლიერ დამრეცი კამარა. კამარის მალი 15.5 მ-ია. ნაგებია კირის დულაბით გამაგრებული კირქვის დიდი კვადრებით. ბურჯები ამოყვანილია კლდეზე. ამ ხიდით მოსახლეობა დღესაც სარგებლობს.

ფურტიოს გზა ხულოდან სამი ვერსის მანძილზე ჯერ ბათუმ-ახალციხის გზა-ტკეცილით მიდის. პირველად გზის იქით-აქეთ ფიჭვნარევი ტყეა. და მისი სუნი მგზავრს საამოდ უღიტინებს. ალაგ-ალაგ მწვანედ ხასხასებს დაქანებული ველები, რომელთაც მხიარული ლუკლუკით რუები ურბენს ხოლმე. ველების ბოლოს, ხევში, სოფლელთა სახლები გადამდგარა ერთმანეთის მოშორებით. უმეტესი ნაწილი გზატკეცილისა გადასცქერის მოსხლეტილ ხრამებსა, ასე რომ მგზავრს მეტისმეტი სიფრთხილე მართებს, რომ ცხენიანად უფსკრულში არ გადაიჩეხოს. ბუნება წამდაუწუმ იცვლება მგზავრების წინაშე და გამახალისებელი და საოცნებო სურათები მის თვალებს უზომოდ ეალერსება.

სანამ გზატკეცილიდან გადავუხვევდით, მარჯვნივ ერთი სერი მაჩვენა იუნუსამ. აი, ბატონო, იმ სერს ხომ ხედავთ, „ვარცხლა“ ჰქვიან. ეს სახელი იმიტომ დაერქვა, რომ ძველად თამარ მეფეს იქ ვერცხლის მადანი ჰქონია. რაც ვერცხლი სჭირდებოდა, სულ აქედან გაჰქონდა თურმე. იმის მახლობლად „ღორთა-ვაკეა“. შიგ კარგი მუხნარიცაა. გათათრების დროს ერთს ხინიკაძეს ღორის კოლტი ჰყოლია. მის სოფელში უმეტესობა გათათრებული ყოფილა და მის წინააღმდეგ „აზაფებულა“ (ამხედრებულა), ღორები გაწყვიტე და შენც გათათრდი ჩვენსავითო. ხინიკაძეს ურჩობა დაუწყია და თავის კოლტითურთ ვაკეს შეხიზვნია. გაბრაზებული სოფლელნი გამოსდევნებიან და თოფით მოუკლავთ. ამ ვაკეს „ღორთა-ვაკე“ დარქმევია და დღესაც ამ სახელს ვეძახითო.

მესამე კილომეტრზე გზატკეცილი უნდა დატოვოთ და ვიწრო ბილიკით თითქმის ცურვით თავქვე უნდა დაეშვათ აჭარის-წყალზე გადებულ ძველი ქვითკირის ხიდისაკენ. გზატკეცილის შორიახლო

მგზავრის ყურადღებას იქცევს ქვის ყორე, რომლის ქვეშაც ასაფლავია ვინმე მაჰმედ აღარ და მის საფლავსაც „შეიდის (წმინდანის) საფლავი“ ჰქვიან, რადგან ეს მაჰმედ-აღა თურქების მიერ წმინდანებშია ჩარიცხული. ამ ადგილს „წმინდანსაც“ ეძახიან. გამაჰმადიანებულ ქართველებს გურჯებთან ბრძოლა ჰქონიათ სარწმუნოების გამო. მაჰმედ-აღა შავშეთელი ყოფილა, სოფ. მოქთიდან. მისი ბაირაღთარობით აჭარის-წყალს გამოღმა გამაჰმადიანებულ ქართველთა ჯარი მდგარა, ხოლო გაღმა — მის მოწინააღმდეგეთა. გახურებულ ბრძოლის დროს მაჰმედ-აღას ტყვია მოხვედრია და სასიკვდილოდ დაუჭრია. დაკოდილ ბაიარაღთარს გაღმა გასვლა მოუნდომებია, — ბარემ თავი შევაკლა მტერსაო, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯი გადაუდგამს თუ არა, იქვე ჩაკეცილა. წყალი მოსწყურებია და ღვთისათვის შეუთხოვნია, შენს მადლსა წყალი გააჩინეო. ერთბაშად წყაროს ამოუხეთქნია, მომაკვდავს წყურვილი მოუკლავს და გარდაცვლილა კიდეც. ამ წყაროს „შეიდის წყალი“ დარქმევია. ამ ადგილას ამოჭრილი ქვაა დღესაც, წყლის ჩასაგროვებლად. მაგრამ ხან გამოჩნდება და ხან სულ შრება წყალიო. ამ ქვის როფეს აჭარელი ისე არ გაუვლის, რომ ხელი არ ჩაუშვას შიგ და პირზე არ მოისვას, თანაც არ ილოცოს. წყალიც რომ არ იყოს შიგ, ყოველივე ამას ფორმისთვის მაინც ასრულებს. ადრე წარწერიანი ქვის ფიცარიც ყოფილა აქა, მაგრამ დღეს კი დაკარგულია სადღაცა. წყალ-გაღმა, სადაც მაჰმედას მკვლელი ქრისტიანი ზურაბა მდგარა, ამის სახსოვრად „ზურალი“ დარქმევია.

ერთმანეთში არეულ მუხნარს და ფიჭვნარზე მიმავალი ძალზე დაქანებული ბილიკი ქვეშ უფსკრულში თავდება, ზედ აჭარის-წყლის პირას, სწორედ ამ ადგილას, სადაც ამ რისხვიან მდინარეს რისხვიანივე ტოტი — სხალთის-წყალი — უერთდება. მდინარის ყვირილისაგან გარშემო არაფერი ისმის. კლდეთა შორის მომწყვდეული წყლის ქუხილი მაღლა რისხვის ხმად ამოდის და მხოლოდ რაც უფრო განზე იწევს კლდეები, ისიც სუსტდება. მდინარის ორივე ნაპირს ქვის კამარიანი ხიდი აერთებს. თავი და ბოლო ამ ხიდისა დაყრდნობილია კლდიან ნიადაგზე. ასე რომ თვითონ ეს ბუნებრივი საფუძველი ადლ-ადლ-ნახევრის სიმაღლეზეა წყალს აშორებული. ამით უნდა აიხსნას, რომ აქამდე სრულიად უზიანო დგას ეს ძველთა დროების ნაშთი. შუა წელი ამ ხიდისა ორი მტკვლის სისქე თუღაა. მაგრამ ქვა და კირი ისე შედუღებია ერთმანეთს, რომ ერთ განუყოფელ მრთელს წარმოადგენს. ადამიანს ძალზე ანცვიფრებს ის სითამამე, რა სითამამითაც ძველი დროის ოსტატს ეს ქვის რვალი ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე გადაუტყორცნია! მისი მაშენებელი საფლავიდან რომ წამოდგეს, ბევრს, ახლანდელ ინჟინერს აწურვინებს ოფლს...

ხულო

1895 წლის წყალდიდობის დროს მთელი აჭარა საშინელ სურათს წარმოადგენდა თურმე. მთელი მხარე წყლად გამსკდარა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რას ემსგავსებოდა მაშინ აჭარის-წყალი, რომელშიაც თავს იყრის მთელი ზემო და ქვემო აჭარის წყლები დიდით — პატარამდე! სოფლელნი ახლაც ძრწოლით იგონებენ ამ ამბავს. მთელი მთები და კლდეები, ტყე, სახლები, სადაც კი მისწვდა, ყველაფერი მოარღვია, ყველაფერი აღმოფხვრა. სახლის სისხო ლოდებს პატარა კენჭების მსგავსად მოათამაშებდა თურმე. მისი ღმუილი შორს ისმოდა და მთელს მიდამოს ზარსა სცემდაო. მაშინ ამ ხიდსაც არა ნაკლები ძალა დასდგომია, მაგრამ წარბშეუხრელად აუტანია ლოდების დაჯახება და დღესაც უვნებლადა დგას გაღმა-გამოღმა მხარის შემაერთებლად.

ასეთი ხიდი მარტო ფურტიოში არ არის. ამის მსგავსი ერთი და იმავე გეგმის (და, ალბათ, ერთი და იმავე დროისაც) ხიდი აჭარაში დღეს რვაა დარჩენილი, და ჩვენ პირადად შემთხვევა გვქონდა რვავე გვენახა. ამათგან ხუთი ზემო აჭარაშია, სახელდობრ: ყადი-ოღლებში, შანთაძეებში, შირინ-ოღლებში, ურხოს და ფურტიოს, ხოლო დანარჩენი სამი ქვემო აჭარაში დარჩენილა: ერთია სოფ. დანდალოში, მეორე მახუნცეთსა და მესამეც ცხმორისში. 1895 წლამდე რვავე ხიდი ჯერ კიდევ მთელი ყოფილა. მაგრამ წყალდიდობას ზოგან სულ დაუნგრევია (შანთაძეებში, მახუნცეთსა და ცხმორისში), სხვაგან კი ცოტათი დაუზიანებია (ყადი-ოღლებში).

აჭარლები, როგორც ყოველ ძველს ნაშთს ამ მხარისას, ამ ხიდებსაც თამარის დროში აშენებულადა სთვლიან. თუმცა მათ ნათქვამში ანაქრონიზმები ხშირია, მაგრამ ლეგენდას ხომ ასეთი შეცდომა უფრო ადვილად ეპატიება ხოლმე! მახუნცეთის, დანდალოს და ფურტიოს ხიდი ერთად გააშენა თამარმაო. სხვათა შორის მოგვითხრობენ, რომ გვირგვინოსანს ხირხათის ციხესა (აჭარის განაპირა ნაწილია, აღმოსავლეთით) და დანდალოს შუა ხალხი ეყენა და სიგრძეზე გამწკრივებულნი ხიდისთვის საჭირო მასალას ერთმანეთს აწვდიდნენო. მაშინდელი მონარჩენი ქვა დანდალოს ხიდთან ახლაც ჰყრიაო. ამ ლეგენდას ისმენთ და თანაც ჰკვირობთ, რად უნდა დასჭირებოდა მეფეს ხირხათის ციხიდან ქვის მოტანა იმ დროს, როცა ამ ხიდებთან ყველგან თავსაყრელია ყოველგვარი ჯიშის ქვაო!..

დასასრული შემდეგ ნომერში

«ძალიან ქართველი მხატვარი»



ცნობილი ფერმწერი, გრაფიკოსი თენგიზ მირზაშვილი დაიბადა 1934 წლის სვანეთში. დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის თეატრალურ-დეკორაციული ფერწერის ფაკულტეტი (1958). მრავალი წელი მოანდომა ნიკო ფიროსმანის შემოქმედების კვლევას, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა წიგნი-ალბომი „ფიროსმანი“ (ტ. I–III); იყო ე. ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეის ერთ-ერთი დამაარსებელი (1968). ავტორია პატარა ზომის ჟანრული სურათებისა, რომლებშიც ძირითადად ასახულია ადამიანისა და ბუნების ჰარმონიული კავშირი, აგრეთვე, თბილისური ყოფა-ცხოვრება.

თენგიზ მირზაშვილი წარმატებით მუშაობდა წიგნის გრაფიკაში („კაცია-ადამიანი?!“ — 1974 წ.; ვაჟა-ფშაველას ქალიშვილის — გულქან რაზიკაშვილის ნაამბობი „მამამა ღმერთს ჩამაჰყარა სახელი“, 1991წ.) და სხვ. ის გახლდათ რედაქტორი და მხატვარი თუში პოეტი ქალის — ეთერ თათარაიძის ლექსების კრებულისა „ჩამომიარა საწუთრომ“ (1998წ.); გააფორმა „თბილისის ხუროთმოძღვრული გზამკვლევი“ (1958წ.). მისი ნახატების გამოფენა მოეწყო გერმანიაში, კანადაში, ავსტრიაში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში; გარდაიცვალა 2008 წელს, დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

უსმო ნატირლები

ის მთელი ცხოვრება ერთ დიდ სურათს ხატავდა.

ასე ითხზვებოდა ერთი ვრცელი საგა; საგა თუშეთზე, სადაც გულხელდაკრეფილი ქალები და კაცები, ბავშვები და... საქონელიც კი „დგანან და ელიან“.

ის ქვედა ფენების მხატვარი იყო; და მაინც არისტოკრატი....

ის სოფლის მხატვარი იყო, ოღონდ, ამ უსახელო სოფელში მისთვის, რეზო ინიანიშვილის პროზასავით, მთელი მსოფლიო ეტეოდა.

ჩუბჩიკამ გადაიღო თავისი „დიდი მწვანე ველი“.

მისი ოპუსების ტირაჟირებულობა მოჩვენებითია. ეს უფრო თემებია ვარიაციებით; თუნდაც, ვირტუოზული პარტიტები.

კოლორისტული სიმფონიზმის პრეზენტაცია არასოდეს ჰქონია; სამაგიეროდ, ჰქონდა მხატვრის შეუმცდარი თვალყური და, რაც მთავარია, ხელი; ხელში ჰქონდა ჭკუა-გონება... და, ცხადია, თავშიც, აურაცხელ იანფორმაციას რომ იტევდა, ემოციურად გადამუშავებულ ინფორმაციას.

ვერ ეგუებოდა გაფუყულ ავტორიტეტებს და ხშირად ქარის წისქვილებსაც ებრძოდა.

ის მხატვარიც იყო და მხატვარსაც თამაშობდა.

ჩუბჩიკას სოციალური არტისტიზმიც მისივე ნატურიდან მოდიოდა.

მისთვის უცხო იყო შემოქმედებითი პროცესის საკრალური აქტები: — ყველგან შეეძლო ეხატა, ყველას თანდასწრებით. გროსმაისტერივით სახელდახელოდ შეეძლო ეთამაშა ბლიც-პარტიები და თითო სვლით დაეშამათებინა მოპაექრე.

არადა, ოპონენტი მხატვრობაში თითქოს არცა ჰყოლია; საამისო საბაბს არავის აძლევდა — შორიდან ყველას ეფერებოდა. თეორიაში — იცოცხლე, იმდენი კორიფე გადაიმტერა, თუმცა თავისი ჩუბჩიკობის გამო ბოლომდე ვერავინ იმეტებდა.

ის თვითნაბადი ტალანტი იყო, ძალიან ქართველი მხატვარი; ქართველი და, მაშასადამე — ევროპელი.

ჩუბჩიკასეული თუშეთიც ევროპულია, რაღაცით ბრეიგელის სამყაროსაც რომ გვახსენებს.

თუშეთი ყველაფერს ერჩივნა. აქ აღმოაჩინა თავისი სამყარო; იქნებ უფრო – კუთხე, სულისშემძვრელი ინტიმურობითა და ადამიანად ყოფნის სევდით აღსავსე.

ამიტომ იყო მისი მხატვრობა ონტოლოგიური სევდის დღესასწაული.

მხატვრობა, თანაც კარგი მხატვრობა, მან ყველასთვის მისაწვდომი გახადა — ფასს საკუთარ პერსონას უფრო ადებდა, ვიდრე ნამუშევარს.

ის მხატვარი-მარათონელი იყო; მარათონელი და არა სპრინტერი, სულ სადღაც გარბოდა.

მხატვრობის ჩარჩოებში ვერ ეტეოდა.

ერთმა კვიმატმა ლიტერატორმა ხუმრობით თქვა ჩუბჩიკაზე, — „მელი მოძღვრადო“. მართლაც, მელასავით დაცუნცულებდა, სულ რაღაცას ეძებდა, საკბილოს.

ფიროსმანზე ამოსდიოდა მზე

ხიდი

ქართლის პეიზაჟი

და მთვარე.

„უცნობი ფიროსმანებიც“ საკმაოდ აღმოაჩინა, ძველებს ახლები დაუმატა. ხალხური პოეზია იყო მისი გაუნელებელი სიყვარული და თავადაც ხალხური მთქმელივით იმეორებდა პაწია სურათებს; იმეორებდა და სუვენირებივით არიგებდა.

ერთ უსაშველოდ ცნობილ მოქანდაკეზე თქვა, — მკვდარი ხელი აქვსო.

ძალიან მენიშნა.

თავად კი ცოცხალი ხელი ჰქონდა; ცოცხალი, გაწაფული.

ეს იყო ნამდვილი ხელი-ქსეროქსი.

ის ჩინებულად ფლობდა ფერწერული ფუგის ხელოვნებას.

ვინ მოთვლის, რამდენი ოპუსი დატოვა; ამ ოპუსებს ზეპირი (თუნდაც, გაზეპირებული) ტექსტებივით თხზავდა, გზადაგზა ხატავდა....

სისადავის თანდაყოლილი გრძნობა მოსდგამდა. მისი მინიმალიზმიც კი მაქსიმალური იყო.

ისე ხატავდა, თითქოს წერდა.

ისე წერდა, თითქოს ხატავდა....

მისი სურათები იაპონური ტანკებივით „იკითხება“.

მას არასოდეს ეცალა მოტივში ჩაღრმავებისთვის. მისი ზერელობაც კი სანიმუშო იყო.

ის ხომ ჩუბჩიკა იყო.

მან სიცოცხლეშივე მოიპოვა აღიარება; ნამდვილი აღიარება.

ასეთ აღიარებას ოფიციოზი უკვე ვეღარ აკონტროლებდა.

თუმცა, არასოდეს ყოფილა დისიდენტი მხატვარი; არასოდეს მოკალათებულა ანდერგრაუნდში.

ის სახალხო მხატვარი იყო. არადა, გაგიკვირდებათ, მაგრამ კომუნისტებს ოფიციალურად ამგვარი წოდება არც მიუნიჭებიათ; ანკი რაში სჭირდებოდათ?!

მის ესთეტიკას თავიდანვე ახლდა არტისტული ძალისხმევის ეთიკა; ეთიკა, რომელიც მავანთ სოციალურ ძალადობაში ერევათ და თვითდამკვიდრებისათვის ყველაფერს აკადრებინებთ.

ჩუბჩიკას ასეთი ძალადობა არ სჭირდებოდა, თავისთავად, მისდაუნებურად „გვახვევდა“ თავს საკუთარ იმიჯს.

სოკრატესავით იყო, მხატვრობის სოკრატესავით.

ზოგიერთი გასამწარებლად გრაფომანსაც ეძახდა, მაგრამ ამ ბრიყვებს ვერ გაეგოთ, რომ ჩუბჩიკასთვის ხატვა სიამოვნების ერთადერთი ნამდვილი ობიექტი იყო.

მისი მხატვრობა მასკულტურის ყველაზე მისაღები ფორმაც იყო.

ხატვა და ნახატის გაჩუქება მისთვის სასიყვარულო ბარათის გაგზავნას უდრიდა; ბარათისა — ყველგან და ყველასათვის. ასეთ ბარათებს, უწინარეს ყოვლისა, თავის თავს უძღვნიდა. საკუთარ თავს უგზავნიდა... და ეს იყო, მოდი, ასე ვთქვათ, პირველადი ნარცისიზმის გულწრფელი ფორმა; და საკუთარი არსებობის, საკუთარი ექსისტენციის უტყუარი საბუთიც.

მას შეეძლო ეთქვა: – ვხატავ, მაშასადამე, ვარსებობ!...

ჩუბჩიკას გააზრებული ჰქონდა თავისი დამოკიდებულება საკუთარი დროის, სოციალური დროის მიმართ....

თავისუფალი, უქმად გასატარებელი დრო არასოდეს ჰქონია.

წერტილის დასასმელად ვერასოდეს იცლიდა; ხეირიანად ინიციალებსაც კი ვერ უსვამდა წერტილებს.

მისი ცხოვრებაც მუდმივი სამწერტილი იყო.

მან შეთხზა თავისი „კარგად ტემპერირებული კლავირი“, რომელსაც სხვა ვეღარავინ შეასრულებს.

თავისი კალო გალეწა.

მის მიკროსურათებში დიდი ტკივილია დაუნჯებული, ტრაგიზმიც კი, ჩვენი გაუტანელი წუთისოფლის ტრაგიზმი.

წავიდა და დაგვიტოვა თავისი „უხმო ნატირლები“ და ეს ნატირლები მიაცილებდა უკანასკნელ გზაზე.

დავით ანდრიაძე

ჟურნალი „არტიფაქტი“, 2008 წ.

«ფლორენსკი საქართველოს ისევე ხატავს, როგორც ქართველები — სიყვარულით»

ცნობილი რუსი მხატვრის ალექსანდრ ფლორენსკის საქართველოში შექმნილი ტილოების გამოფენა ამ ზაფხულს მოსკოვში, თოთიბაძის გალერეაში (Totibadze Gallery) გაიხსნა. ექსპოზიციაზე „საქართველოში შექმნილი ნახატები“ წარმოდგენილი იყო მხატვრის მიერ საქართველოში 4 მოგზაურობისას შექმნილი ნამუშევრები (2011 წლის მაისში, 2011 წლის ნოემბერში, 2012 წლის ნოემბერში, 2013 წლის ოქტომბერში).

ალექსანდრ ფლორენსკი პეტერბურგში (მაშინდელ ლენინგრადში) მხატვართა ოჯახში დაიბადა 1960 წელს. 1977 წლიდან 1982 წლამდე სწავლობდა პეტერბურგის უმაღლეს სამხატვრო-სამრეწველო სასწავლებელში; 1988 წლიდან არის სანკტ-პეტერბურგის მხატვართა კავშირის (გრაფიკის სექცია) წევრი; ავტორი ანიმაციური ფილმებისა „მიტკიმაიერი“ (1992), „რუსული ალბომი“ (2001, მ. იაკუშინის თანაავტორობით) და სხვ. ის გახლავთ საერთაშორისო და სრულიად რუსეთის არაერთი ფესტივალის პრიზიორი; მრავალი საგამომცემლო პროექტის ავტორი.

ალექსანდრ ფლორენსკის ნამუშევრები სახელმწიფო რუსულ მუზეუმსა და ერმიტაჟში, ტრეტიაკოვსკის გალერეაში და რუსეთის სხვა მუზეუმებში ინახება, ასევე — ჰელსინკსა და ლონდონში. ის ცხოვრობს და მოღვაწეობს რუსეთსა და საქართველოში, არის რუსი და ქართველი მხატვრების ნამუშევრების კოლექციონერი.

„მხატვარი ფლორენსკი საქართველოს ისევე ხატავს, როგორც ქართველები — სიყვარულით. ერთი შეხედვით თითქოს უბრალო ნახატები ისეთ გრძნობას აღძრავენ, თითქოს მანამდე უკვე გინახავთ ეს სახლები, ეკლესიები, მთები, ხეები, შესაძლოა, ბავშვურ სიზმრებში ან კიდევ გასულ წელს თბილისსა და ბათუმში“, — ნათქვამია გალერეის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

რუსი მხატვარი ალექსანდრ ფლორენსკი პეტერბურგის არტ-ჯგუფ „მიტკის“ ერთ-ერთი დამაარსებელია. იგი ბევრს მუშაობს წიგნების გრაფიკის სფეროში. საქართველოსთან რუს მხატვარს არა მხოლოდ შემოქმედება, არამედ სხვა რამეც აკავშირებს. მისი ბაბუა — ანდრეი ალექსანდრეს ძე ფლორენსკი თბილისში დაიბადა და აქვე დაამთავრა გიმნაზია, ხოლო მხატვრის დიდმა პაპამ, რომელიც საგზაო ინჟინერი იყო, მთელი ცხოვრება საქართველოში გაატარა.

„საქართველო ძალიან მიყვარს, პირველად იქ სრულიად ახალგაზრდა 1982 წელს მოვხვდი. ზუსტად 25 წლის თავზე, 2007 წელს, კიდევ ერთხელ ჩავედი საქართველოში და შეიძლება ითქვას, იქ დავრჩი. საერთოდ კი, მიუხედავად იმისა, რომ პეტერბურგში დავიბადე და გავიზარდე, საქართველოს ისე შევიგრძნობ, როგორც ჩემს შეძენილ სამშობლოს“, — აღნიშნავს ფლორენსკი.

ალექსანდრ ფლორენსკი „თბილისური ანბანის“ ავტორია. ეს გახლავთ საქართველოს დედაქალაქის უნიკალური გზამკვლევი ილუსტრაციებითა და ჩანაწერებით.

ზ
ZEMLYA
ZEMLYA

3
ВОРОНЦОВА
ВОРОНЦОВИ
ВОРОНЦОВИ

თ
ПЛОЩАДЬ СВОБОДЫ
ТАВИСУФЛЕБИС ОТХ ᲛᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲢᲔᲠᲜᲘ

ი
ИЕРУСАЛИМСКАЯ ПЛОЩАДЬ
ИЕРУСАЛИМИС МОЗДАНИ
ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲘᲡ ᲛᲝᲰᲔᲓᲐᲜᲘ

Ლ
ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ
КАТОЛИКУРИ ЭКЛЕСИА
КАТОЛИЧЕСКАЯ ЦЕРКОВЬ

ᲚᲘ
ᲚᲔᲡᲔᲚᲘᲫᲔ ᲥᲣᲩᲐ
ᲚᲝᲡᲔᲚᲘᲫᲔ

Გ
ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

Ნ
ᲜᲐᲠᲘᲙᲐᲚᲐ
НАРИКАЛА

ბრეთი

თენგიზ მირზაშვილი — „თუშეთი“

ISSN 1987-5908